ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №36

ქ. თბილისი **2011 წლის 30 მაისი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 29 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. მესხორაძე გიორგი 5. გალდავა გიორგი 6. ფაღავა ზურაბი 7. თურქიაშვილი შორენა 8. შამილიშვილი მანანა 9. წერეთელი მარი 10. ჩოხელი ლევანი 11. ბარამიძე ცირა 12. ბრაჭული ირაკლი 13. გელოვანი ნანი 14. ლიჩელი ვახტანგი 15. ლორია კახაბერი 16. პაიჭაძე თამარი 17.ახლოური ბექა 18. ზივზივაძე ვახტანგი 19. გეგეჭკორი არნოლდი 20. ელიაშვილი მერაბი 21. თუთბერიძე ბეჟანი 22. ომანაძე როლანდი 23. ხაჩიძე მანანა 24. კერესელიძე დავითი 25. გუბაძე ვასილი 26. ჭლიკაძე გივი 27. პაპაშვილი თამარი 28. ჭალიძე ივერი 29. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. გაფრინდაშვილი ნანი 2. გერსამია მარიამი 3. შენგელაია ალექსანდრე 4. ნადარაია ელიზბარი 5. სურგულაძე ნუგზარი 6. გველესიანი რევაზი 7. მარშავა ქეთევანი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2010 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის დამტკიცება.

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის ანგარიშის გაცნობა.

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცება.

4. საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) სტრუქტურული ერთეულის – ინტერნეტ-ტელევიზიის შექმნის შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 მაისის №46/2011 დადგენილების დამტკიცება.

5. საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) სტრუქტურული ერთეულის – ინტერნეტ-ტელევიზიის დებულების დამტკიცება

6. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შექმნის შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 21 იანვრის №165 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2011 წლის 2 მაისის №41/2011 დადგენილების დამტკიცება.

7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება.

8. „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის 2010 წლის 10 მარტის №27/2010 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 მაისის დადგენილება №45/2011-ის დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმოადგინა თსუ-ს ადმინისტრაციის საქმიანობის 2010 წლის ანგარიში. მან აღნიშნა, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ანგარიში შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი, მასში მოცემულია თსუ-ის თითოეული დეპარტამენტის დაწვრილებითი ანგარიში, ასევე უნივერსიტეტის მიერ 2010 წლის განმავლობაში განხორციელებული თითოეული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ანგარიში მთელი კვირის განმავლობაში იყო ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო გაცნობოდა მას.

წარმოამდგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა განხორციელებული 2010 წელს და წარმოდგენილი ანგარიში მართლაც შთამბეჭდავია.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა და ბატონმა ბეჟან თუთბერიძემ მოიწონეს ადმინისტრაციის საქმიანობის ანგარიში და მადლობა გადაუხადეს ადმინისტრაციას გაწეული საქმიანობისათვის.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ქეთევან მარშავამ აღნიშნა, რომ მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა 2010 წელს, ასევე მოსაწონია უნივერსიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს თანხების რაციონალურად გადანაწილებას ფაკულტეტების მიხედვით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საქმიანობის 2010 წლის ანგარიში, წარმოდგენილი სახით. (დანართი 3)

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო აკადემიური საბჭოს ანგარიში, რომელიც შესაბამისი წესით წარმოადგინა აკადემიურმა საბჭომ. სპიკერმა აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ანგარიში უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა განთავსებული და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ განაცხადა, რომ აკადემიური საბჭოს საქმიანობის უმეტეს ნაწილს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები უკვე იცნობენ, რადგან აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებათა უმრავლესობა სწორედ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერაა დამტკიცებული.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად. (დანართი 4)

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის დებულების პროექტი. სპიკერმა საბჭოს განუმარტა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების პროექტი ერთხეულ უკვე განიხილა წარმომადგენლობითმა საბჭომ, რომელმაც იურიდიული დეპარტამენტის მიერ პროექტზე გამოთქმული შენიშვნების გამო, არ დაამტკიცა იგი. ფაკულტეტის საბჭომ გაითვალისწინა იურიდიული დეპარტამენტის შენიშვნები და დებულების ახალი პროექტი წარმოადგინა დასამტკიცებლად.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ვასილ ბარამიძემ წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ დებულების პროექტს ჩაუტარდა სამართლებრივი ექსპერტიზა, ის სამართლებრივად და ტექნიკურად გამართულია და სრულ შესაბამისობაშია თსუ-ის წესდებასთან და საქართველოს კანონმდებლობასთან. დეპარტამენტი დადებით შეფასებას აძლევს წარმოდგენილ დებულების პროექტს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება, წარმოდგენილი სახით. (დანართი 5)

4. თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ვასლ ბარამიძემ წარმოამდგენლობით საბჭოს გააცნო საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) სტრუქტურული ერთეულის – ინტერნეტ-ტელევიზიის შექმნის შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 მაისის №46/2011 დადგენილება. ვასილ ბარამიძემ აღნიშნა, რომ აკადემიურმა საბჭომ აღნიშნული დადგენილების მიღებით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც უნივერსიტეტსა და მის სტუდენტებს წაადგებათ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ქალბატონი მანანა ხაჩიძე დაინტერესდა, იმის გათვალსიწინებით, რომ უნივერსიტეტს საკმაოდ სუსტი სერვერები გააჩნია, არ არსებობს ინტრანეტი, ხომ არ დარჩება ეს ყოველივე ქაღალდზე.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ალექსანდრე შენგელაიამ განაცხადა, რომ ინტერნეტ-ტელევიზია, რა თქმა უნდა, სასარგებლოა და მნიშვნელოვანია, თუმცა საკითხავია, რამდენად წარმოადგენს აუცილებლობას ამ ეტაპზე მისი შექმნა და საინტერესოა თუ რა თანხები დასჭირდება მას.

თსუ-ის რექტორის თანაშემწემ, ბატონმა მერაბ ვაჩნაძემ აღნიშნა, რომ ინტერნეტ-ტელევიზიის შემქნის იდეა პირადად რექტორს ეკუთვნის. უნივერსიტეტის კინო-ტელე ლაბორატორიაში 400 სთ-მდე მასალა ციფრულადაა გადატანილი, ხოლო 400 სთ-მდე - კიდევ გადასატანია. სტუდენტები დიდხანს ატარებენ ინტერნეტთან და ინტერნეტ-ტელევიზიის საშულებით, მათ შეეძლებათ გაეცნონ საუნივერსიტეტო სიახლეებს, ინფორმაციას უნივერსიტეტის შესახებ და ა.შ. რაც შეეხება ხარჯებსა და ტექნიკას, სხვადასხვა ფონდთან წინასწარი მოლაპარაკებების შედეგად უკვე შესაძლებელია ვთქვათ, რომ ისინი გრანტების სახით იქნება მოძიებული.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ განაცხადა, რომ აკადემიურმა საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება ხანგრძლივი მსჯელობებისა და კონსულტაციების შედეგად მიიღო. ინტერნეტ-ტელევიზიამ უნდა ითანამშრომლოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან. იგი არ უნდა იყოს იზოლირებული და უნდა შეძლოს ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ასახვა და გავრცელება.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა ნანა მამაგულიშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ ვებ-გვერდზე - www.youtube.com ატვირთულია უნივერსიტეტთან დაკავშირებული მასალები და ვიდეო ლექციები, თუმცა ეს ვებ-გვერდი უნივერსიტეტის სუსტი სერვერების გამო გათიშულია უნივერსიტეტში. მნიშვნელოვანია დეპარტამენტისა და ინტერნეტ-ტელევიზიის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც უნივერსიტეტს მნიშვნელოვანწილად წაადგება.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა დასძინა, რომ ევროპისა და ამერიკის არაერთ წამყვან უნივერსიტეტს გააჩნია ამგვარი ტელევიზიები, რომლებიც მნიშვნელოვნად ეხმარება მათ ინფორმაციის გავრცელებასა და საქმიანობის პოპულარიზაციაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ქალბატონი მანანა ხაჩიძე დაინტერესდა, იქნებიან თუ არა სტუდენტები ჩართულნი ინტერნეტ-ტელევიზიის საქმიანობაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მაქსიმალურად აქვს აღებული გეზი სტუდენტების დასაქმების, პრაქტიკისა და სტაჟირებისაკენ. არსებობს სპეციალური მიდგომა და საუნივერსიტეტო პოლიტიკა ამ მიმართულებით.

წარმომადგელობითი საბჭოს წევრი, ბატონი არნოლდ გეგეჭკორი დაინტერესდა, იქნება თუ არა სალექციო კურსები მოცემული ინტერნეტ-ტელევიზიაში, რაზეც ბატონმა გიორგი ჩართოლანმა განაცხადა, რომ ტრადიციული გაგებით ონლაინ ლექციები არ იქნება. ინტერნეტ-ტელევიზიის ფარგლებში შეიქმნება სპეციალური სიუჟეტები, ფილმები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ლექციები იქნება დამხმარე

ტექნიკურ-ვიზუალური საშუალებებით გაფორმებული, რათა უფრო საინტერესოდ იყოს მიწოდებული სტუდენტებისათვის.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) სტრუქტურული ერთეულის – ინტერნეტ-ტელევიზიის შექმნის შესახებ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 მაისის №46/2011 დადგენილება, წარმოდგენილი სახით. (დანართი 6)

5. აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ წარმოადგინა ინტერნეტ-ტელევიზის დებულების პროექტი და აღნიშნა, რომ აკადემიურმა საბჭომ განიხილა აღნიშნული პროექტი და გამოთქვა გარკვეული შენიშვნები, რომელიც გათვალისწინებული იქნა. შემდგომში იგეგმება ეთიკის წესების მიღებაც.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ვასილ ბარამიძმე აღნიშნა, რომ დებულების პროექტმა გაიარა სამართლებრივი ექსპერტიზა და დეპარტამენტის მიერაა ვიზირებული.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ განაცხადა, რომ ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში კინო-ტელე ლაბორატორიაში მუშავდებოდა 8 წუთიანი ფილმი. იმდენად ცუდ მდგომარეობაშია უნივერსიტეტის ტექნიკა და კინო-ტელე ლაბორატორია, რომ წარმოუდგენელია მისი ნორმალური ფუნქციონირება. ქალბატონი ცირა ბარამიძე დაინტერესდა, თუ როგორ და საიდან მოხდება ინტერნეტ-ტელევიზიის თანამშრომელთა დაფინანსება და რამდენი ადამიანი იმუშავებს ტელევიზიაში, რაზეც ბატონმა ვასილ ბარამიძემ აღნიშნა, რომ თანამშრომელთა რაოდენობას და საშტატო განრიგს განსაზღვრავს ადმინსიტრაციის ხელმძღვანელი.

საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმოამდგენლობითი საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ოპტიმიზაციის პირობებში, ყოველთვის შესაძლებელია სარეზერვო ფინანსებისა და დამატებითი თანხმების მოძიება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტებზე არსებობს გარკვეული მატერიალურ-

ტექნიკური ბაზა და შესაბამისი რესურსები. უნივერსიტეტმა, სანამ აკადემიური საბჭო გადაწყვეტდა ინტერნეტ-ტელევიზიის შექმნას, მანამდე გამოაცხადა ტენდერი მაღალი ხარისხის ვიდეოაპარატურის შეძენაზე.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ განაცხადა, რომ მაღალ დონეზე მომზადებული მასალა შემდგომში შესაძლებელია ტელევიზიებსა და დაინტერესებულ პირებს მიეწოდოთ შესაბამისი ანაზღაურების ფასად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ინტერნეტ-ტელევიზიის დებულება, წარმოდგენილი სახით. (დანართი 7)

6. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ვასილ ბარამიძემ წარმოადგინა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შექმნის შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 21 იანვრის №165 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2011 წლის 2 მაისის №41/2011 დადგენილება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ აღნიშნა, რომ ტურიზმის საერთაშორისო სკოლა აქამდე ახორციელებდა ერთ საგანმანათლებლო პროგრამას. ამჟამად გამოცხადებულია მიღება 120 ადგილზე. ტურიზმის პროგრამები განსაკუთრებულია, შესაბამისად მითხოვს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ ტურიზმი სახელმწიფოს პრიორიტეტია და ეროვნული გამოცდების დაფინანსების წესშიც კი შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამები ფინანსდება სახელმწიფო გრანტით. ამიტომაც შესაძლებელია საუნივერსიტეტო რესურსების მობილიზება და ერთიანი ადმინისტრირების დანერგვა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შექმნის შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 21 იანვრის №165 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 2011 წლის 2 მაისის №41/2011 დადგენილება, წარმოდგენილი სახით. (დანართი 8)

7. თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ვასილ ბარამიძემ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა ელენე ხარაბაძემ წარმომადგენლობით საბჭოს განუცხადა, რომ ტურიზმის პროგრამების გადაცემა ადმინისტრირების მიზნით ტურიზმის საერთაშორისო სკოლისათვის წინგადადგმული ნაბიჯია.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დებულებაში ცვლილებები და დამატებები, წარმოდგენილი სახით. (დანართი 9)

8. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა ელენე ხარაბაძემ წარმოადგინა „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და

ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის 2010 წლის 10 მარტის №27/2010 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 მაისის დადგენილება №45/2011.

ქალბატონმა ელენე ხარაბაძემ წარმოადმგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს უნივერსიტეტების შემოერთების შედეგად დაემატა 1672 სტუდენტი, შესაბამისი საათობრივი დატვირთვით, დაახლოებით 11 000 საათი. 2011 წლის მარტში ადმინსიტრაციასთან მოხდა შეთანხმება, რათა გაზრდილი დატვირთვების შესაბამისად გაზრდილიყო პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ დასძინა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ვიზირებულია შესაბამისი დეპარტამენტემების მიერ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ბრაჭულმა განაცხადა, რომ მისასალმებელი და გასახარია, როცა კოლეგებს ზოგიერთ ფაკულტეტზე ეზრდებათ ხელფასები, თუმცა გულდასაწყვეტია, როცა სხვა ფაკულტეტის პროფესორებს რჩებათ იგივე ანაზღაურება. კარგი იქნება, თუკი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, რათა მის პროფესორ-მასწავლებლებსაც გაეზარდოთ ხელფასები.

წარმოამდგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე ამ მხრივ არის ძალზედ დაძაბული მდგომარეობა, პროფესორები მოითხოვენ ხელფასების ზრდას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმოამდგენლობითი საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს დაემატა სტუდენტები, საათები, შესაბამისად გაიზარდა დატვირთვაც და შემოსავლებიც. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს მომავალ წელს მნიშვნელოვნად გაეზრდება ხელფასები გაზრდილი კონკურსისა და დაფინანსების ხარჯზე. მიმდინარე სემესტრის დასრულებისას შეჯამდება ყველაფერი და თავიდან გადანაწილდება თანხები, დაგეგმილია მაქსიმალური ოპტიმიზაცია.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ წინა სხდომებზე განხილულია მსგავსი საკითხები და ახლა განხილვის თავიდან დაწყებას აზრი არ აქვს, ვინაიდან ეს ყოველივე საკმაოდ მტკივნეულია და მისი ამოწურვა შეუძლებელია. მისასალმებელია ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მიმართ დაგეგმილი ღონისძიებები.

წარმოამდგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ განაცხადა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა შეადგინეს სპეციალური პეტიცია, რომელსაც უახლოეს მომავალში მიაწვდიან რექტორს. ისინი ითხოვენ ხელფასების ზრდას და აინტერესებთ ამ მიმართულებით უნივერსიტეტის პოლიტიკა.

ადმინსიტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეალობა ხშირად იცვლება, ამიტომაც წინასწარ პროგნოზების გაკეთება ძალიან რთულია. უნივერსიტეტს დაემატა რამდენიმე ათასი სტუდენტი, რომელთა მიმღებმა ფაკულტეტებმა ყველაზე ნაკლები სარგებელი ნახეს. აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი ზემოთხსენებული დადგენილება მხოლოდ 2011 წლის ბოლომდე იმოქმედებს. ვითარება თანდათან უკეთესობისკენ იცვლება. მაგალითისთვის, მედიცინის ფაკულტეტი სექტემბრიდან გარემონტებულ შენობაში გადავა და ექნება გაცილებით უკეთესი პირობები, რაც შესაძლებლობას მისცემს ბევრად მეტი სტუდენტი მიიღოს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის 2010 წლის 10 მარტის №27/2010 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 მაისის დადგენილება №45/2011., წარმოდგენილი სახით. (დანართი 10)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს

ხელმძღვანელი (უფროსი) დ. გეგენავა

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა (თსუ, 30 მაისი, 2011წ.)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკური გიორგი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე წინო

სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ზარამიძე ცირა
- ზახტაძე მიხეილი
- ზრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი
- ჯღამაძე უჩა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- ზურაბ გაიპარაშვილი

დადგენილება №45/2011
25 მაისი, 2011

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №27/2010 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2011 წლის 29 აპრილის №10711/02 წერილობითი მიმართვის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ,,ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №27/2010 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

ა) დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო 22-საათიან (10 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო) ყოველკვირეულ დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას - განისაზღვროს 720 ლარი თვეში, დანამატი თანამდებობრივ სარგოზე – 1480 ლარი თვეში.“.

ბ) დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო 24-საათიან (12 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო) ყოველკვირეულ დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას -განისაზღვროს 540 ლარი თვეში, დანამატი თანამდებობრივ სარგოზე – 860 ლარი თვეში.“.

გ) დადგენილებას მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე მე-4[1] პუნქტი: ,,4[1]. დადგენილების პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ, ამჟამად მოქმედ აკადემიურ პერსონალს 2012 წლის 1 იანვრამდე გაეზარდოს ყოველთვიური სახელფასო დანამატი: ა) სრულ პროფესორს - 300 ლარით; ბ) ასოცირებულ პროფესორს - 300 ლარით; გ) ასისტენტ–პროფესორს - 100 ლარით.“.

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და ასისტენტ–პროფესორების სახელფასო დანამატის ოდენობის ხელახალი განსაზღვრა განხორციელდეს მომდევნო საბიუჯეტო წლისათვის, მის დაწყებამდე.

3. წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები ძალაში შევიდეს 2011-2012 სასწავლო წლიდან.

4. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული საკითხები დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს.

5. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (30. 05. 11)
დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია:

- ალექსანდრე კვიტაშვილი (რექტორი)
- ნანი გაფრინდაშვილი
- რამაზ ქურდაძე
- ზურაბ დავითაშვილი
- მარიამ გერსამია
- ალექსანდრე შენგელაია
- ელიზბარ ნადარაია
- მაია კოპალეიშვილი
- ნუგზარ სურგულაძე
- რევაზ გველესიანი
- ქეთევან მარშავა
- ფრიდონ თოდუა
- ლავრენტი მანაგაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2010 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, 2010 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის დეტალური ანგარიში წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, რაც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ თითოეული მათგანის დატვირთვა, მნიშვნელობა და მათ მიერ წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მოცულობა. კერძოდ:

I. 2010 წლის განმავლობაში **სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის** ინიციატივით, თანამშრომლობითა და ხელშეწყობით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

<u>კონფერენცია/სემინარები</u>

- თბილისის რეგიონალური ფესტივალი - „ხარისხი და პროფესია - თბილისი, საერთაშორისო ფესტივალი", „ცხოვრება ტურიზმის გზით - ქვეყნები, ისტორია, კულტურული ტურიზმი"; ვირტუალური ექსპო და საერთაშორისო კონფერენცია (20-23 აპრილი, 2010). თანაორგანიზატორები: თბილისის სამხატვრო აკადემია და კლაუდიო დელ ბიანკოს ფონდი (ფლორენცია);
- საერთაშორისო კონფერენცია - „ქართულ-გერმანული სკოლა და სემინარი/ვორქშოფი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში" (2010 წლის 3-7 მაისი);
- საერთაშორისო კონფერენცია - „ტოლერანტობა-თანამშრომლობის წინაპირობა" - ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად (7-8 მაისი, 2010);
- სამუშაო შეხვედრის - „თურქეთის სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევების საბჭოსთან (TUBITAK) თანამშრომლობის პერსპექტივა" - ორგანიზება (2010 წლის 3 ივლისი);
- ტვინინგის პროექტის ფარგლებში თსუ-ში დაგეგმილი აკადემიური სამიტისა და სემინარების ჩატარების ორგანიზება (2010 წლის 7-9 ივლისს);
- მე-15 საერთაშორისო სემინარი/ვორქშოფის - „პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ელექტრომაგნიტურ და აკუსტიკურ ტალღურ თეორიაში" (DIPED-2010) - ორგანიზება (2010 წლის 27-30 სექტემბერი);
- ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (GERN) მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური პროექტის – ATLAS-ის ფარგლებში პირველად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის გამართული სამუშაო შეხვედრა/ვორქშოფის ორგანიზება (2010 წლის 25-29 ოქტომბერი).

<u>კვალიფიკაციის ამაღლება</u>

დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრენინგებში:

- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს „კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP)" მხარდაჭერით და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდთან და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩატარებულ სამუშაო შეხვედრების „ტექნოლოგიების ტრანსფერი და ტექნოლოგიების ლიცენზირება" სერიაში (2010 წლის 3-6 მაისი);

➢ ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით პარტნიორობა საზღვრებს გარეშე პროგრამის: „უმაღლესი განათლების დარგში ელექტრონული სწავლების გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა ესტონეთსა და საქართველოს შორის" ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობდა ორ ფაზად: 8-14 ნოემბერი (ესტონეთი) და 21–27 ნოემბერი (საქართველო);

➢ დეპარტამენტის უფროსმა, გიორგი ღვედაშვილმა გაიმარჯვა IREX-ის უნივერსიტეტის ადმინისტრატორთა მხარდაჭერის პროგრამაში კვლევის მენეჯმენტის მიმართულებით და სტაჟირება გაიარა კენტის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ, ოჰაიო) (2010 წლის ოქტომბერ - ნოემბერი)

<u>შეხვედრები/კონსულტაციები</u>

➢ პერმანენტულად წარმოებს სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტების სამეცნიერო სამსახურებთან და აკადემიურ პერსონალთან (თვეში ორჯერ) მიმდინარე სამეცნიერო, საგრანტო და საორგანიზაციო საკითხებზე;

➢ პერიოდულად მიმდინარეობს საერთაშორისო ფონდების (GRDF/CRD,USTC, NATO, ISTC, SNF, TEMPUS და სხვა) საგრანტო კონკურსების პირობების გაცნობა, ინფორმაციის გავრცელება. საკონკურსოდ წარსადგენი საგრანტო პროექტების წინასწარი მონიტორინგი, აღრიცხვა და საჭიროებისამებრ, კონსულტაციების გაწევა.

<u>სხვა აქტივობა</u>

➢ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მონაწილეობით 2010 წელს განხორციელდა **სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების** თსუ-ში ინტეგრაცია;

➢ შემოერთებული 13 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისათვის მომზადდა ახალი დებულებების პროექტები;

➢ ინსტიტუტების თანამშრომლებთან მიმდინარეობს პერმანენტული შეხვედრები ინსტიტუტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაცნობის მიზნით;

➢ დეპარტამენტის ინიციატივითა და უშუალო ხელშეწყობით „ტაო-პრივატ ბანკთან" გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი (2010 წლის 16 აპრილი);

➢ პერმანენტულად მიმდინარეობს საერთაშორისო ფონდების ადგილობრივ წარმომადგენლობებთან კონსულტაციები საგრანტო კონკურსებში თანამშრომლობის მიზნით;

➢ დეპარტამენტის ეგიდით ჩატარდა პროექტ „საბავშვო უნივერსიტეტის" ღია კარის დღე (2010 წლის 16 ოქტომბერი);

➢ მიმდინარეობს თანამშრომლობა საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებულ მეცნიერებთან; მათი მოწვევა თსუ-ში ლექციათა ციკლის ჩასატარებლად (2010 წელი: გ. გეორგიევი (ბულგარეთი); გ. პირსი (აშშ), ა. ლუნინგი (ავსტრია);

➢ დეპარტამენტის ინიციატივით, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმის ფარგლებში მოწვეულ იყვნენ უცხოურ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე თანამემამულეები, რომლებმაც ჩაატარეს საჯარო ლექცია/სემინარები სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის (გ. ბუაჩიძე, ა. ლეჟავა, ბ. კანკია, თ. ფირცხალავა);

➢ მოძიებულ იქნა ინფორმაცია არსებული ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ. შედეგების ამსახველი პრეზენტაცია წარედგინა ფაკულტეტებს და განთავსდა ვებ-გვერდზე;

➢ ფაკულტეტების დეკანებთან და სამეცნიერო სამსახურებთან კონსულტაციების შედეგად, დეპარტამენტის ხელშეწყობით და შუამდგომლობით ხელმისაწვდომი გახდა EBSCOHost, Oxfordniversity Journals, Cambridge University Journals da Lexis Nexis-ის ფრანგულენოვანი ვერსია;

➢ მიმდინარეობს კონსულტაციები Jstore-ს და Hinari-ს შეძენასთან დაკავშირებით;

- მომზადდა შეძენილი ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გზამკვლევები და განთავსდა დეპარტამენტის ვებ-გვერდზე;
- დეპარტამენტის მიერ ხორციელდება თსუ-ს დოქტორანტების სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო რეცენზირება (მიმდინარე წელს თემატიკების შესაბამისად დავუკავშირდით 160-მდე უცხოელ ექსპერტს);
- მუდმივად მიმდინარეობს უცხოელ ექსპერტთა ბაზის შევსება;
- დეპარტამენტის ბაზაზე დოქტორანტებისათვის მომზადებული საუნივერსიტეტო არჩევითი სალექციო კურსის „მეცნიერების მენეჯმენტის" ფარგლებში უკვე მე-2 სემესტრია მიმდინარეობს ლექცია\სემინარები;
- მომზადდა თსუ-ს 2010 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში და წარედგინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას;
- პერიოდულად მიმდინარეობს უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი;
- მუდმივად მიმდინარეობს დეპარტამენტში შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირება.

II. აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

2010 წლის განმავლობაში აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროპის უნივერსიტეტთა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროექტ „SIRUS"–ში (ინკლუზიური და შესაბამისი საუნივერსიტეტო სტრატეგიების ფორმულირება) ჩართვა, რომელიც ითვალისწინებს მონაწილე უნივერსიტეტებისათვის უწყვეტი განათლების სტრატეგიების შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში ხელშეწყობას. პროექტში მონაწილეობს 18 ქვეყნის 29 უნივერსიტეტი. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შედგა ვიზიტები საფრანგეთსა (ლილის უნივერსიტეტი) და ავსტრიაში (ვენის უნივერსიტეტი). საფრანგეთის სამიტზე წარვადგინეთ თსუ–ში უწყვეტი განათლების სფეროში არსებული ვითარების ანალიტიკური შეფასება, ვენის სამიტზე კი ჩვენს მიერ მომზადებული აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის განვითარების სტატეგიული გეგმა ერთ–ერთ საუკეთესოდ დასახელდა.

- აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელშეწყობით 2010 წლის სექტემბრიდან მიღება გამოცხადდა თსუ-ს ტურიზმის სკოლის სასერტიფიკატო პროგრამები. ამ დროისათვის უკვე დასრულებულია ტრენინგი ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტსა და ტურიზმის პოლიტიკაში.
- აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ინიციატივით და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან თანამშრომლობით მომზადდა და თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 6 დეკემბრის დადგენილება №139/201-ით დამტკიცდა უწყვეტი განათლების ახალი პროგრამა: წერისა და ზეპირი პრეზენტაციის უნარები.
- 2010 წლის 4 აგვისტოს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა–დისკუსია თბილისის საჯარო სკოლების დირექტორებთან, რომლის მიზანიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების სამომავლო დახვეწის მიზნით დანტერესებულ მხარეებს შორის აზრთა გაცვლა იყო.
- 2010 წლის 3 დეკემბერს გაიმართა სემინარი საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების შესახებ, რომელიც ჩვენი მოწვევით ჩაატარა ტემპუსის საქართველოს ეროვნული ოფისის დირექტორმა, განათლების ექსპერტმა ლიკა ღლონტმა.
- აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ინიციატივით 2010 წლის 3, 10 და 17 დეკემბერს თრაკიის უნივერსიტეტის პროფესორმა მარია დიმასმა თსუ–ს ახალი ბერძნული ენის მასწავლებლებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ჩაატარა სემინარები თემაზე: ბერძნული ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები.

➢ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ორგანიზებით 2010 წლის განმავლობაში ჩატარდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები, შემდეგ საგნებში: მასწავლებლის პროფესიული უნარები, მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, გერმანული, ინგლისური.

III. საფინანსო დეპარტამენტი

2010 წელს საფინანსო დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავდა ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიმართულებებით.

➢ თსუ-ს 2010 წლის ბიუჯეტის პროექტი შემუშავდა ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად და აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით წარედგინა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად 2009 წლის დეკემბრის თვეში, ანუ წესდებით დადგენილ ვადაში.

➢ თსუ-ს 2010 წლის შემოსავლები განისაზღვრა 45 892 802 ლარით. მათ შორის; სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 3 064 667 ლარი, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს 364 950 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტით საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა 37 876 ლარი; ეკონომიკური შემოსავლები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით (სასწავლო გრანტი, სწავლის ქირა, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები)- 36 744 753 ლარი. ეროვნული სამეცნიერო გრანტები 2009 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით 3 867 858 ლარი, საერთაშორისო გრანტები 2009 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით 1 274 337 ლარი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები 2009 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით -538 361 ლარი.

➢ 2010 წლის ბიუჯეტში, ისევე როგორც გასული წლების ბიუჯეტში, ფაკულტეტებს ცალკე მუხლად განესაზღვრათ ძირითადი შტატის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის, კონტრაქტით და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების, აკადემიური პერსონალის ხელფასზე დანამატის, აგრეთვე მივლინების, სასწავლო პრაქტიკის, სამეცნიერო ექსპედიციების, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შეძენის და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სხვა ხარჯები, სამეცნიერო ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ნიჭიერ სტუდენტთა წახალისების ფონდი და სტიპენდიები. ამით გაგრძელდა წინა პერიოდში გამოკვეთილი კურსი ფინანსური რესურსების განკარგვაში ფაკულტეტებისათვის სულ უფრო მეტი უფლებების დელეგირების მიმართულებით, რაც მიზნად ისახავდა აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების მოწესრიგება-რაციონალიზაციას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და სწავლების მოტივაციის ამაღლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთმა მიდგომამ საერთო ჯამში უდაოდ იქონია პოზიტიური ეფექტი. ამაღლდა ფაკულტეტების ავტონომიურობის ხარისხი და პასუხისმგებლობა ბიუჯეტის პრიორიტეტული მუხლების ხარჯვითი მიმართულებების მიმართ.

➢ 2010 წლის ბიუჯეტში, სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებებისათვის კერძოდ, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, ასევე წიგნების, სასტამბო-საგამომცემლო მომსახურების და სხვა სახის მომსახურების შესაძენად გამოყოფილი იყო 550 ათასი ლარი. გამოყოფილ თანხებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განკარგავდა თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა.

➢ ასევე შეფერხებების გარეშე ფინანსდებოდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო და სხვა ღონისძიებები. მოწინავე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ პრეზიდენტის 150 ლარიანი სტიპენდიით. სულ 280 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა სტიპენდია. ასევე მაგისტრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, უნივერსიტეტის სახსრებით იქნა დაფინანსებული.

➢ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში" უნივერსიტეტს გამოუყო 37876 ლარი, რომელიც მოხმარდა უნივერსიტეტის XI კორპუსში არსებული ზოოლოგიის მუზეუმის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშოებს.

➢ საქართველოს მთავრობის დადგენილებებით 2010 წელს თსუ-ს შემოუერთდა 13 სამეცნიერო-კვლევითი და 2 სასწავლო ინსტიტუტი. გარკვეული მუშაობა ჩატარდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დროულად იქნა წარდგენილი 2011-2014 წლების საბიუჯეტო განაცხადი, რომელშიც გათვალისწინებული იქნა იმ პერიოდისათვის შემოერთებული ინსტიტუტების მონაცემებიც.

➢ სწორი ფინანსური მენეჯმენტის განხორციელების, ფინანსური რესურსების დაზოგვისა და ხარჯების ოპტიმიზაციის, ასევე, სახსრების ეკონომიისა და შემოსავლების ზრდის ხარჯზე 2011 წლის ბიუჯეტში შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის დამხმარე პესონალისათვის, ლაბორანტებისათვის, ინჟინრებისათვის, სპეციალისტებისათვის 100 ლარის ოდენობით ხელფასის ზრდა.

➢ 2010 წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებას, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენას. 2010 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშავდებოდა 129 საგრანტო პროექტი. მათ შორის: 87 – ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 42 – საერთაშორისო.

➢ უნივერსიტეტში დროულად და შეუფერხებლად ხორციელდებოდა ხელფასებისა და სხვა ფულადი სახსრების გაცემა. დიდი ყურადღება ექცეოდა დებიტორ-კრედიტორულ და ანგარიშვალდებულ პირებზე დავალიანებათა შემცირების საკითხს. სისტემატურად მიმდინარეობდა სალაროსა და საწყობის მოულოდნელი შემოწმებები, სადაც მნიშვნელოვან დარღვევას ადგილი არ ჰქონია. დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წლიური ბალანსების ჩაბარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

➢ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში 2010 წლის განმავლობაში გამოცხადდა 28 ტენდერი და დადებული იქნა 1672 ხელშეკრულება თანხით 7 520 552 ლარი. წლის განმავლობაში აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში ტენდერის საშუალებით შესყიდვის მოცულობამ შეადგინა – 2 412 622.00 ლარი, ფასთა კოტირებით შესყიდვამ – 88 680.00 ლარი, ხოლო ერთ პირთან მოლაპარაკებით – 5 019 250.00 ლარი.

➢ ეროვნული სამეცნიერო ფონდების გრანტებით დაფინანსების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ჩატარდა 1 ტენდერი 252 400.00 ლარის ფარგლებში. ერთ პირთან მოლაპარაკებით გაფორმდა 352 ხელშეკრულება – 372 636.00 ლარის ფარგლებში. სულ შესყიდვის მოცულობამ შეადგინა – 625 036.00 ლარი.

➢ საერთაშორისო საგრანტო პროექტებით მიღებული დაფინანსებით განხორციელებული 141 შესყიდვის მოცულობამ კი შეადგინა 399 054.00 ლარი.

➢ 2010 წლის 1 დეკემბრიდან შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. თსუ, როგორც ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაცია, აქტიურად ჩაერთო სისტემაში და გასულ წელს გაკეთდა ცხრა სატენდერო განცხადება.

➢ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სერიოზული მუშაობა გასწია 2010 წლის ბოლო პერიოდში 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის და დასამტკიცებლად დროულად წარდგენისათვის.

IV. პერსონალის მართვის დეპარტამენტი

2010 წელს პერსონალის მართვის დეპარტამენტი ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

➢ 2010 წელს თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის მომზადება და დამტკიცება წარიმართა დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობით, ფაკულტეტებთან კონსულტაციების საფუძველზე. თსუ აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგში, რამდენჯერმე, ფაკულტეტების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები და შესაბამისი წესით შეთანხმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და გამოიცა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი (2010 წლის: 4 თებერვალი, ბრძანება № 17/02-01; 12 მარტი, ბრძანება №48/02-01; 22 მარტი ბრძანება №62/02-01; 31 მაისი ბრძანება №107/02-01; 7 ივლისი ბრძანება №156/02-01; 27 სექტემბერი ბრძანება №220/02-01; 27 დეკემბერი, ბრძანება №293/02-01, 27 დეკემბერი, ბრძანება№294/02-01.)

➢ დამტკიცებული საშტატო განრიგისა და სახელშეკრულებო ვადების გათვალისწინებით, 2010 წლის განმავლობაში კონკურსი გამოცხადდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. საკონკურსო წესით შერჩეულ აკადემიურ პესონალთან საკონტაქტო დატვირთვის გათვალისწინებით განისაზღვრა შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები; მოცულობითი სამუშაო განხორცილდა 2009-2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში. თსუ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის 25-ე, 26-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე და 32-ე დადგენილებების მოთხოვნის საფუძველზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტებზე დაზუსტდა აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების პირობები. თითოეული პროფესორის ხელშეკრულებაში შევიდა შესაბამისი ცვლილება მხარეთა შეთანხმებით. ცვლილება შეეხო 550 პროფესორთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას.

➢ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 122-ე დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, სასწავლო წლის დასაწყისში, გაკონტროლდა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო დატვირთვების შესაბამისობა პროფესორებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან. ინფორმაცია პროფესორის ინდივიდუალურ დატვირთვასთან შედარების მიზნით მიეწოდა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს.

➢ სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების მიხედვით, ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო საათების გათვალისწინებით, შრომითი ხელშეკრულება გაფორმდა 1811 მოწვეულ პედაგოგთან (მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 354, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 179, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 184, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 518, იურიდიულ ფაკულტეტზე 123, მედიცინის ფაკულტეტზე 122, ენების შემსწავლელ ცენტრში 316, აბიტურიენტთა მოსამზადებელ ცენტრში 15)

➢ თსუ-ს ფაკულტეტებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში მოწვეულ დამხმარე პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმება და რეგულირება, გასულ, 2010 წელს ხდებოდა სამთვიანი პერიოდულობით. ხელშეკრულებების გაფორმება და განახლება განხორციელდა 766 თანამშრომელთან.

➢ დეპარტამენტის პასუხისმგებლობით, ისევე როგორც გასულ წლებში, განხორციელდა საკადრო ბაზაში სახელშეკრულებო მონაცემების, მათ შორის ხელფასის შესახებ მონაცემების შეტანა და კონტროლი.

➢ დეპარტამენტმა თსუ 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით დაასრულა პერსონალის შესახებ ინფორმაციის შეტანა სააღრიცხვო პროგრამა „ორის მენეჯერში" (აქვე შევნიშნავთ, რომ დღემდე მოქმედია ძველი „საკადრო ბაზა", სადაც დაარქივებულია 1998 წლიდან 2009 წლის ჩათვლით პერსონალთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და ამავე დროს ფიქსირდება მიმდინარე მონაცემები, „ორის მენეჯერის" საბოლოოდ დანერგვამდე დეპარტამენტი მუშაობს ორივე ბაზაში, რაც შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას ზრდის);

➢ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნით, 2009 წელს თსუ აკადემიური პერსონალის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეტანილი იქნა პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში. 2010 წლის განმავლობაში, დეპარტამენტის მიერ სისტემატურად ხდებოდა აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების დარეგისტრირება და რეესტრში ჩვენს მიერ შეტანილი მონაცემების მონიტორინგი.

➢ დეპარტამენტი ახორციელებს თსუ-სა და სადაზღვევო კომპანიას შორის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული საკითხების კოორდინაციას (ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით მოცული იყო თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი, სულ 1250-მდე პირი): ყოველთვიურად კონტროლდება და ზუსტდება დაზღვეული პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა, რის საფუძველზეც საფინანსო დეპარტამენტი ახდენს თანხის გადარიცხვას. დეპარტამენტიდან გამოყოფილი საკონტაქტო პირი თავისი კომპენტენციის ფარგლებში კონსულტაციას უწევს თსუ პერსონალს დაზღვევის დამატებით პირობებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას თსუ ვებ-გვერდზე, განცხადებების მიღებას შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით და გადაცემას სადაზღვევო კომპანიისადმი.

➢ 2010 წლის აგვისტოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის სამუშაო ჯგუფი, პერსონალის მართვის დეპარტამენტმა მოამზადა და გადასცა მათ ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია.

➢ დეპარტამენტის მიერ მომზადდა უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მიმდინარე და ჯამური სტატისტიკური ანგარიშები და მიეწოდა შესაბამის სტრუქტურებს დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად;

➢ დეპარტამენტმა განახორციელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ (სსიპ აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 6 აპრილის №26 ბრძანება) აკრედიტებული და ახლადდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისათვის – ადამიანური რესურსების ნაწილში ყველა საჭირო მასალის (აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა, კვალიფიკაციის მახასიათებლები, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის მაჩვენებლები და ა.შ.) სისტემატიზაცია, ანალიზი და სრულყოფილი სახით მიაწოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

➢ 2010 წლის განმავლობაში დამუშავდა, აიკინძა და თსუ არქივს მიეწოდა 1945 ყოფილი თანამშრომლის პირადი საქმე (შევნიშნავთ, რომ თსუ ყოფილი თანამშრომლებისა პირადი საქმეების მოწესრიგება, დამუშავება და აკინძვა შრომატევადი და სპეციფიური სამუშაოა, რისთვისაც დამატებით ხდებოდა სპეციალისტების მოწვევა. უკვე სამი წელია დეპარტამენტი აღნიშნულ სამუშაოს ასრულებს საკუთარი ადამიანური რესურსის ხარჯზე. რასაკვირველია, გათვალისწინებულია პერსონალის მატერიალური წახალისება, რაც რამდენჯერმე ნაკლებია დამატებითი პერსონალის მოწვევის ხარჯებთან შედარებით. ამასთან, სამუშაოც მეტი პასუხისმგებლობითა და სიზუსტით სრულდება).

➢ დეპარტამენტი მონაწილეობს უნივერსიტეტში შექმნილი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში: დეპარტამენტის ხელმძღვანელი არის სატენდერო კომისიის წევრი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უფროსი სპეციალისტი ჩართულია საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობაში, მთავარი სპეციალისტი ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედ დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიას.

➢ 2010 წელს რამდენჯერმე ჩატარდა კონკურსი დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის შერჩევის მიზნით, ასევე სხვადასხვა სამსახურებისათვის კონკრეტული სპეციალობისა და კვალიფიკაციის სპეციალისტთა შესარჩევად. შესაბამისი ადმინისტრაციული აქტების პროექტები მომზადდა დეპარტამენტის მიერ, დეპარტამენტი მონაწილებდა კომისიების მუშაობაშიც.

➢ 2010 წლის ნოემბრიდან დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე შემოერთებული სასწავლო უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პერსონალის პირადი საქმეების, საშტატო განრიგების, სახელფასო სისტემების, პერსონალთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლისა და დამუშავების მიმართულებით.

დეპარტამენტი სისტემატურად ახორციელებდა დებულებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას:

➢ ყველა კატეგორიის პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე) ვაკანსიაზე დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, გათავისუფლებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგებას, შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას და წარდგენას ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;

➢ შემოსული კორესპონდენციის განხილვას და ადრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზაციას, ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლს (2010 წლის განმავლობაში პერსონალის მართვის დეპარტამენტში შემოსულია 4 702 სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტი);

➢ საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადებას და წარდგენას დანიშნულების მიხედვით;

➢ თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარების გაწევას თსუ-ს პერსონალისათვის.

➢ თსუ-ს პერსონალისათვის თანამდებობისა და ხელფასის ოდენობის დამადასტურებელი ცნობების გაცემას (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

➢ თსუ-ს პერსონალის მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლების კონტროლს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის მიზნით.

➢ თსუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შვებულებების გრაფიკის კონტროლს.

V. კანცელარია

2010 წელს კანცელარიაში დარეგისტრირდა:

შემოსული კორესპოდენცია	32 098
აქედან კონტროლზე იქნა აყვანილი	2 816
გასული კორესპოდენცია	7 279

➢ რეაგირება მოხდა კანცელარიაში შემოსულ ყველა დოკუმენტზე;

გამოიცა ბრძანებები	5 705
გაფორმდა ხელშეკრულებები	8 775

გთავაზობთ 2007--2010 წლებში კანცელარიაში დოკუმენტბრუნვის მონაცემების შედარებით ანალიზს:

	შემოსული კორესპოდენცია	ბრძანებები	ხელშეკრულებები	გასული კორესპოდენცია
2007 წელი	18 945	3 448	2 462	32 552
2008 წელი	25 482	4 573	3 349	20 565
2009 წელი	31 227	5 372	6 946	20 801
2010 წელი	32 098	5 705	8 775	7 279

- კორესპოდენციისა და ბრძანებების რაოდენობის მატება ძირითადად ფიქსირდება სტუდენტთა მობილობისა და მივლინებების ზრდის ხარჯზე. ხოლო ხელშეკრულებების რაოდენობა გაიზარდა მოკლევადიანი ხელშეკრულებების, საათობრივი წესით მოწვეული პედაგოგების ხელშეკრულებებისა და შესყიდვების ხელშეკრულებების ზრდის ხარჯზე.
- გასული კორესპონდენციის რაოდენობა ძირითადად შემცირდა მას შემდეგ, რაც სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობების გაცემის უფლებამოსილება გადაეცა ფაკულტეტებს.
- ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ დოკუმენტბრუნვა ბოლო წლებში თითქმის ორჯერ გაიზარდა, მიუხედავად ამისა კანცელარიის თანამშრომელთა რაოდენობა 2007 წლის შემდგომ არ შეცვლილა, რაც მიღწეულია კანცელარიის მუშაკთა საქმიანობის ოპტიმიზაციით.
- გასული წლის განმავლობაში კანცელარია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დოკუმენტების არქივირების პროცესს, ყველა ფაკულტეტზე და სტრუქტურულ ერთეულებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, მოწვეულ იქნა სპეციალისტები ცენტრალური არქივიდან, რამაც მოგვცა საშუალება მოგვეხდინა დიდი მოცულობის მასალის დამუშავება: დოკუმენტების აღწერა, ექსპერტიზა, მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტების საქმეებად მოწესრიგება. დამუშავდა და არქივს გადაეცა 2007 წლამდე ფაკულტეტებსა და სხვადსხვა სტრუქტურულ ერთეულებში არსებული დოკუმენტაცია.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №72 „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ“, საფუძველზე შემუშავდა ნაერთი ნომენკლატურის პროექტი 2011 წლისათვის, რომელიც უახლოეს პერიოდში წარედგინება საექსპერტო კომისიის სხდომას დასამტკიცებლად. აღსანიშნავია, რომ ნომენკლატურა, არ განახლებულა 2000 წლის შემდგომ. ახალი ნაერთი ნომენკლატურა საშუალებას მოგვცემს შესაბამისად განისაზღვროს დასაარქივებელი დოკუმენტების სახეები.
- კანცელარიაში შეიქმნა და დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოება, რომლის საშუალებითაც ხდება შემოსული და გასული კორესპოდენციის რეგისტრაცია და დოკუმენტების აღრიცხვა. მონაცემთა ბაზა საშუალებას იძლევა გვქონდეს სრული სურათი დოკუმენტების შესრულების შესახებ, ყოველთვიურად დგება შეუსრულებელი დოკუმენტების

ნუსხა, რომელიც ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი რეაგირებისათვის. კანცელარიის მსგავსად ელექტრონული საქმისწარმოება დაინერგა ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში, რომელიც ჩვენ მიერ მათი საქმიანობის გათვალისწინებით იქნა ადაპტირებული. უნდა აღინიშნოს რომ კანცელარიაში მოქმედი პროგრამა მუშაობს ავტონომიურ რეჟიმში, – თსუ-ში მოქმედი ქსელური სისტემის – კანცელარიის ჯგუფში, იგი მოკლებულია დოკუმენტის ელექტრონული ვერსიის მოძრაობის საშუალებას თსუ სტრუქტურულ ერთეულებსა და ფაკულტეტებზე. ამჟამად ტარდება საორგანიზაციო სამუშაოები ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფისათვის, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

VI. იურიდიული დეპარტამენტი

(2010 წლის 29 დეკემბრის მონაცემებით)

სასამართლო პროცესები

- მიმდინარე სასამართლო პროცესები – 13
- მათ შორის: აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა – 5;
- სხვა დანარჩენი – 8;
- დამთავრებული საქმეები – 11; მათ შორის – 9 სარჩელი არ დაკმაყოფილდა; 2 სარჩელი დაკმაყოფილდა;
- მიმდინარე საქმეებიდან სააპელაციო წესით მოგებულია – 9 სასამართლო პროცესი.
- მორიგება – 1;
- პირველ ინსტანციაში მოგებულია – 2;

საჯარო ინფორმაცია

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეგისტრირებულია 80 განაცხადი.

აღნიშნული 80 განაცხადიდან:

- 38 განაცხადით მოთხოვნილ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და დამხმარე პერსონალის თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია - ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 9 განაცხადით მოთხოვნილ იქნა საფინანსო სახის დოკუმენტაცია - ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 4 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია უნივერსიტეტის თანამშრომელთა შესახებ – ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 3 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია პერსონალური მონაცემის შესახებ - რაზედაც განმცხადებლებს მიეცათ განმარტება, რომ აუცილებელია იმ პირთა თანხმობა, რომელზეც ითხოვენ ინფორმაციას.
- 8 განაცხადით მოთხოვნილ იქნა რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ადმინისტრაციული აქტის ასლი - ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 2 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია სასწავლო სფეროში სპეციალობების მიხედვით ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და ასპირანტურის (დოქტორანტურის) სტუდენტთა

(მათ შორის სახელმწიფო დაფინანსების მქონე) სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესახებ - ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

- 3 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიხედვით საშტატო და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა და აგრეთვე დამხმარე სასწავლო პერსონალის (ლაბორატორიების გამგეებისა და ლაბორანტების) რაოდენობა – ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში აუდიტორიების რაოდენობასა და ლაბორატორიების ჩამონათვალის თაობაზე - რაც დაკმაყოფილდა.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია დევნილი სტუდენტებისა და წარჩინებული სტუდენტების რაოდენობის შესახებ - რაც დაკმაყოფილდა.
- 4 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ – ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია 1990 წლიდან 2009 წლის ჩათვლით უცხოეთში მოღვაწე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესახებ – რაც დაკმაყოფილდა.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე სტუდენტების შესახებ – რაც დაკმაყოფილდა.
- 1 განაცხადით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია უნივერსიტეტის მეცნიერ – თანამშრომლებზე სტიპენდიის დანიშვნის შესახებ – რაც დაკმაყოფილდა.
- 4 განაცხადით მოთხოვნილ იქნა სხვადასხვა შინაარსის საჯარო ინფორმაცია - ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მხრიდან შემოსული განცხადებები - 1470 განცხადება;

მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა ურთიერთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებასა და მემორანდუმს –22;

მომზადდა ქირავნობის, მომსახურებისა და იჯარის ხელშეკრულებები – 63;

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების დადგენილი ფორმით გადმოცემასთან დაკავშირებით, უზრუნველვყავით შიდა აზომვების, საკადასტრო აზომვებისა და სხვა საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში წარდგენა შემდეგ ობიექტებთან დაკავშირებით (2010 წლის 29 დეკემბრის მონაცემებით):

- სასწავლო კორპუსი №4 - ჭავჭავაძის გამზ. №14;
- სასწავლო კორპუსი №5 - ჭავჭავაძის გამზ. №36;
- სასწავლო კორპუსი №3 – ჭავჭავაძის გამზ. 11;
- სასწავლო კორპუსი №8 – ჭავჭავაძის გამზ. №13;
- არ. ჩიქობავას სახ. იბერია კავკასიური ენათმეცნიერების კაბინეტი – ჭავჭავაძის გამზ. №19 ბინა 22;
- სოფ. ტაბახმელაში – 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იონოსფეროს სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია; 2. სასწავლო-საკონფერენციო ცენტრი;
- გმირ კურსანტთა ქ. №-3-ში მდებარე შენობა-ნაგებობა – დარეგისტრირდა სახელმწიფო საკუთრებად და ველოდებით უზუფრუქტის ფორმით გადმოცემას;
- ექსპერიმენტალური ბაზა – ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №87.

- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი ორგანოების მიერ გამოხატულია თანხმობა ხსენებული უძრავი ქონების, ინფრასტრუქტურის განვითარებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტისათვის გადმოცემაზე, თანამედროვე სტილის შენობა-ნაგებობების აშენებისა და სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის მოწყობის წინაპირობით.
  - საკითხი განსახილველად გადაეცა წარმომადგენლობით საბჭოს, რომელმაც გამომდინარე იქიდან, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა დაკავშირებული იქნება ხარჯებთან, მიიღო გადაწყვეტილება, ამ ეტაპზე უძრავი ქონების სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადმოცემის მიზანშეუწონლობის თაობაზე.
  - დეპარტამენტი ინტენსიურად მუშაობდა და აგრძელებს მუშაობას უძრავი ქონების სამართლებრივი რეგისტრაციის მიმართულებით.
  - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 15.09.2008წ. №130 დადგენილებით იურიდიულ დეპარტამენტს დაევალა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების შედეგებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა პროცედურულ დარღვევებზე და აკადემიური საბჭოსათვის შედეგების შესახებ დასკვნის წარდგენა, აღნიშნული დასკვნა მომზადებული და წარდგენილი იქნა იურიდიული დეპარტამენტის მიერ.
  - იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობას იღებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებებში.
  - იურიდიული დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული საინვენტარიზაციო კომისიისა და ინსპექტირების ჯგუფის საქმიანობაში.
  - იურიდიული დეპარტამენტი მისი ხელმძღვანელის სახით მონაწილეობს სატენდერო კომისიის მუშაობაში.
  - მომზადდა ბაგების სტუდქალაქის თემასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოიცავდა სტუდენტების ფართით დაკმაყოფილების, ფართების უკანონოდ დაკავების ფაქტებზე შემდგომი რეაგირების, ცნობების გაცემის მიზანშეწონილობის საკითხებს, ამ კუთხით მჭიდროდ ვთანამშრომლობდით მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტთან, ბაგების სტუდქალაქის ადმინისტრაციასთან, ოკუპირებული ტერიტორიების, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან. მომზადდა ბაგების სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესი.
  - იურიდიული დეპარტამენტი უწევდა შესაბამის კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებს, ასევე აქტიურად თანამშრომლობდა სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულებების მომზადების კუთხით, დეპარტამენტის ხელმძღვანელი ახდენდა მათ ვიზირებას.

VII. კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი

<u>კულტურა</u>

- 2 იანვარი – საახალწლო გადაცემაში პირდაპირი ჩართვა ჩარგლიდან. გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლ „თსუ–გორდელა" კონცერტი;
- 3–4იანვარი – საახალწლო კარნავალი უნივერსიტეტის თანამშრომელთა ბავშვებისათვის;
- 5 იანვარი – რადიო 1 არხის გადაცემაში „რადიოანშლაგი" გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლ „თსუ–გორდელას" სოლო კონცერტი;
- 8 თებერვალი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო ღონისძიება;

- 25 მარტი – გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლ „თსუ–გორდელამ” მიიღო მონაწილეობა, სამედიცინო უნივერსიტეტში გამართულ საქველმოქმედო კონცერტში ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად;
- 14 თებერვალი – ვალენტინობასთან დაკავშირებით თსუ მერვე კორპუსის სააქტო დარბაზში თეატრალურმა დასმა „სხვენი” გამართა ლიტერატურული საღამო;
- 16 თებერვალი – თსუ მეორე კორპუსში გაიმართა კულტურის და სპორტის ცენტრის პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იქნა 2010 წლის სამოქმედო გეგმა;
- 4 მაისი – თეატრალური დასი „სხვენის” წარმოდგენა დედათა დღესთან დაკავშირებით;
- 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თეატრალიზებული წარმოდგენა. კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებისა და თსუ თეატრალურ დას „სხვენის” ერთობლივი საღამო;
- 30 მარტი – თსუ მერვე კორპუსის სააქტო დარბაზში შედგა თეატრალური დასი „სხვენის“ სპექტაკლის „სამანიშვილის დედინაცვალის” პრემიერა;
- 7 აპრილი – თინათინ მღვდლიაშვილისადმი მიძღვნილი საღამო. კონცერტი – ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტის” შესრულებით;
- 28-29 აპრილი – ჰერეთის დღეებისადმი მიძღვნილი კონფერენცია და კონცერტი. უნივერსიტეტის VIII კორპუსი. გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლი „თსუ–გორდელასა და ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ „უნივერსიტეტის” შესრულებით;
- 3-7 მაისი ქართულ - გერმანული სკოლის „GGSWHP” კონფერენცია კულტურის ცენტრ „მუზა”–ში. საკონცერტო პროგრამა: ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი”. გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლი „თსუ–გორდელა”. ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი”;
- 5 მაისი – პროექტ „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას” ფარგლებში გამართული საკონცერტო პროგრამა. ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტის” შესრულებით;
- 14 მაისი – თსუ-ს VIII კორპუსში გაიმართა ტრადიციული მუსიკის გოგონათა ანსამბლის „თსუ–გორდელას” სოლო კონცერტი;
- 17 მაისი – თსუ-ს „მან–სან–კან”-ის გუნდმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული;
- 2 ივნისი – ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ორგანიზებით გაიმართა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღო „თსუ–გორდელამ”;
- 2, 3 და 4 აგვისტოს გაიმართა ტრადიციული ხელოვნებისა და ფოლკლორის უნივერსიტეტთაშორისი სტუდენტური ფესტივალი „ერის ხმა”. ფესტივალში მონაწილეობდა საქართველოს ყველა უნივერსიტეტი. „ერისხმის” იდეის ავტორი გახლავთ თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ხარჯავანიძე, ორგანიზატორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა და კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. ფესტივალის მიზანია ახალგაზრდებში ქართული ფოლკლორისა და კულტურის წარმოჩენა-პოპულარიზაცია და ხელოვნების სხვადასხვა დარგში ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა. მასში მთელი საქართველოდან 21 უნივერსიტეტის 700 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.
- 16 აგვისტო – 3 სექტემბერი ჩათვლით თსუ–ს ქორეოგრაფიული ანსამბლი იმყოფებოდა ესპანეთის ქალაქ ვალენსიასა და რონდაში საერთაშორისო ფესტივალზე. სადაც მონაწილეობდა მსოფლიოს 20 – მდე ანსამბლი. თსუ–ს ანსამბლმა აიღო გრან–პრი. თსუ–ს ქორეოგრაფიული ანსამბლის წარმატებული გამოსვლის შედეგად, კოლექტივი ექსკლუზიურად მიიწვიეს ესპანეთის სხვადასხვა ქალაქებში კონცერტების ჩასატარებლად.
- 20 სექტემბერი – სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით ჩატარდა კონცერტი რესპუბლიკის მოედანზე: თსუ გორდელას, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ „უნივერსიტეტის”, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „უნივერსიტეტის“ და პოპულარულ ჯგუფ „მგზავრების” მონაწილეობით;

- 28 სექტემბერს უნივერსიტეტის მე-8 კორპუსში გაიმართა თსუ-გორდელას სოლო კონცერტი;
- 10 – 15 ნოემბერი – უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი 2" იმყოფებოდა საერთაშორისო ფესტივალზე თურქეთში ქალაქ მერსინში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა და გრან-პრი მიიღო;
- 12 ნოემბერს – ჩატარდა „მან–სან–კანი"-ის ჩემპიონატის პირველი ტური თსუ-ს თასისათვის;
- 23 ნოემბერს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართება ნუკრი კაპანაძისა და „თსუ-გორდელას" ერთობლივი კონცეტრი.
- 26 ნოემბერს გაიმართა ტრადიციული ერის მოამაგეთა დაჯილდოების კონკურსი „სოფლის მაშენებელი 2010" . თსუ-გორდელას და მის ხელმძღვანელ თამაზ მამალაძეს ეროვნული იდეალების ერთგულებისა და სასახელო მამულიშვილობისათვის მიენიჭა ტიტული „სოფლის მაშენებელი 2010";
- 21 დეკემბერს თსუ–ს მე–8 კორპუსის სააქტო დარბაზში თეატრალურმა დასმა გამართა პრემიერა სპექტაკლისა – „ჭრილობა".
- 21, 22, 24 დეკემბერი – დიდი ხნის შესვენების შემდეგ უნივერსიტეტში კვლავ აღსდგა სტუდენტური დღეები;
- 25, 26 დეკემბერი – „მან–სან–კანის" მერვედფინალური შეხვედრები თსუ-ს თასის ნახევარფინალისათვის ბრძოლაში;
- 27 დეკემბერს – ტელეკომპანია მზის ორგანიზებით გაიმართა კონცერტი „თსუ–გორდელას" მონაწილეობით;
- 29 – 30 დეკემბერს – უნივერსიტეტის თანამშრომელთა ბავშვებისათვის გაიმართა საახალწლო წვეულება, მოეწყო თეატრალური წარმოდგენა უნივერსიტეტის თეატრალური დასი „სხვენი"-ს შესრულებით.
- 2010 წელს თსუ-ში ჩამოყალიბდა ცეკვის სექცია;
- 2010 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ხალხურ ტრადიციულ საკრავებზე დაკვრის შემსწავლელი სექცია.

<u>სპორტი</u>

- 19 თებერვალი – თსუ-ს ვაჟთა საკალათბურთო გუნდმა საქართველოს თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა;
- 20 თებერვალს – ნიუ–ჯერსის შტატის ქ. ბორდენთაუნში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ათლეტიზმში. საქართველოს ნაკრები დაკომპლექტებული იყო თსუ–ს გუნდის წევრებით. გუნდმა 10 ოქროს, ორი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ლევან ციციშვილმა (90 კგ) ორი რეკორდი დაამყარა.
- 10 მარტი – უნივერსიტეტის გოგონათა საკალთბურთო გუნდი საქართველოს თასის მფლობელი გახდა.
- 16 აპრილი – აჭარის ღია ჩემპიონატში თსუ–ს სახელით მიიღო მონაწილეობა თსუ მშვილდოსნობის გუნდმა. სადაც თსუ-ს სტუდენტმა დავით ჭელიძემ მესამე ადგილი დაიკავა.
- 4 - 5 მაისი – საქართველოს ჩემპიონატში, იუნიორთა შორის მშვილდოსნობაში, თსუ-ს სტუდენტმა დავით ჭელიძემ პირველი ადგილი დაიკავა.
- 10 მაისი – უნივერსიტეტის ქალ კალათბურთელთა გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა.
- 15 მაისი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს უნივერსიადაზე 15 ოქრო, 10 ვერცხლი და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და დაიკავა მეორე გუნდური ადგილი.

- 20 მაისი – უნივერსიტეტის ვაჟთა საკალათბურთო გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ვერცხლის მედლები მოიპოვა;
- 28 მაისი – უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდმა საქართველოს თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა.
- 4 იანვარი – თსუ-ს ფუტზალის საფეხბურთო გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა;
- 5 ივნისი – თსუ მეორე კორპუსში გაიმართა შეჯიბრი საქართველოს თასზე ათლეტიზმში. ათლეტიზმის ნაკრებმა გუნდმა 13 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი მოიპოვა და საქართველოს თასი დაისაკუთრა;
- ოქროს მედლები მოიპოვეს თსუ-ს სტუდენტებმა:

1. ლევან ციციშვილმა – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (90 კგ. კატეგორია);
2. სტეფანე წიკლაურმა – იურიდიული ფაკულტეტი (110 კგ. კატეგორია);
3. მსოფლიო ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ბიცეპსებით წონის აწევაში ლევან ციციშვილმა საქართველოს თასის გათამაშებაზე თავისივე მსოფლიო რეკორდი 2,5 კგ–ით გააუმჯობესა და 100 კგ დაძლია;
4. თსუ-ს დაცვის თანამშრომელმა ზაურ ჯავახიშვილმა (67,5 კგ. კატეგორია) საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა 192,5 კგ აჭიმა და ოქროს მედალი მოიპოვა.

- 9 - 13 ივნისი – ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის შედეგად დაკავშირებულ სამ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ქ. ყარსში, თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტში, ჩატარდა სტუდენტური საზაფხულო ზეიმი. მონაწილოებდა 5 უნივერსიტეტი: თბილისის სახელმწიფო, ბაქოს, ყარსის, ნახიჩევანის და ახალციხის უნივერსიტეტები. ღონისძიება მოიცავდა სპორტული შეჯიბრებების სხვადასხვა სახეობებს: მ/ჩოგბურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი, ბადმინტონი, ჭადრაკი და მინი–ფეხბურთი.

თსუ-ს გუნდებმა ექვსივე სახეობაში მიიღეს მონაწილეობა და პირველობა არავის დაუთმეს:

1. მ/ჩოგბურთი	გოგონები – I	ვაჟები– III
2. ჩოგბურთი	გოგონები – I, II	
3. ფრენბურთი	გოგონები – I	ვაჟები – III
4. ჭადრაკი	გოგონები - I, II	ვაჟები – II, III
5. მინი–ფეხბურთი	ვაჟები – I	

- 20 ივნისი – გაიხსნა მაღლივი კორპუსის სპორტული დარბაზი;
- 20-25 დეკემბრს ბაქსვუდის თასზე თსუ-ს ქალ ფრენბურთელთა გუნდმა მე-2 ადგილი დაიკავა;
- 27 დეკემბერი – უნივერსიტეტის სტუდენტურმა საფეხბურთო გუნდმა კომპანია „რომპეტროლის" თასზე, მეორე ადგილი მოიპოვა;
- 2010 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ვაჟ ხელბურთელთა სექცია, საიდანაც ჩამოყალიბდა თსუ-ს ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს 2010–2011 წლის სეზონის საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, გუნდი ამჟამად მესამე ადგილზე იმყოფება და იბრძვიან საქართველოს ჩემპიონობისათვის;
- 2010 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ქალ ფრენბურთელთა სექცია, საიდანაც შეიქმნა უნივერსიტეტის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩეპიონატის 2010–2011 წლის სეზონში, იგი ამჟამად ნახევარფინალში იმყოფება და იბრძვის საქართველოს ჩემპიონობისათვის;
- 2010 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ვაჟთა სტუდენტური გუნდი, რომელიც მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში და ცხრილის სათავეში იმყოფება;

- 2010 წელს თსუ-ში ჩამოყალიბდა ვაჟ ხელბურთელთა სექცია;
- 2010 წელს თსუ-ში ჩამოყალიბდა მშვილდოსანთა სექცია;
- 2010 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა მაგიდის ჩოგბურთის სექცია;
- 2011 წლის სეზონში ქალ კალათბურთელთა გუნდი საქართველოს ჩემპიონატის ლიდერია;
- 2010–2011 წლის სეზონში უნივერსიტეტის ვაჟ კალათბურთელთა გუნდი საქართველოს ჩემპიონატში პირველ ადგილზე იმყოფება;
- 2010–2011 წლის სეზონში უნივერსიტეტის ვაჟ ფეხბურთელთა გუნდი საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილზე იმყოფება და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის იბრძვის;
- 2011 თებერვალი – თსუ-ს ვაჟ კალათბურთელთა უმაღლესი ლიგის გუნდმა ქორქია-საკანდელიძის თასის გათამაშებაში პირველი ადგილი მოიპოვა;
- 2011 წლის 15 იანვარი – უნივერსიადაში უნივერსიტეტის გუნდმა გიგანტურ სლალომში მოიპოვა მეორე გუნდური ადგილი.

VIII. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- უნივერსიტეტის პოპულარიზაცია;
- შიდა საუნივერსიტეტო კომუნიკაცია;
- მასმედიასთან ურთიერთობა;
- სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობა.
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა.

<u>უნივერსიტეტის პოპულარიზაცია</u>

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი ფუნქცია უნივერსიტეტის, აკადემიური წრეების წარმომადგენლების, სტუდენტთა წარმატებების საზოგადოებაში პოპულარიზაცია, მედიასაშუალებებთან ურთიერთობაა. დეკემბრისთვის დასრულდა უნივერსიტეტის ახალ ვებგვერდზე მუშაობა, რომელიც მომხმარებლისთვის უფრო მარტივი მოსახმარი და მეტი ინფორმაციის მომცველი გახდა. დეპარტამენტის თანამშრომლები გეგმავენ და ახორციელებენ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების სარეკლამო კამპანიასაც. აღნიშნულ საკითხზე დეპარტამენტი თანამშრომლობს სარეკლამო სააგენტოებთან, (შპს „სოლეი", „ეი-სი" ჯგუფი, შპს „დეგაპრინტი", შპს „საქიდეამშენი", „ედსს კომპანი"), მუშავდება შესაბამისი თემა, ირჩევა სეგმენტი, იწერება მედია-გეგმა და თავსდება სარეკლამო რგოლი სხვადასხვა სატელევიზიო არხზე, რადიოში, პრესაში და კინოთეატრებში.

გთავაზობთ ჩამონათვალს:

- ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია;
- სამაგისტრო და ერთიანი ეროვნული გამოცდების რეკლამირება მედიასივრცეში:
- ღია კარის დღეების მოწყობა;
- სასწავლო და კვლევითი ხასიათის განხცადებების განთავსება პროფილურ ინტერნეტგვერდებზე;
- ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში თსუ–ის პროფესორ–მასწავლებელთა გასვლითი ლექცია–სემინარები.
- ურთიერთობა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან.

შიდა საუნივერსიტეტო კომუნიკაცია

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მუდმივ კავშირშია უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან.
- 2010 წლის 20 სექტემბერს თსუ–ში სასწავლო წლის დაწყება გრანდიოზულად აღინიშნა. ყველა პირველკურსელს დაურიგდა უნივერსიტეტის ლოგოიანი სასაჩუქრე კომპლექტი, ხოლო საღამოს რესპუბლიკის მოედანზე სტუდენტებისთვის ჯგუფი „მგზავრებისა" და თსუ–ს შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტი გაიმართა.
- დეპარტამენტის თანამშრომლები აღნიშნული სტრუქტურებიდან მოძიებულ/მოწოდებულ ინფორმაციას ამუშავებენ და მედიის სხვადასხვა საშუალებებში მიზანმიმართულად ავრცელებენ; ასევე დეპარტამენტი ხელს უწყობს უნივერსიტეტის შიგნით არსებული აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების კომუნიკაციას.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა თსუ–ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე კვიტაშვილის შეხვედრები ექვსივე ფაკულტეტის სტუდენტებთან, რომელზეც სტუდენტებმა რექტორს პრობლემებსა დახელისშემშლელ პირობებზე მიაწოდეს ინფორმაცია.
- 2010 წელს დეპარტამენტის ხელშეწყობით გაიმართა კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები, და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, რომელშიც მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულ და მიზანმიმართულ გავრცელებას საუნივერსიტეტო სივრცეში (ვებ-გვერდი, სარეკლამო დაფები, უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში დამონტაჟებული ეკრანები).
- 2010 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის, დამატებითი სიახლე დანერგა და აქტიურად ჩაერთო სოციალური მედიის სივრცეში. სოციალურ ქსელში – Facebook შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური საიმიჯო გვერდი, რომელშიც ამ დროისათვის 10 000-ზე მეტი მომხმარებელია გაწევრიანებული. თითოეული მათგანი ყოველდღიურად ეცნობა უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეებს, გარდა ამისა დეპარტამენტის თანამშრომელი სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხობს და აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალთან მათ დაკავშირებას უზრუნველყოფს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი არხი YouTube–ზე, სადაც თავსდება ყველა საჯარო ლექციის ჩანაწერი და უნივერსიტეტის შესახებ გადაღებული საინტერესო ვიდეო–მასალები.

სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობა

2010 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა შემდეგ სახელისუფლებო სტრუქტურებთან:

- საქართველოს მთავრობის კანცელარია – საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- საქართველოს პარლამენტი – საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- განათლების და მეცნიერების სამინისტრო;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ეროვნული გამოცდების და შეფასების ცენტრი;

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
- საქართველოს უზენაესი და თბილისის საქალაქო სასამართლო;
- თბილისის მერია;
- საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან. მათ შორის:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან;
- სამხატვრო აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან;
- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან;
- ეროვნული გამოცდების და შეფასების ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან.

<u>გრძელვადიანი პროექტები</u>

- 2010 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა კომპანია „ჯეოსელთან" ერთად განახორციელა ერთობლივი პროექტი:
- თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და კომპანია „ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლობით 2010 წლის 20 სექტემბერს სტარტი აიღო სტუდენტურმა ლიტერატურულმა კონკურსმა „შემოდგომის ლეგენდა 2010". 29 ოქტომბერს სტუდენტური კონკურსი სლოგანით – „სამშობლო მთებო! – დაბრუნება" ყვარლის ტბის ტერიტორიაზე ჩატარდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კომპანია „ჯეოსელი" უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ლიტერატურულ კონკურსს უკვე მეორე წელია მართავს. „შემოდგომის ლეგენდა" ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანიც ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვაა. წლევანდელ კონკურსში მონაწილეობა 122 სტუდენტმა მიიღო, მათ შორის სპეციალურმა ჟიურიმ 10 საუკეთესო გამოავლინა. გამარჯვებულ სამეულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ფულადი პრემია გადასცა. I ადგილის მფლობელი 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი, II ადგილოსანი – 700 ლარით, ხოლო III ადგილზე გასული კონკურსანტი 500 ლარის ოდენობის ფულადი პრემიით დაჯილდოვდა.
- დეპარტამენტის თანამშრომლებმა წინასაახალწლოდ მოამზადეს უნივერსიტეტის საიმიჯო ატრიბუტიკა: კალენდარი, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის ისტორიას დაარსებიდან დღემდე. კალენდარი სლოგანით – „გაანალიზე წარსული, იხელმძღვანელე აწმყოთი, გაითვალისწინე მომავალი!" უნივერსიტეტის ყველა მეგობარი ორგანიზაციისა და სტრუქტურის წარმომადგენელს გადაეცა.
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით ივნისში, ქალაქ ბათუმში „ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვა მოეწყო. ღონისძიება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. „ვეფხისტყაოსნის"

კითხვის მარათონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო, მათ შორის იყვნენ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, დამსვენებლები, სხვადასხვა რეგიონებიდან ჩასული სტუმრები. ღონისძიების დევიზი იყო: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა."

➢ „ვეფხისტყაოსნის" კითხვის დღე ტრადიციულია და ყოველწლიურად იმართება. ამ ტრადიციას საფუძველი მწერალმა დათო ტურაშვილმა და პარლამენტარმა ნუგზარ წიკლაურმა საფუძველი შვიდი წლის წინ ჩაუყარეს. წინა წლებში "ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვა თბილისში, სენაკსა და თამარაშენში გაიმართა.

➢ კომპანია „ქართულ ფოლადთან" ერთად დაიგეგმა სამეტაპიანი კონკურსი სტუდენტებისთვის. კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს ერთი წლის განმავლობაში დაენიშნათ სოლიდური სტიპენდია.

<u>მასმედიასთან ურთიერთობა</u>

➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი თანამშრომლობს მედია საშუალებებთან.

➢ დეპარტამენტი რეგულარულად ამზადებს პრესრელიზებს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ყველა საინფორმაციო საშუალებას აწვდის ინფორმაციას.

➢ 2010 წელს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები გაშუქდა ტელევიზიებში: „საზოგადოებრივი მაუწყებელი", „რუსთავი 2", „იმედი", „რეგიონ–ტვ;", „კავკასია", „რეალ-ტვ", „საპატრიარქოს ტელევიზია", ინტერნეტ–ტელევიზია, ტელეკომპანია „აჭარა", „პირველი კავკასიური".

➢ გაზეთებში: „24 საათი", „ახალი თაობა", „რეზონანსი", „საქართველოს რესპუბლიკა", „კვირის პალიტრა", „ტაბულა", „ლიბერალი", „პრაიმ–თაიმი".

➢ რადიოში: „საზოგადოებრივი რადიო", „ფორტუნა", „რადიო იმედი", „რადიო უცნობი", „თავისუფლება", „მწვანე ტალღა", „რადიო პალიტრა".

➢ საინფორმაციო სააგენტოებში: „ინტერპრესნიუსი", „პირველი", „მედიანიუსი", „ბი-ეს-პრესი", „კავკას-პრესი", „ახალი ამბები – საქართველო", „საინფორმაციო სააგენტო –ფაქტი", „ექსპრესნიუსი".

➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ჟურნალისტებისთვის უზრუნველყოფს საჭირო რესპონდენტთა შერჩევას, აწვდის მათ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილი სიახლეებისა და პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტები ქმნიან სატელევიზიო თუ რადიო სიუჟეტებს, წერენ საინტერესო სტატიებს.

➢ ტელეკომპანია „რუსთავი 2", „იმედის" და „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში მომზადდა ექსკლუზიური სიუჟეტები უნივერსიტეტში მიმდინარე საინტერესო მოვლენაზე.

<u>ურთიერთობა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან</u>

კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით დეკემბერში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან შეხვედრა გაიმართა, რომელიც ყოფილ უნივერსიტეტელებთან კავშირის აღდგენას და მათი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვას ითვალისწინებდა მიზნად.

<u>ღონისძიებები, რომელიც გაიმართა თსუ–ში და გაშუქდა მედია საშუალებებში:</u>

➢ 12.01.2010 ბოლონიის პროცესთან დაკავშირებული კონფერენცია, კაი ეცჰოლდის მოხსენება;

➢ 8.02.2010 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 92 წლის იუბილე. პანაშვიდი, გამოფენა, ემერიტუსების დაჯილდოება;

- 14.02.2010 სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი საღამო, თეატრალური დასის „სხვენი" წარმოდგენა;
- 25.02.2010 ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- 26.02.2010 აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზიის" ახალი გამოცემის პრეზენტაცია;
- 1.03.2010 ესტონეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- 3.03.2010 მსოფლიო ბანი პაატა ბურჭულაძე სტუმრად თსუ–ში, იავნანას საქველმოქმედო აქცია;
- 4.03.2010 კიოლნის სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაცია;
- 5.03.2010 დოქტორ პატრიცია ფლორის ლექცია – „საქართველო – ევროპული პერსპექტივა";
- 6.03.2010 ომს გადარჩენილი წიგნები. საცავში დაცული წიგნებისთვის თსუ–ს საჩუქრად გამოსაშრობი აპარატები გადაეცა;
- 11.03.2010 სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიოლოგიური ძიებანი" პირველი ნომრის პრეზენტაცია;
- 12.03.2010 ანა კალანდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია;
- 12.03.2010 ელსას პროექტის – „გარემოს დაცვის სამართალი" პრეზენტაცია;
- 12.03.2010 იაპონური ენისა და კულტურის ცენტრის გახსნა თსუ–ში;
- 17.03.2010 ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის ლექცია;
- 22.03.2010 პოეტ ბესიკ ხარანაულის წიგნის „ამბა ბესარიონის" ფრანგული წიგნის პრეზენტაცია;
- 24.03.2010 ანთროპოლოგიის სიმპოზიუმი;
- 26.03.2010 ინტელექტუალური კონკურსი – „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას", მეუფე სტეფანე სტუმრად თსუ–ში;
- 8.04.2010 9 აპრილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- 13.04.2010 სტუდენტ არქეოლოგთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია ვარძიაში;
- 14.04.2010 ქართული ენის დღე თსუ–ში;
- 23.04.2010 ივანე ჯავახიშვილის 134 წლის იუბილე;
- 26.04.2010 ინგლისურ–ქართული ლექსიკონის პრეზენტაცია;
- 29.04.2010 ჰერეთის დღეები თსუ–ში;
- 3.05.2010 ქართულ–გერმანული სკოლა–სემინარი, ვორქ–შოფი ადრონულ ფიზიკაში;
- 7.05.2010 საქართველოს პედიატრთა ასოციაციის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია;
- 10.05.2010 აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას 80 წლის იუბილე თსუ–ში;
- 11.05.2010 ახალი სადოქტორო პროგრამების პრეზენტაცია: „საერთაშორისო ურთიერთობები", „გენდერის კვლევა";
- 13.05.2010 საერთაშორისო კონფერენცია – „ამერიკა და ამერიკული ფასეულობები";
- 17.05.2010 თსუ საზრიანთა და მხიარულთა გუნდი ჩემპიონი გახდა;
- 18.05.2010 სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები თსუ–ში;
- 20.05.2010 თსუ–ის გამომცემლობის პრეზენტაცია წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე;
- 24.05.2010 დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია – „საქართველოს პირველი რესპუბლიკა და დამფუძნებელთა კრების მოღვაწეობა";
- 24.05.2010 მედიაციის კლინიკის პრეზენტაცია თსუ–ში;
- 25.05.2010 ჟურნალ „სპეკალის" პრეზენტაცია;
- 26.05.2010 თსუ–ის მეცნიერებს ეროვნული ჯილდო გადაეცათ;
- 31.05.2010 თამბაქოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე თსუ–ში;
- 1.06.2010 თსუ–ში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა, პატარებს დათუნია დრუნჩას კლინიკამ უმასპინძლა;

- 4.06.2010 ქართულ–პოლონური საერთაშორისო კონფერენცია თსუ–ში;
- 9.06.2010 პროფესორ რისმაგ გორდეზიანის 70 წლის იუბილე; ენციკლოპედიის „ანტიკური კავკასია" პრეზენტაცია;
- 10.06.2010 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამამთავრებელთა დღე;
- 12.06.2010 ანდრია ბენაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო;
- 15.06.2010 მეორე რეგიონთაშორისი სტუდენტური კონფერენცია – „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის";
- 17.06.2010 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით ბათუმში „ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვა მოეწყო;
- 24.06.2010 თსუ–ში ახალი სპორტული დარბაზი გაიხსნა;
- 28.06.2010 „ემსა თსუ"–ის პრეზენტაცია;
- 8.07.2010 პროფესიული განათლების შესახებ პროექტის პრეზენტაცია;
- 14.07.2010 ვაჟა–ფშაველას 149 წლის იუბილე;
- 23.07.2010 ოკუპაციური თერაპია – პირველი საერთაშორისო კონფერენცია კავკასიაში;
- 2.08.2010 სტუდენტური ფესტივალი „ერისხმა 2010" ბათუმში;
- 11.08.2010 მანათობლების აქცია აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად;
- 20.09.2010 საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ფორუმი;
- 28.09.2010 უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლის – „გორდელას" კონცერტი;
- 29.09.2010 აკადემიური საბჭოს არჩევნები;
- 4.10.2010 ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ფონდის პრეზენტაცია;
- 25.10.2010 აკაკის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საფაკულტეტო კონფერენცია;
- 4.11.2010 TEMPUS-ის პირველი რეგიონული სემინარი;
- 9.11.2010 კავკასიოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესი;
- 13.11.2010 EMSA თსუ–ს პროექტი „კინო და მედიცინა";
- 19.11.2010 კიბერუსაფრთხოებაზე შექმნილი პროექტის პრეზენტაცია;
- 10.12.2010 „შემოდგომის ლეგენდა 2010" დაჯილდოების საღამო;
- 27.12.2010 ნორჩ გეოგრაფთა პირველი კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;
- 27.12.2010 რექტორის არჩევნები, აკადემიურმა საბჭომ თსუ–ის ახალ რექტორად ალექსანდრე კვიტაშვილი აირჩია;
- 28.12.2010 არქეოლოგიური მასალების გამოფენა.

ვიზიტები:

- 29.01.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი სომხეთსა და საქართველოში აჩალ კუმარ მალჰოტრა ესტუმრა.
- 1.03.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პორტუგალიის ვიანა დო კასტელოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ტომას ბრიში ეწვია. პროფესორმა ბრიშმა 1 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ინტენსიური სასემინარო კურსი თემაზე „leadership" ჩაატარა.
- 17.03.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამერიკელი მწერალი, ჟურნალ „New Yorker"-ის ყოფილი მხატვრული რედაქტორი დანიელ მენაკერი ეწვია.
- 7.05.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ტოლერანტობა – თანამშრომლობის წინაპირობა" ჩატარდა. კონფერენციაში ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაციის, სომხეთის საელჩოს და საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

- 4.07.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანელმა პროფესორმა იოჰანეს რუჰლანდმა სამედიცინო სფეროს მენეჯმენტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, ნაშრომის პრეზენტაცია გამართა.
- 19.07.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო ასოციაციის – „რონდინე მშვიდობის ციტადელი"-ს დელეგაცია ეწვია. ვიზიტი ასოციაციის მშვიდობის ტურის ფარგლებში განხორციელდა.
- 3.09.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აზერბაიჯანიდან მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები ესტუმრნენ. თსუ-ის აზერბაიჯანის კაბინეტში 16 ბავშვს აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში ნამიკ ალიევი და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე შეხვდნენ.
- 14.10.2010 14–16 ოქტომბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაცია სომხეთში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა. განათლების მინისტრთან დიმიტრი შაშკინთან ერთად სომხეთში გამართულ შეხვედრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილი დაესწრო. ვიზიტის ფარგლებში ერევნის უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის ცენტრი გაიხსნა.
- 21.10.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნატოს წევრი ქვეყნის ესტონეთის ელჩი ეწვია. საქართველოში ნატოს დღეების ფარგლებში იური ლუიკმა სტუდენტებთან შეხვედრა გამართა და მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.
- 24.10.2010 თსუ–ში სტუმრად მყოფმა ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯონ მაქსველ ჰამილტონმა გამართა საჯარო ლექცია თანამედროვე ჟურნალისტიკის პრობლემებზე.
- 27.10.2010 ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი საქართველოს საკითხებში კრისტიან მური სტუმრად თსუ–ში.
- 11.11.2010 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცნობილი პოლონელი საზოგადო მოღვაწე ადამ მიხნიკი ესტუმრა. პოლონელმა ჟურნალისტმა ჩაატარა სემინარი თემაზე – „აქტიური საზოგადოება პრაქტიკაში".
- 13.12.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამერიკის იურიდიული კონფერენციის კომიტეტის თავმჯდომარე მოსამართლე ჯონ ტანჰეიმი ეწვია. ნორვეგიულ-ამერიკული ისტორიული ასოციაციის პრეზიდენტი სტუდენტებისა და პროფესორების წინაშე საჯარო ლექციით - „ნაფიცმსაჯულთა სასამართლო" წარსდგა.
- 15.12.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მსოფლიო ბანკის რეგიონული დეპარტამენტის დირექტორი ესტუმრა. ასად ალამმა სტუდენტებისთვის გამართა სემინარი თემაზე: „გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგები სამხრეთ კავკასიაში".
- 17.12.2010 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სომხეთის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი არტურ პეტროსიანი ეწვია. ქართველ კოლეგასთან ერთად მინისტრი სტუდენტებს შეხვდა და მათ კითხვებს უპასუხა.

<u>ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:</u>

- 5.03.2010 საქართველოს ეროვნულ ბანკსა და თსუ–ის შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- 18.03.2010 მემორანდუმი აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან;
- 16.04.2010 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ტაოპრივატბანკთან;
- 26.04.2010 თანამშრომლობის მემორანდუმი საქპატენტთან;
- 2.06.2010 მემორანდუმი კონსერვატორიასთან;
- 8.06.2010 თანამშრომლობის მემორანდუმი ნოტარიუსთა პალატასთან;

- 6.07.2010 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თსუ–სა და ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის;
- 7.07.2010 თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ–სა და ვროცლავის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტს შორის;
- 4.11.2010 თანამშრომლობის მემორანდუმი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან;
- 20.12.2010 თსუ–სა და საქსტატს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

IX. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქცია

- 2010 წლის მანძილზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქციის მიერ მომზადდა გაზეთის 15 ნომერი (24 გვერდიანი 1 ნომერი; 20 გვერდიანი – 1 ნომერი; 16 გვერდიანი – 6 ნომერი; 12 გვერდიანი – 4 ნომერი; 4 გვერდიანი – 2 ნომერი), რომლის გავრცელებაც (ტირაჟი – 500 ც.) უნივერსიტეტის მასშტაბით უზრუნველვყავით.
- გაზეთი ახალი დიზაინით გამოდის 2010 წლის 14 აპრილიდან (შევცვალეთ გაზეთის ლოგო).
- წლის განმავლობაში 3-ჯერ შეიკრიბა გაზეთის რედკოლეგია, რომლის წევრებმაც იმსჯელეს გაზეთის სტრატეგიასა და პრიორიტეტებზე – თუ რა საკითხები და ღონისძიებები უნდა შუქდებოდეს უნივერსიტეტის გაზეთის საშუალებით.

<u>2010 წელს გამოცემული გაზეთის ნომრებში გაშუქდა</u>

- უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებისა და ღონისძიებების (კონფერენციების, იუბილეების, ბრიფინგების, პრეზენტაციების, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების, უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიალების და ა.შ.) შესახებ ინფორმაციები;
- უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის შესახებ ინფორმაცია;
- უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებები და მათი საქმიანობა;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებები;
- უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები;
- ახალი სასწავლო პროგრამები;
- სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაცია და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო პროექტები;
- ბოლონიის პროცესის მიზნების განხორციელების პროცესში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიციები და როლი;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები;
- პროფესორთა, მეცნიერ-მკვლევართა, წარმატებულ დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და ბაკალავრთა პოპულარიზაციის მიზნით მათ შესახებ ინფორმაციები (ინტერვიუს სახით);
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რაც ხელს უწყობს მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესს;
- საზღვარგარეთის უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციები;
- უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური მოძრაობებისა და დამოუკიდებელ სტუდენტთა საქმიანობა, მათი ინიციატივები და ღონისძიებები;
- სტუდენტური პროექტები;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა კულტურული და სპორტული მიღწევები.

X. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

- 2010 წელს სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალთა აბონემენტში გაიხსნა 713 მკითხველის ბილეთი. გაიცა 4360 ცნობა. ბიბლიოთეკიდან გაიცა 5298 წიგნი და ბიბლიოთეკაში დაბრუნდა 5706 წიგნი.
- 2010.1.07–2010.28.07 ბიბლიოთეკის პერიოდული გამოცემების საცავებში შემოწმდა, ინვენტარის წიგნებთან შეჯერდა და თაროზე გასწორდა რუსული ჟურნალები – 25 558 ერთეული. ქართული ჟურნალები – 25 368 ერთეული.
- 2009.24.09–2010.24.11 საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ელექტრონული ბაზების შექმნაზე მუშაობდა სტუდენტთა დამხმარე ჯგუფი. სულ ბაზაში შევიდა 1 172 980 ჩანაწერი. თანამშრომელთა მიერ ბაზაში შეტანილ იქნა 531 961 ჩანაწერი.
- 2010.26.04–2010.18.06 პერიოდში ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიარეს ტრეინინგი თემაზე: „უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა".
- 2010 წელს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკამ მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის დაარსებიდან 92-წლის საიუბილეო გამოფენაში. წარმოადგინა ხელნაწერები.
- 2010 წლის 24 აპრილს ივანე ჯავახიშვილის იუბილის და წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკამ გამოფენაზე წარმოადგინა პირველი ნაბეჭდი წიგნები, მეფე ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი უნიკალური გამოცემები.
- 2010 წელს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში შემოვიდა სულ 7012 საბიბლიოთეკო დოკუმენტი: წიგნები – 3888 ერთეული, ჟურნალები – 1538 ერთეული, დისერტაციები – 25 ერთეული, გაზეთი – 1382 ცალი, კომპაქტ-დისკები – 8 ცალი, ამონარიდები ჟურნალ-გაზეთებიდან – 109 ცალი, ავტორეფერატები – 62 ერთეული.
- 2010 წელს შემოწმდა სილაბუსებში წარმოდგენილი 22 130 ჩანაწერი.
- 2010 წელს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკამ ასოციაცია „ატუ"-სგან უსასყიდლოთ მიიღო და უნივერსიტეტის საფაკულტეტო ბიბლიოთეკებს გაუნაწილა 745 ერთეული უცხო ენოვანი სახელმძღვანელო, სულ ასოცი ათას ექვსასოცდაორი ლარის ღირებულების.

XI. საგამოცდო ცენტრი

საგამოცდო ცენტრის მიერ 2009–2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარდა:

- 195 შუალედური გამოცდა (16 500 სტუდენტი);
- 423 დასკვნითი გამოცდა (52 358 სტუდენტი) ;
- 423 დამატებითი გამოცდა (9 135 სტუდენტი).

შემოდგომის სემესტრში თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული დასკვნითი გამოცდები შეადგენდა თსუ-ში ჩატარებული გამოცდების სრული ოდენობის 72%-ს.

საგამოცდო ცენტრის მიერ 2009–2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარდა:

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფუკულტეტი – 187 გამოცდა (10 928 სტუდენტი);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფუკულტეტი – 238 გამოცდა (14625 სტუდენტი);
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფუკულტეტი – 46 გამოცდა (10 957 სტუდენტი);
- იურიდიული ფუკულტეტი – 84 გამოცდა (14 034 სტუდენტი);
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფუკულტეტი – 126 გამოცდა (10 087 სტუდენტი);
- მედიცინის ფაკულტეტი – 72 გამოცდა (3 000 სტუდენტი).

- საგამოცდო ცენტრის მიერ 2009–2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარდა 752 დასკვნითი გამოცდა (63 631 სტუდენტი).

საგამოცდო ცენტრის მიერ 2010–2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარდა:

- 237 შუალედური გამოცდა (32 209 სტუდენტი);
- 677 დასკვნითი გამოცდა (62 208 სტუდენტი);
- 677 დამატებითი გამოცდა (10 150 სტუდენტი).
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფუკულტეტი – 134 გამოცდა (10 436 სტუდენტი);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფუკულტეტი – 306 გამოცდა (14635 სტუდენტი);
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფუკულტეტი – 55 გამოცდა (14 624 სტუდენტი);
- იურიდიული ფუკულტეტი – 58 გამოცდა (12 934 სტუდენტი);
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფუკულტეტი – 74 გამოცდა (7079 სტუდენტი);
- მედიცინის ფაკულტეტი – 50 გამოცდა (2 500 სტუდენტი).

საგამოცდო ცენტრის მიერ 2009–2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარდა:

- დოქტორანტურაში მისაღები უცხო ენის გამოცდა – 245 კონკურსანტი;
- მაგისტრატურაში მისაღებ კონკურსანტთა საერთო რაოდენობა – 1821;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 416 კონკურსანტი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 162 კონკურსანტი;
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 254 კონკურსანტი;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – 416 კონკურსანტი;
- იურიდიული ფაკულტეტი – 359 კონკურსანტი;
- მედიცინის ფაკულტეტი – 14 კონკურსანტი.

საგამოცდო ცენტრის მიერ 2010–2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარდა:

- დოქტორანტურაში მისაღები უცხო ენის გამოცდა – 245 კონკურსანტი
- მაგისტრატურაში მისაღები კონკურსანტთა საერთო რაოდენობა – 1447 გამოცდა:
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 140 კონკურსანტი
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 235 კონკურსანტი
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 270 კონკურსანტი
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – 428 კონკურსანტი
- იურიდიული ფაკულტეტი – 369 კონკურსანტი
- მედიცინის ფაკულტეტი – 5 კონკურსანტი

საგამოცდო ცენტრის მიერ 2010–2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარდა:

- დოქტორანტურაში მისაღები უცხო ენის გამოცდა – 152 კონკურსანტი.

XII. დაცვის და უსაფრთხოების სამსახური

2010 წლის დასაწყისისთვის თსუ-ს დაცვის და უსაფრთხოების სამსახურში არსებობდა პრობლემები, რომელთა შორის ძირითადად შეიძლება გამოყოფილ იქნეს შემდეგი:

- დაცვის სამსახურის პირადი შემადგენლობა მოითხოვდა მოწესრიგებას ჩაცმულობის და დისციპლინის კუთხით.

➢ დაცვის სამსახურის პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს 1950 წელს ქვემოთ დაბადებული პირები შეადგენდნენ და სამსახურის სპეციფიკისთვის აუცილებელი დიდი ფიზიკურ დატვირთვის პირობებში დაკისრებულ ვალდებულებებს ჯეროვნად ვერ ასრულებდნენ.

➢ დაცვის სამსახურის პირადი შემადგენლობის მხრიდან ხშირი იყო ობიექტზე ძილის, დასაცავ ობიექტზე ალკოჰოლური სასმელის მიღების, დასაცავი ობიექტის მიტოვების, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევები.

➢ დაცვის სამსახურს არ ჰყავდა ტექნიკური დაცვის სპეციალისტი და ვიდეომეთვალყურეობის აპარატურა არაპროფესიონალების ხელში იყო, რამაც გამოიწვია აღნიშნული მოწყობილობების არაეფექტური მუშაობა და ექსპლუატაციიდან ვადაზე ადრე გამოსვლა. აღნიშნული პრობლემის გამო დაცვითი მოწყობილობების რემონტი და შეკეთებაც შეუძლებელი იყო საკუთარი ძალებით. შესაბამისად რაციების, სიგნალიზაციების და ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მონტაჟი, დემონტაჟი და შეკეთება უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის გარეთ დამატებით დანახარჯებს მოითხოვდა რაც ყველა შემთხვევაში ფინანსურად თსუ-ს უფრო ძვირი უჯდება ვიდრე საკუთარი სპეციალისტების ყოლა.

➢ ამასთან აღსანიშნავია, ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომ დაცვის ტექნიკური საშუალებების მონტაჟი და მიმდინარე მომსახურება უსაფრთხოების თვალსაზრისით კატეგორიულად მიზანშეუწონელია გარეშე ორგანიზაციების მხრიდან.

➢ არ არსებობდა დაცვის სამსახურის ეფექტური კონტროლის მექანიზმი. დაცვის სამსახურთან მიმართებაში ეფექტური კონტროლი უმნიშვნელოვანესია, რადგანაც აღნიშნულის არარსებობა იწვევს კადრების მოდუნებას და საბოლოოდ უსაფრთხოების სისტემის მოშლას.

➢ არ არსებობდა დაცვის სამსახურის ერთიანი ოპერატიული მაკოორდინირებელი ცენტრი.

➢ არ ხდებოდა კადრების როტაცია, რაც იწვევდა მაკონტროლებლების და მცველების, აგრეთვე დაცვის სამსახურის შემოწმებას დაქვემდებარებული პირებისა და სამსახურების ურთიერთ დაახლოებას და კონტროლის ფუნქციის მოშლას.

➢ აუცილებელი იყო დაცვის სამსახურის კავშირის საშუალებებით აღჭურვა, როგორც მასზე კონტროლის ისე დაცვის შიდასტრუქტურული კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით.

➢ სრულყოფილად არ იყო მოწესრიგებული საკანცელარიო საქმიანობა.

<u>აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:</u>

➢ კონკურსის საფუძველზე შეირჩა დაცვის სამსახურის პირადი შემადგენლობა, რითაც სამსახურმა საქმიანობა განაგრძო შედარებით უკეთესი კადრების ბაზაზე.

➢ მნიშვნელოვნად გამოსწორდა პირადი შემადგენლობის ჩაცმულობის, სამსახურში დროულად გამოცხადების, ზოგადად დისციპლინის და სამსახურისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულების საკითხები.

➢ თსუ დაცვის და უსაფრთხოების სამსახურში ჩამოყალიბდა სტრუქტურული ერთეული, რომელიც აღიჭურვა შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ფუნქციებით.

➢ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა ფუნქციას შეადგენდა:

სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად დღე-ღამის განმავლობაში ობიექტების შემოვლა-შემოწმება;

მცველების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტების აღმოჩენა-გამოსწორება;

უზრუნველყონ თსუ ობიექტების დაცვის გეგმების და მცველის სამოქმედო ინსტრუქციების პროექტების შედგენა და წარუდგინონ სამსახურის უფროსს.

დაიცვან წესრიგი უნივერსიტეტში ან მისი ეგიდით წარმოებულ ღონისძიებებზე.

დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების ან სანიმუშო ქცევისთვის წახალისების მიზნით სამსახურის უფროსს წარუდგენდნენ შესაბამის კანდიდატებს.

თსუ-ს ობიექტებზე განგაშის შემთხვევაში მყისიერი დახმარების უწევდნენ მცველებს.

➢ თსუ-ს დაცვის და უსაფრთხოების სამსახურში ჩამოყალიბდა სტრუქტურული ერთეული, ოპერატიული მართვის ცენტრი, რომლის ფუნქციებში შევიდა:

თსუ-ს ობიექტებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, დანიშნულებისამებრ სწორად გადამისამართება, შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება სპეციალურ ჟურნალში;

სამსახურში მცველების დროულად გამოცხადებაზე და მათ მიერ შემოვლა-შემოწმების განხორციელებაზე კონტროლი, შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება სპეციალურ ჟურნალში;

თსუ-ს ობიექტებზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო მოწყობილობების მეშვეობით არსებული ვითარების გაკონტროლება და შიდაგანაწესის დარღვევის, ანდა სხვა პრობლემატური შემთხვევეიბის გამოვლენისას შესაბამისი პასუხისმგებელი პირის დაუყოვნებლივი ინფორმირება, მიღებული მითითებების შესრულება, შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება სპეციალურ ჟურნალში;

დანაშაულებრივი ხელყოფის ან აღნიშნული ხელყოფის საფრთხის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობისთვის მყისიერი შეტყობინება;

➢ თსუ-ს დაცვის და უსაფრთხოების სამსახურში ჩამოყალიბდა ტექნიკური დაცვის განყოფილება, რომლის ფუნქციებში შევიდა:

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აღნიშნული მიზნით პირადი შემადგენლობისათვის შესაბამისი სწავლების ჩატარება. სახანძრო უსაფრთხოების გეგმების შემუშავება და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან წარმოდგენა;

დაცვის ტექნიკური საშუალებების: ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო სისტემების მონტაჟი – დემონტაჟი. დაცვის ტექნიკური საშუალებების სწორ ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა;

უსაფრთხოების მიზნით უნივერსიტეტის ობიექტების გარე და შიდა განათების ნორმალურ მუშაობაზე კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება;

საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობის დავალებით უნივერსიტეტის კორპუსებში განლაგებული ოთახების, საცავების და ა.შ. დალუქვა;

➢ თსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უშუალო ხელშეწყობით გაიხსნა რამოდენიმე სისხლის სამართლის საქმე და პასუხისგებაში მიეცა დამნაშავე პირი.

➢ თსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურმა დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულების საფუძველზე მიიღო რამოდენიმე მადლობის წერილი კერძო და საჯარო ორგანიზაციებიდან.

➢ თსუ-ს სასწავლო კორპუსებში მატერიალური ქონების განთავსებისა და ფუნქციური მნიშვნელობის მიხედვით საფუძველი ჩაეყარა დაცვის ტექნიკური საშუალებებით უსაფრთხოების უზრუნველყოფას. თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურმა დამოუკიდებლად დაიწყო დაცვითი სიგნალიზაციების და სამეთვალყურეო კამერების მონტაჟი და ექსპლუატაცია.

➢ დაცვის და უსაფრთხოების სამსახურს ნაკისრი ფუნქციების შესასრულებლად რადიოკავშირის საშუალებებთან ერთად ესაჭიროებოდა შესაბამისი სიხშირის გამოყოფა, რაც დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელდა 2010 წელს.

➢ დაცვის და უსაფრთხოების სამსახურმა თსუ-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად კოორდინაციაში შეძლო სხვადასხვა ობიექტებზე ფიზიკური დაცვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება: დასაცავი პერიმეტრების განათება, გისოსების და ცხაურების დაყენება, დარღვეული კედლების ამოშენება და სხვა.

<u>განვითარების სამომავლო გეგმა:</u>

➢ თსუ-ს ქონების განადგურების ან დაზიანების საფრთხეების თავიდან ასაცილებლად საჭიროა არა მხოლოდ დაცვის სამსახურის, არამედ ზოგადად თსუ შიდა სტრუქტურების კოორდინაციის გაუმჯობესება და კონკრეტული სამოქმედო გეგმების დადება მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების ანდა სწრაფი გამოსწორების მიზნით.

➢ განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაცვის ტექნიკური საშუალებების ფართოდ დანერგვა და უახლეს ტექნოლოგიებზე დაყრდნობით უსაფრთხოების გეგმების შემუშავება.

➢ აუცილებელ პირობად მიგვაჩნია თსუ უსაფრთხოების პირადი შემადგენლობის მუდმივი გაუმჯობესება შესაბამისი კადრების მოზიდვით, უკვე დასაქმებულთათვის უფლება – მოვალეობებში, სახანძრო უსაფრთხოების, პირველადი სამედიცინო დახმარების და დაცვის ტექნიკურ საშუალებებში გარკვევის მიზნით სწავლებების ჩატარებით.

➢ იქიდან გამომდინარე, რომ თსუ დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის ეფექტური მუშაობა დამოკიდებულია პირადი შემადგენლობის ფიზიკურ და გონებრივ პარამეტრებზე, მაღალკვალიფიციურობაზე, დღის წესრიგში დგება სახელფასო განაკვეთის საშუალო საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანა, იმგვარად, რომ თსუ დაცვის სამსახურში ოდნავ მაღალი ანაზღაურების საფუძველზე საუკეთესო კადრების მოზიდვის შესაძლებლობა მოგვეცეს.

➢ მიმდინარე 2011 წელს უნდა დასრულდეს თსუ დაცვის და უსაფრთხოების ერთიან, ცენტრალიზებულ, მოქნილ და სწრაფადრეაგირებად სამსახურად გარდაქმნა. დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი არამარტო პირადი შემადგენლობის, არამედ დაცვის ტექნიკური საშუალებების, სახანძრო უსაფრთხოების საკითხების დამაკმაყოფილებელ სტანდარტამდე მისაღწევად.

XIII. შემოქმედებითი ჯგუფი „მემატიანე"

შემოქმედებითმა ჯგუფმა „მემატიანე", ალექსანდრე უნაფქოშვილის, ბესო ჩარგეიშვილის, ნიკო აჯიბეგიშვილის შემადგენლობით ჩაატარა შემდეგი სამუშაოები:

პირველი, მაღლივი და ბიოლოგიის კორპუსების მიმდინარე რემონტის ეტაპობრივად გადაღება.

ახალი გადაღებული სიუჟეტების აღრიცხვა-შენახვა (ფოტო, ვიდეო) – კერძოდ:

➢ თსუ-ს დაარსებიდან 92 წლისთავი. თსუ-ს ეკლესიაში პარაკლისი, II კორპუსში გამოფენა, პროფესორ ემირიტუსების დაჯილდოვება - 08.02.2010;

➢ თსუ-სა და კიოლნის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაცია, კიოლნის უნივერსიტეტის პრორექტორ მარგარიტა ნიუსბერგერისათვის თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება - 04.02.2010;

➢ ELSA – მწვანე მომავლისათვის, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ახალი პროექტი - 12.03.2010;

➢ ლექცია თემაზე „ბოლონიის საიუბილეო კონფერენცია" - 12.04.2010;

➢ ქართული ენის დღე V კორპუსში, ჰუმანიტარული ფაკულტეტი - 14.04.2010;

- ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 134 წლისთავი. I კორპუსი - 23.04.2010;
- „გრიგოლ ფერაძე" ფილმის პრემიერა პოლონეთის ელჩის მონაწილეობით - 07.05.2010;
- XII საერთაშორისო წიგნის ფესტივალის ფარგლებში თსუ-ს გამომცემლობის წიგნების პრეზენტაცია - 20.05.2010;
- თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები - 21.05.2010;
- ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება I კორპუსის ეზოში, ალეკო რონდელის ლექცია - 01.06.2010;
- თსუ-ს მაღლივ კორპუსში სპორტული კომპლექსის გახსნა - 24.06.2010;
- განათლებისა და მეცნიერების მონისტრის მიერ, თსუ-ს ახალ გარემონტებული ბიოლოგიის კორპუსის დათვალიერება - 05.07.2010;
- მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო - 12.07.2010;
- წიგნის „ევროპული სახლის სამართალი" პრეზენტაცია - 21.08.2010;
- თსუ-სა და ბერლინის უნივერსიტეტის გაცვლითი სემინარი - 05.08.2010;
- საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვა სტუდენტების მიერ - 13.08.2010;
- ახალი სასწავლო წლის დაწყება - 20.09.2010;
- იტალიელი სტუმრები რისმაგ გორდეზიანთან VIII კორპუსში - 29.09.2010;
- რადიო თავისუფლების პრეზიდენტის ჯეფრი გედმინის თსუ-ს საპატიო დოქტორად არჩევა - 07.10.2010;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნები - 20.10.2010;
- თსუ-ს რექტორის ბრიფინგი - 26.11.2010;
- თსუ-ს სტუდენტების მიტინგი კავკასიელი ხალხების მხარდასაჭერად - 14.12.2010;
- მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია - 23.12.2010 და სხვა. სულ გადაღებულია თსუ-ს ცხოვრების ამსახველი ასამდე სიუჟეტი.

გადატანილი იქნა ვიდეო არქივის „VHS" სისტემის კასეტებიდან ციფრულ ფორმატში 6 კასეტა.

თსუ-ს მუზეუმის მოთხოვნით დამუშავდა 700 ექსპონატი (ფოტოგადაღება, კომპიუტერული დამუშავება და სისტემატიზაცია).

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თხოვნით გადაღებული და ციფრულ ფორმატში გადატანილ იქნა 58 ლექცია ისეთი ცნობილი მეცნიერებისა როგორებიც არიან: მიხეილ ქურდიანი, ალეკო რონდელი, ვახტანგ ლანჩელი და სხვა.

გადაღებულ იქნა საიუბილეო ფილმი რისმაგ გორდეზიანზე.

ჯგუფმა „მემატიანე" დაიმსახურა თსუ ადმინისტრაციის მადლობა თსუ ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მომზადებაში.

ჩაიწერა საარქივო ვიდეომასალა ისეთ ცნობილ მეცნიერებზე, როგორებიც არიან:

- მზექალა შანიძე
- მარიკა ლორთქიფანიძე
- ჯუმბერ ჭუმბურიძე
- ოთარ ჯაფარიძე
- თარხუჯი ჯავახიშვილი

თსუ ხვადასხვა ფაკულტეტების და დეპარტამენტების მოთხოვნით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- სამედიცინო ფაკულტეტის სამეცნიერო განყოფილების თანამშრომლის ზაზა ხაჭიპერაძეს თხოვნით დამონტაჟებული და დისკზე ჩაწერილი იქნა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის თეატრის რეჟისორის თხოვნით დამონტაჟებული და დისკზე ჩაწერილი იქნა ათენში გასაგზავნი სპექტაკლის ფონოგრამა.
- სტუდენტური თვითმმართველობის თავჯდომარის მოადგილის თხოვნით მოძიებულ და დისკზე გადატანილ იქნა მათ მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიება.
- მომზადდა და დამონტაჟდა სერგი ჭილაიას იუბილესათვის ვიზუალური ვიდეომასალა.
- მომზადდა ვაჟა ოკუჯავას 80 წლის იუბილისათვის ვიზუალური ვიდეოჩანახატი.
- უცხოეთის დეპარტამენტის მოთხოვნით ჩაწერილი და შემდგომში დისკებზე გადატანილ იქნა ტრენინგების ციკლი „მართვის უნარების გაუმჯობესება" – სულ 24 საათი.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საარქივო მასალა გადატანილი იქნა დისკებზე – 16 დისკი.
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თხოვნით, 1-2 ოქტომბერს განხორციელდა საკონკურსო ლექციების ჩაწერა – 10 ლექცია.
- იურიდიული დეპარტამენტის დავალებით, 4 ლექცია გადატანილ იქნა დისკებზე.
- კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თხოვნით დაიწყო ფილმის გადაღება თსუ-ს გოგონათა ფოლკლორული ანსამბლის „გორდელას" შესახებ. გადაღებულ იქნა კონცერტები ქუთაისში, დუშეთში, მარნეულში, ფილარმონიაში, თსუ-ს VIII კორპუსში, რეპეტიცია „რუსთავი 2"-ის სტუდიაში და გამოსვლასაქართველოს რადიოს გადაცემა „პიკის საათში", შეხვედრა საპატრიარქოში კათალიკოს პატრიარქთან ილია II-სთან.

XIV. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების მიერ 2010 წლის იანვრიდან ნოემბრამდე მომზადდა:

- ბაკალავრიატის გზამკვლევი 2010-2011 სასწავლო წლისათვის;
- ხელშეკრულებების ახალი ფორმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბრძანების პროექტები;
- 1947 კორესპონდეცია;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზას დაემატა დოქტორანტების მონაცემები;

სტუდენტთა მომსახურების განყოფილებამ რეაგირება მოახდინა 2341 შემოსულ კორესპოდენციაზე. 964 განცხადებაზე გამოცემულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებები. დამზადდა: დიპლომი - 5287 ცალი, დიპლომის დუბლიკატი - 135 ცალი, თსუ ყოფილი ფილიალების კურსდამთავრებულთა დიპლომი - 85 ცალი, აკადემიური ცნობა - 10 ცალი, დიპლომის დანართის დუბლიკატი - 68 ცალი, მეორადი სწავლებისა და მასწავლებელთა გადამზადების კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატი - 434 ცალი; დამოწმდა დიპლომი და დიპლომის დანართი – 395 ცალი. უტილიზაცია გაუკეთდა 2005 წლის წუნდებულ 2378 დიპლომს.

სასწავლო დეპარტამენტმა 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში განახორციელა შემდეგი საქმიანობა:

- სასწავლო დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა თეუსუ-სა და სესსუ-ს ხელმძღვანელობასთან. მომზადდა სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანებების პროექტები, მოხდა სტუდენტთა აღრიცხვა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში და სტუდენტების ახალი სასწავლო ბარათების ფორმირება.
- განხორციელდა მაგისტრატურაში სტუდენტთა ჩარიცხვა 2010-2011 სასწავლო წელს (ფაკულტეტებიდან გადმოცემული დოკუმენტაციის გადამოწმება, ბრძანების პროექტის მომზადება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის და სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის წერილების მომზადება);
- მომზადდა „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებელთა სწავლების პროცესის მარეგულირებელი წესი".
- მომზადდა აკადემიური საბჭოსათვის დადგენილების ექვსი პროექტი და შესაბამისი ცვლილებები შევიდა 2010 წლის 26 მარტის აკადემიური საბჭოს №36 დადგენილებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში".
- განხორციელდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზის შედარება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრთან, რის საფუძველზეც შევიდა ცვლილებები უნივერსიტეტის ბაზაში და აღმოიფხვრა ხარვეზები.
- არქივისათვის გადასაცემად მომზადდა უნივერსიტეტის ყოფილი ფილიალების (ფოთი, ოზურგეთი) ბრძანებები, ოქმები, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები და სხვა.
- სამუშაო შეხვედრების მოწყობა ფაკულტეტების დეკანებთან უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით არსებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.
- განხორციელდა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი 2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი მათი თავსებადობის დადგენის მიზნით. მომზადდა შესაბამისი დასკვნები და განსახილველად გადაეცა ფაკულტეტებს.
- სასწავლო დეპარტამენტში აღმოჩენილ იქნა 2007–2008 სასწავლო წელს ბაკალავრიატში ჩარიცხულ სტუდენტთა ხარვეზიანი საგამოცდო სერტიფიკატები, რომლებიც აღრიცხვის შემდეგ გადაეცა გამოცდების ეროვნულ ცენტრს.
- „ლიბერთი ბანკთან" თანამშრომლობით უზრუნველვყავით სტუდენტებისათვის პლასტიკური ბარათების დამზადება.
- განახლდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინფორმაციები სასწავლო დეპარტამენტის შესახებ.

XV. მუზეუმი

2010 წელს თსუ მუზეუმი აგრძელებდა მუშაობას სამუზეუმო შემოქმედების ყველა მიმართულებით.

<u>საფონდო მუშაობა</u>

- ახალშემოსული და უკვე მუზეუმში აღურიცხავად არსებული მასალები მოითხოვენ სამუზეუმო კანონმდებლობის შესაბამისად აღრიცხვას და მათ წესიერ განთავსებას თავ-თავის ადგილას. ეს მასალებია ხელნაწერი, ნაბეჭდი ლიტერატურა, უნივერსიტეტისთვის საიუბილეოდ საჩუქრად გადმოცემული ნივთები და სხვა. ძირითადად საინვენტარო (შემოსულობათა) წიგნში აღირიცხა 3579-6547 ნომრის თსუ ისტორიის, გეოგრაფიისა და მინერალოგიის ექსპონატები;
- თსუ ადმინისტრაციის დახმარებით გარემონტდა ზოოლოგიის, მინეროლოგიის და პალეონტოლოგიის ფონდების საცავები;
- ჩაუტარდა რესტავრაცია ზოოლოგიის ფონდის ერთ ნაწილს;

<u>საგანმანათლებლო მუშაობა</u>

მუზეუმმა მოამზადა და მოაწყო შემდეგი გამოფენები:

- უნივერსიტეტის საიუბილეო გამოფენა (გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი ფოტო მასალა) –(8 თებერვალი);
- ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა (14 აპრილი)
- ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 134 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა (23 აპრილი);
- „მოძღვარი - მღვდელი, რომლის მრევლიც მთელი ევროპა იყო". გამოფენა მიეძღვნა – არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძეს, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორს, ოსვენციმის გერმანული საკონცენტრაციო ბანაკის მსხვერპლს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანს (7 მაისი);
- თსუ კურსდამთავრებულები – გამოფენა მოეწყო სასტუმრო რედისონში (23 დეკემბერი).

XVI. საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი

<u>პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები</u>

- ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდი/ OSI- Zug (უნგრეთი)
- ბელგრადის უნივერსიტეტი (სერბია)
- კიეტა პესკარას გ.დ. ანუციოს უნივერსიტეტი (იტალია)
- კადისის უნივერსიტეტი (ესპანეთი)
- შამპან –არდენის რეიმსის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- Tiri (Making Integrity Work) (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი)
- ნიუ ჯერსის სახელმწოფო უნივერსიტეტი (აშშ)
- World Learning/USAID (აშშ)
- 19 მაისის სახელობის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ვენის ბუნებრივი რესურსების და სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი/ BOKU (ავსტრია)
- გრაზის უნივერსიტეტი (ავსტრია)
- ჩრდილო კაროლინას სახელმწიფო უნივერსიტეტი (რალი, ჩრდილოეთ კაროლინა,აშშ)
- პეპერდინის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (მალიბუ, კალიფორნია, აშშ.)
- იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია)
- მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია)
- ზიგენის უნივერსიტეტი (გერმანია)
- კასელის უნივერსიტეტი (ბონი, გერმანია)
- ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- ათენის ეროვნული უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
- პავლოვ ჯოზეფ საფარიკის უნივერსიტეტი კოსიჩეში (სლოვაკეთი)
- ერევნის სახელმწიფო ლინგვისტიკის უნივერსიტეტი „ბრიუსოვი" (სომხეთი)
- გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)
- უფროს ექსპერტთა სერვისი (SES)
- უკრაინათმცოდნეობის ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი (კიევი, უკრაინა)
- ფათიჰის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ასოციაცია ADAPT (მოდენა, იტალია)
- ასოციაცია „მერცხალი მშვიდობის ციტადელს"(არეცო, იტალია)
- სალერნოს უნივერსიტეტი (იტალია) 2010
- ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი (ლიტვა)
- ვროცლავის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი (პოლონეთი)

- კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი
- ბუქარესტის ეკონომიკის აკადემია (რუმინეთი)

ქართულ და უცხოენოვანი კორესპოდენციის წარმოება;

საქმიანი შეხვედრების ინგლისურ და გერმანულენოვანი თარგმანი;

გაცვლითი პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება (საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ვებ–გვერდი, ფაკულტეტები, სტენდები);

გავრცელებულია 300–ზე მეტი განცხადება სხვადასხვა კონკურსების, კონფერენციებისა და სემინარების შესახებ.

<u>თსუ-ს სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა, კონკურსების ორგანიზება;</u>

- კა'ფოსკარის უნივერსიტეტის კონკურსი (2 საბაკალავრო სტიპენდია)
- კა'ფოსკარის უნივერსიტეტის კონკურსი(2 სტიპენდია აკად. პერსონალი)
- ვარშავის უნივერსიტეტის კონკურსი (3 სამაგისტრო სტიპენდია)
- ტარტუს უნივერსიტეტის კონკურსი (6 საბაკალავრო სტიპენდია)
- ვილნიუსის უნივერსიტეტის კონკურსი (10 საბაკალავრო სტიპენდია)
- ლატვიის უნივერსიტეტის კონკურსი (2 საბაკალავრო სტიპენდია)
- კადისის უნივერსიტეტის კონკურსი (1 საბაკალავრო სტიპენდია)
- სალერნოს უნივერსიტეტის კონკურსი (5 საბაკალავრო და სამაგისტრო სტიპენდია)
- ბრატისლავას უნივერსიტეტის კონკურსი (3 საბაკალავრო სტიპენდია)
- ვიადრინას უნივერსიტეტის კონკურსი (1 საბაკალავრო სტიპენდია)
- Erasmus Mundus-ის კონკურსი (4 საბაკალავრო სტიპენდია, 2 დოქტორანტი, 1 პოსტ დოქტორანტი, 1 აკადემიური პერსონალი)
- ბრატისლავას უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის კონკურსი (2 სამაგისტრო სტიპენდია)
- ეგვიპტის სამთავრობო სტიპენდიები (6 საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სტიპენდია, 6 აკადემიური პერსონალი)
- ჩინეთის საელჩოს სამთავრობო სტიპენდიების კონკურსი (2 სამაგისტრო სტიპენდია)
- ჩეხეთის საელჩოს სამთავრობო სტიპენდიების კონკურსი (1 სამაგისტრო სტიპენდია)
- ფრიდრიჰ–შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის კონკურსი, გერმანია (2 საბაკალავრო სტიპენდია)
- იუსტუს–ლიბიგის სახელობის გისენის უნივერსიტეტის კონკურსი, გერმანია (1 საბაკალავრო სტიპენდია)
- ზაარლანდის უნივერსიტეტის კონკურსი, გერმანია (14 სტიპენდია: საბაკალავრო, სამაგისტრო, დოქტორანტურა, აკადემიური პერსონალი).

<u>გაცვლითი სტუდენტებისა და პროფესორების მიღება თსუ–ში</u>

- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი) 4 სტუდენტი
- კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია) 2 სტუდენტი
- პროექტ Erasmus Mundus–ის ფარგლებში 2 სტუდენტი
- ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა) 13 სტუდენტი
- ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი) 3 სტუდენტი
- თეირანის უნივერსიტეტი 2 სტუდენტი

- იენის ფრიდრიხ–შილერის სახ. უნივერსიტეტი 2 სტუდენტი
- ზაარლანდის უნივერსიტეტი 2 პროფესორი
- პროექტ Erasmus Mundus–ის ფარგლებში 1 პროფესორი
- კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია) 1 პროფესორი

<u>საპატიო დოქტორის ტიტულის მინიჭება</u>

- პროფ. ანგელიკა ნუსბერგერი, კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია)
- პროფ. კლაუს ჰიპი, საქართველოს საპატიო კონსული მიუნხენში (გერმანია)
- დოქტ. ჯეფრი გედმინი, „რადიო თავისუფალი ევროპის" პრეზიდენტი
- პროფ. ჰანს შტროერი იულიხის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი (გერმანია)
- პროფ. კლაუს ჰოპტი, საერთაშორისო კერძო სამართლის მაქს–პლანკის სახელობის ინსტიტუტი (ჰამბურგი, ერმანია)
- პროფ. კარლ–პიტერ ზომერმანი, შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პრორექტორი (გერმანია)
- დოქტ. ფრენკ დაგლას ფერისი, პალიატიური მედიცინის ინსტიტუტის საერთაშორისო პროგრამების ხელმძღვანელი
- პროფ. მაქსიმილიან რაიზერი, მიუნხენის ლუდვიგ–მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური რადიოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი.

<u>საერთაშორისო პროექტები</u>

- გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) ერთობლივი პროექტი „თსუ–ში მართვის უნარების გაუმჯობესება"
- USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „თსუ კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის განვითარება"
- ევროკავშირის მობილობის პროგრამა „ერასმუს მუნდუსი"
- იაპონიის კულტურული გრანტის ფარგლებში იაპონისტიკის ცენტრის გახსნა თსუ მე–5 კორპუსში
- ღია საზოგადოების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „უმაღლესი განათლების დარგში ელექტრონული სწავლების გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა ესტონეთსა და საქართველოს შორის"
- წიგნების გაცვლის პროექტი პიტსბურგის უნივერსიტეტთან/ თსუ/ ეროვნული ბიბლიოთეკა/ გამომცემლობა „არტანუჯი"
- „ბიზნეს–ინგლისურის სწავლების გაძლიერება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე"
- თსუ ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ინგლისური ენის შესწავლის პროექტი – „ინგლისური პროფესიული მიზნებისთვის" – ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით.

<u>საგრანტო განაცხადების მომზადება</u>

- ევროკავშირის გრანტი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში „ადამიანის უფლებები და დემოკრატიზაცია ევრო კავშირის ფარგლებს გარეთ";
- საგრანტო პროექტი „USAID Civic Engagement";
- საგრანტო პროექტი „Senior Experts Service";
- NATO–ს გრანტი „Network Infrastructure";
- OSI–ის გრანტი „აკადემიური წერის პროფესორის მოწვევა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა მობილობის პროგრამის ფარგლებში".

საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება

- ტემპუსის პროექტის პრეზენტაცია (12.01.10)
- ტემპუსის ტრენინგი (29.01.10)
- პროექტ „ერასმუს მუნდუსის" რეგიონალური კონფერენცია (18.09.10)
- UNICA–ს რეგიონალური სემინარი „ხარისხის მართვა კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს კონტექსტში" (4–5.10.10)
- ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (4–5.10.10)
- სომხეთის საელჩოსა და თსუ–ს ერთობლივი კონფერენცია.

საგანმანათლებლო ღონისძიებების კოორდინირება:

- DAAD - ის ორგანიზებით ბოლონიის პროცესთან დაკავშირებული საჯარო ლექცია (12.01.10)
- AUF - ის ყოველწლიური კოლოკვიუმი (11.03.10)
- ფულბრაიტის (Faculty of Development Program) აპლიკანტების ნომინაცია (03.2010)
- პროფესორ მაიკლ ბერმანის მოწვევა თსუ–ს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე (03.2010)
- თსუ–ს არქეოლოგიის მიმართულების კონფერენცია ვარძიაში (04.2010)
- ლექსიკოგრაფიული ცენტრის ნამუშევრების პრეზენტაცია თიბისი ბანკში (26.04.2010)
- ბულგარეთში ამერიკული უნივერსიტეტის ვიცე–პრეზიდენტის განვითარების მიმართულებით პროფ. უილიამ კირშკე. ტრეინინგები კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განვითარების საკითხზე (27.07–06.08. 2010)
- რონდიმე მშვიდობის ციტადელის წარმომადგენლობის საჯარო ლექცია (07.2010)
- ვორკშოპი გონიოში (07.2010)
- ამერიკელი მოსამართლის საჯარო ლექცია (11.2010)
- კონფერენცია–ვორკშოპი კაჭრეთში (12.2010)

დელეგაციების მიღება თსუ–ში

- იენის უნივერსიტეტის პროფესორის, ალვესტის ვიზიტი (12.01.10)
- შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორის, ზომერმანის ვიზიტი (18.01.10)
- ესტონეთის საელჩოს წარმომადგენლების ვიზიტი (04.02.10)
- სირიის კონსულის ვიზიტი (01.03.10)
- რონდინე მშვიდობის ციტადელის წარმომადგენლების ვიზიტი (03.2010)
- ვიადრინას უნივერსიტეტის პროფესორის, პეტრა ვებერის ვიზიტი (03.2010)
- პროფ.კლაუს ჰიპის ვიზიტი (03.2010)
- ზიგენის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (03.2010)
- 19 მაისის სახელობის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (04.2010)
- ყარსის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (04.2010)
- მაასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორის, ლუის ბუნის ვიზიტი (04.2010)
- სომხეთის განათლების მინისტრის ვიზიტი (17.04.2010)
- მაასტრიხტი უნივერსიტეტის პროფესორის, ტანიელე ბლომის ვიზიტი (19–23.04.2010)
- ნეაპოლის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (28.04.2010)
- იაპონიის ელჩის ვიზიტი (04.2010)
- მაუნთ ჰოლიოკოს კოლეჯის (აშშ) პროფესორის, სტივენ ჯონსის ვიზიტი (18.04.10)
- მაასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორის, ლუის ბუნის ვიზიტი (7–12.05.2010)
- ბულგარეთში ამერიკული უნივერსიტეტის ვიცე პრეზიდენტის განვითარების მიმართულებით პროფ. იულიამ კირშკეს ვიზიტი (29.05–11.06.10)

- ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორის, იესე ტრეკერის ვიზიტი (07.2010)
- ონოს აკადემიური კოლეჯის (ისრაელი) პროფესორის, ოფერ ცელერმაიერის ვიზიტი (07.2010)
- ევროკომიის განათლების მიმართულების ოფიცრის, კლივიო კასალის ვიზიტი (17.09.10)
- პროექტ ერასმუს მუნდუსის კონსორციუმის 20 კაციანი დელეგაციის 3 დღიანი ვიზიტი (17–20.09.10)
- ანტალიის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (09.2010)
- სამხრეთ აფრიკის ელჩის ვიზიტი (09.2010)
- ბაქოს უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (09.2010)
- UNICA - ს 24 კაციანი დელეგაციის 4 დღიანი ვიზიტი (10.2010)
- ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის (70 კაციანი დელეგაცია) 1 კვირიანი ვიზიტი (10.2010)
- რადიო „თავისუფალი ევროპის" დირექტორის ვიზიტი (10.2010)
- პროფ. შალომ დავიდის ვიზიტი (10.2010)
- NATO - ს ელჩების ვიზიტი (21.10.10)
- HESP - ის დელეგაციის ვიზიტი (10.2010)
- ტალინის უნივერსიტეტის 5 კაციანი დელეგაციის 1 კვირიანი ვიზიტი (11.2010)
- შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორის, ზომერმანის ვიზიტი (17-20.11.2010)
- ზაარლანდის უნივერსიტეტის პროფესორის ბერნდ შრიოდერის ვიზიტი (11.2010)
- ზიგენის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი (29.11.10)
- დოქტ. კარმენ ნაისი, დოქტ, თომას შმიდთგალი (ზაარლანდის უნივერსიტეტი) ვიზიტი (11.2010)
- ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ვოლფგანგ ვენგის ვიზიტი (11.2010)
- რატგერსის უნივერსიტეტის ვიცე–პრეზიდენტის ვიზიტი (12.2010)
- ზაარლანდის უნივერსიტეტის პროფესორის ბერნდ შრიოდერის ვიზიტი (15–18.12.10)
- ტალინის დელეგაციის ვიზიტი (12.2010).

XVII. გამომცემლობა

- 2010 წელს თსუ გამომცემლობაში გამოსაცემად მომზადდა, დაიბეჭდა ან ვებ გვერდზე ელექტრონულად განთავსდა 70 წიგნი.
- 2010 წელს გამოცემული წიგნების ნუსხა;

წიგნის დასახელება:

- ისლამი - ნ. გელოვანი გ. სანიკიძე
- შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან - ო. ჯაფარიძე
- ჭავჭავაძის ინდ. მანერა და სტილი შემოქმედებაში - ხ. მემანიშვილი
- კავკასიოლოგიური ძიებანი - ავტორთა ჯგუფი
- მუზეუმმცოდნეობის შესავალი - ი. კოშორიძე
- თომას ბეკეტი - ჟან ანუი (ლ. კაკაბაძის თარგმანი)
- გააზნაურებული მდაბიო - მოლიერი (ლ. კაკაბაძის თარგმანი)
- ანალიზური კითხვა - 1 ნაწ. - დ. სირია
- ანალიზური კითხვა -2 –ე ნაწ. - დ. სირია
- ნავთობისა და ბუნებრივი აირების ქიმია - ი. ჩიკვაიძე
- ალგებრის კურსი - 1 - ნაწ. - მ. ამაღლობელი, მ. მაზუროვი
- გრ. კიკნაძის თხზულებანი – 5-ე ტომი

- თანამედროვე საზოგადოების გამოწვევა - გ. ბარამიძე
- ტყვიის უარყოფითი გავლენა ჯანმრთელობაზე და მისი აცილება - გ. პატარაია
- ზოგადი ქიმია - ო. მუკბანიანი
- ივ. ჯავახიშვილის 130 წლის იუბილე - ზ. გაიპარაშვილი
- ანთროპოგენური ლანდშაფტები - ე. დავითაია ზ. სეფერთელაძე
- ზოგადი და არაორგანული ქიმია - ნ. ლეკიშვილი
- ვაჟა - ფშაველას ონომასტიკონი - გ. ხორნაული
- გამოყენებითი მათემატიკის საერთაშორისო ჟურნალი - №1-№2
- სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა 2-ე სამეცნ. კონფერენცია
- ზოგადი გეომორფოლოგია - შ. ცხოვრებაშვილი
- მინერალოგია - ბ. თუთბერრიძე
- სტუდენტური ჟურნალი პირველი სიტყვა
- მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში - ნ. დოლიძე
- ქართული ენა სინტაქსის საკითხები - ლ. გეგუჩაძე
- ლორთქიფანიძის საიუბილეო კრებული - მ. მშვილდაძე
- აგრესია - კ. ჭიჭინაძე
- ვაზი სიცოცხლის ხე – თ. შარაბიძე
- ეკოლოგიური სამართალი - თ. ურუშაძე
- ენათმეცნიერების საკითხები 1-2 – (2009) საერთაშორისო ჟურნალი
- ენათმეცნიერების საკითხები – 1-2 (2010) საერთაშორისო ჟურნალი
- ინგლისური ენის ლექსიკოლოგია - ნ. ძოწენიძე
- ტექსტი და ქრონოტოპი - ი. რატიანი
- ნამდვილ ცვლადთა ფუნქციების უწყვეტობა და დიფერენციაცია – ო. ძაგნიძე
- ადამიანის ფენომენი - ტიერ დე შარდენი (ბ. ბრეგვაძის თარგმანი)
- კავკასიოლოგიის პროგრამა - ც. ბარამიძე
- კავკასიოლოგიის კონგრესის მასალები
- წელიწდეული (ალმანახი)- ზ. სხირტლაძე
- მათემატიკა ინფორმაცია და მექანიკა - გ. ჯაიანი
- გილგამეშიანი - მ. წერეთელი
- გერმანული ენის გრამატიკა - მ. ანდრაზაშვილი
- ლინგვისტიკის ისტორია ევროპაში - ვივიენ ლო
- მაკროეკონომიკა - ოლივიე ბლანშარი
- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი - იოჰანეს ვესელსი, ვერნერ ბოილკე
- ახალი ლიტერატურის ისტორია, II ნაწილი - ლადო მინაშვილი და თანაავტორები
- ჰიდროგეოლოგია და საინჟნრო გეოლოგია - ირაკლი მიქაძე
- ქიმიის საფუძვლები - ქ. გიორგაძე, მ. რუსია, მ. გვერდწითელი (ელ. წიგნი)
- სალექციო კურსი ძველ ბერძნულ ენაში - თინა გიორგობიანი
- ცსესს 2007 დაპროგრამება (ელ. წიგნი) - ზურაბ მუნჯიშვილი
- საკითხავი წიგნი სპარსულში II (ელ. წიგნი) - მ. კვაჭაძე,, ქ. მეგრელიშვილი
- კლინიკური ნეიროანატომია (ელ. წიგნი) - ია კირვალიძე
- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი - ირაკლი დვალიძე
- თბილისი ცვლილებების ხანაში - სოსო სალუქვაძე
- ქიმია 363 - ნოდარ ლეკიშვილი
- თსუ შრომები, საერთაშორისო კრებული - (ელ. ჟურნალი)
- მედიცინის ფაკულტეტი - ვენსნეულებათა ევროპის 25-ე საერთაშორისო კონგრესის მასალები (ჟურნალი, პროგრამა, აბსტრაქტ-წიგნი, მონაწილის სერთიფიკატი, შტენდერი, პლაკატი, ბეიჯი, 2 ბანერი)

- ცივილიზაციური ძიებანი 7 (2009) - საერთაშორისო ჟურნალი
- ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები - კრებული (ელ.წიგნი) - ზურაბ ჭუმბურიძე
- კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXVI - მარიკა მშვილდაძე
- ოთარ ბაქანიძე – 80 (ელ.წიგნი)
- ტყვიის ექსპოზიცია - გია პატარაია
- თანამედროვე საზოგადოების გამოწვევა – თარგმანი და რედაქტირება: გია პატარაია, აკაკი ყულიჯანაშვილი, გია ხუბუა
- ალგებრის კურსი, I - მ. ამაღლობელი, მეზუროვი
- უნივერსიტეტი (მეორე გამოცემა)
- ფედერალიზმი - გიორგი ხუბუა
- ვაჟა ფშაველა (კრებული)
- ჰეროდოტე - ისტორია
- გენეტიკის სახელმძღვანელო - ლეჟავა
- საქართველო - თეოდორ ველე

<u>თსუ-ს გამომცემლობის მიერ 2010 წელს ჩატარებული ღონისძიებები:</u>

- აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია" – პრეზენტაცია;
- 2010 წელს გამოცემული წიგნების - პრეზეტანცია საქართველოს პარლამენტში;
- ვეფხისტყაოსნის კითხვა – ბათუმში;
- საგაზაფხულო წიგნის ბაზრობაში მონაწილეობა;
- პოლონელმა სტუდენტმა ქშიშოფ ლუკიანოვიჩმა გაიარა საგამომცემლო პრაქტიკა.

XVIII. საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრი

2010 წლის განმავლობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრის მიერ:

- განხორციელდა საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სისტემა „ორისის" ტექნიკური მხარდაჭერა. თანამშრომელთა მიერ შენიშნული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორება, კონსულტაციები, სწავლება, აგრეთვე სასწავლო პროცესის მართვის სისტემა NOAH-ს ტექნიკური მხარდაჭერა. შესრულდა დამუშავებული სისტემის ტესტირება ეკონომიკის ფაკულტეტისთვის. გაიმართა სისტემის სერვერი ყველა საჭირო ფუნქციონალობით. ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანდებისა და პროფესორებისთვის შეიქმნა LDAP ინფრასტრუქტურა დაახლოებით 5000-მდე სააღრიცხვო ჩანაწერით მომავალში საუნივერსიტეტო ქსელში ერთიანი აუთენტიკაციისთვის.
- შემუშავდა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ახალი საძიებო სისტემის პროექტი. თავმოყრილ იქნა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები ელექტრონული (მონაცემთა ბაზების) სახით. ბაზა სადღეისოდ შეიცავს 500 ათას ბიბლიოგრაფიულ ერთეულს. დაიწყო თსუ-ს ყველა ბიბლიოთეკის ერთიანი ინვენტარიზაციის პროცესი.
- განხორციელდა ახალი ვებ სერვერის კონფიგურირება და მასზე თსუ მთავარი გვერდისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ვებ გვერდების გადატანა.
- ბიოლოგების კორპუსში დამონტაჟდა ცენტრალური კომუტატორი;
- მაღლივის რეგიონში გაიმართა ცისკოს კომუტატორი და ფაირვოლი ტრაფიკის ოპტიმიზირებისათვის;
- მაღლივის რეგიონში გაიმართა ახალი სერვერი ქსელური სერვისების მონიტორინგისათვის;
- კომპანია „ჯეოსელთან" გაიხსნა ვირტუალური პრივატული ქსელი და მასზე დაფუძნებით შეიქმნა მოკლე შეტყობინებების გაგზავნის სერვისი message.tsu.ge.

➢ თსუ-ს II კორპუსში დამატებით შეიქმნა რამოდენიმე ვირტუალური ლოკალური ქსელი და გაიწერა მათთვის შესაბამისი პოლისი.

➢ თსუ ელექტრონული ფოსტის სერვერზე შეიქმნა დაგზავნის საფოსტო სიები ფაკულტეტებისა და სხვა ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისათვის.

➢ 2010 წლის განმავლობაში დისტანციური სწავლების საქმიანობა დაკავშირებული იყო ელექტრონული კურსების მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) ადმინისტრირებასთან (www.e-learning.tsu.edu.ge და www.elearning.tsu.edu.ge). ყოველდღიურად ეწეოდა კონსულტაციები პედაგოგებს და კურსის შემქმნელებს კურსების დაგეგმვაში. ეტაპობრივად მიმდინარეობდა ელექტრონული კურსების მომზადება და განთავსება. დღეისათვის კურსების მართვის სისტემა სრულად ფუნქციონირებს. მასში ჩატვირთულია ყველა ის მოდული რომელიც დაეხმარება პედაგოგს სრული კურსის აწყობაში. ეს მოდულებია გაკვეთილი, გამოკითხვა, დავალება, ტესტი, ფორუმი, ვიდეო გაკვეთილი და სხვა. სისტემას ამ ეტაპზე ყავს 3000-ზე მეტი მომხმარებელი (უნივერსიტეტის პედაგოგები და სტუდენტები), განთავსებულია 161 სალექციო პროგრამა. აქედან 62 აკმაყოფილებს 2010 წლის 25 ივნისს თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ ელექტრონული კურსის სტანდარტს. სხვა დანარჩენი მოიცავს სალექციო მასალებს (პრეზენტაციებს, pdf ფაილებს და სილაბუსებს). ამჟამად მიმდინარეობს ამ სალექციო მასალების პროგრამული დამუშავება და მათი ელექტრონულ კურსებში ინტეგრირება. გარდა ამისა, ხორციელდებოდა სხვადასხვა საგნებში ელექტრონული ტესტირების ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა. ა. წ. 10 მარტს, საუნივერსიტეტო პროექტის „საჯარო ლექციების“ ფარგლებში გადაღებული და დამონტაჟებული იქნა რისმაგ გორდეზიანის ვიდეო ლექცია. რომელიც განთავსებულია დისტანციური სწავლების პორტალზე.

➢ 2010 წლის მეორე კვარტალში უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მცირე საკონფერენციო დარბაზში დამონტაჟდა ვიდეოკონფერენციის სისტემა. წლის განმავლობაში გაიმართა ოთხი ვიდეო კონფერენცია ინგლისის (University of Westminster, London UK), პორტუგალიის, სომხეთის და გერმანიის (TU München, Gemany) სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან.

➢ შეიქმნა თსუ–ს სტუდენტების ელექტრონული ფოსტები.

➢ განახლდა DNS სერვერები და სერვისები.

➢ გაიმართა ოფიციალური ანტივირუსის სერვერი.

➢ გაიმართა proxy სერვერი;

➢ მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით ხორციელდებოდა მწყობრიდან გამოსული კომპიუტერული ტექნიკის აღდგენას–შეკეთება და მონიტორინგი ტენდერით მოთხოვნილ და მიღებულ საქონელზე, მათ ხარისხზე, მოწოდების ვადებზე და რაოდენობებზე.

➢ თსუ-ს ადმინისტრაციას სისტემატიურად მიეწოდებოდა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის საჭირო შესაძენი კომპიუტერული ტექნიკის შესახებ ინფორმაცია და კონფიგურაცია;

➢ სისტემატურად სრულდებოდა სხადასხვა სახის გრაფიკული სამუშაოები (სარეკლამო ბანერები, დიპლომები, ბანერები web–ისთვის, ნახაზები).

XIX. მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი

2010 წლის განმავლობაში, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა, კერძოდ:

➢ II, III, IV, V და X (მაღლივ) კორპუსებში გამოცვლილი იქნა 300 კვ.მ. მინა.

➢ სასწრაფო შეკეთება ჩაუტარდა II კორპუსის სპორტული დარბაზის და X კორპუსის მინაშენის სახურავებს (საერთო ჯამი 500მ^2).

➢ II, III, V, VI, VIII და XI (ბიოლოგების) კორპუსებში გაწმენდვითი სამუშაო ჩაუტარდა სახურავის ჟოლობებს, მილებს და შესაბამისად გაბიდნულ საკანალიზაციო ჭებს.

➢ კორპუსებში კათედრების გადანაწილებით გამოწვეული ლაბორატორიებისა და აუდიტორიების ადგილმდებარეობის შეცვლამ აუცილებელი გახადა გარკვეული საკომუნიკაციო ქსელების შეცვლა-განახლება: გაყვანილი იქნა წყალ-კანალიზაციის ახალი ქსელები დაახლოებით 200გრძ/მ.

➢ შეკეთდა და დამონტაჟდა ახალი წყლის ონკანი 400 ცალი, გაყვანილი იქნა ახალი ელ. სადენების ხაზი 200 გრძ/მ, დამონტაჟდა 600 ცალი ელ. წერტილი და 100 ცალი ელ. ამომრთველი. სასწავლო კორპუსებსა და საპირფარეშოებში მოწესრიგდა ელექტრო ფარების საკითხი, ძველი სანათები შეიცვალა ახალი ეკონომიური ნათურებით.

➢ დეპარტამენტის ძალებით რესტავრაცია ჩაუტარდა კორპუსებში გარკვეული რაოდენობის კარ-ფანჯარას, გამოიცვალა მოზაიკის ფილები, კიბის საფეხურები, იატაკი როგორც ოთახებში ასევე დერეფნებში.

➢ დამატებით, საკუთარი ძალებით რეაბილიტირებული და განახლებული იქნა 600-ზე მეტი სასწავლო მერხი და სკამი, 300-ზე მეტ დაზიანებულ მერხს გადაეკრა ახალი ლამინირებული ზედაპირი. საჭიროებისამებრ დაკომპლექტდა, შეძენილი და რეაბილიტირებული ახალი სასწავლო ინვენტარით ყველა კორპუსის სასწავლო აუდიტორია.

➢ ბიბლიოთეკის კორპუსში მოხდა გისოსების დემონტაჟი, გარემონტდა გარკვეული რაოდენობა და დამონტაჟდა ახალი 70 ცალი გისოსი, ასევე დამონტაჟდა გათბობის სისტემა 8 ცალი.

➢ სასწავლო აუდიტორიებსა და კაბინეტებში დამონტაჟდა კონდიციონერები, მოთხოვნილების შესაბამისად განთავსდა ბანერები, ფოიეში დამონტაჟდა ტელევიზორები.

➢ რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი გადაყვანილ იქნა თავისი ინვენტარით ფიზიკის ინსტიტუტსა და მაღლივ კორპუსებში, ხოლო მათი არსებული ბიბლიოთეკა შეიფუთა და დასაწყობდა მაღლივი კორპუსის ერთ-ერთ სათავსოში. შესაბამისი სამუშაოები ჩატარებული იქნა დეპარტამენტის მიერ, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად საკმაოდ შეზღუდულ ვადებში.

➢ ანალოგიურად ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი თავისი ლაბორატორიებით გადაყვანილი იქნა ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში.

➢ უნივერსიტეტის კორპუსებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სისტემატიურად ხდება სან-ჰიგიენური ინვენტარის შეძენა, სულ წლის განმავლობაში შეძენილია 131438.00 ლარის სან-ჰიგიენური საშუალებები.

➢ დაწესებულია კონტროლი რესურსების რაციონალურ ხარჯვასთან დაკავშირებით, ბუნებრივია საუნივერსიტეტო დინამიკიდან გამომდინარე, მოთხოვნები გაიზარდა ყველა მიმართულებით, სტუდენტთა მომსახურებისათვის გაიცემა მეტი საბუთი და დოკუმენტი, გაზრდილია მოთხოვნები როგორც საკანცელარიო, ასევე სასწავლო პროცესისათვის საჭირო მოხმარების საგნებზე (ქაღალდი, კატრიჯი, ტექნიკა, საკანცელარიო ნივთები და ა. შ.)

➢ შეძენილია ახალი სხვადასხვა სახეობის სასწავლო ინვენტარი (მერხი, მაგიდა, სკამი, კათედრა, მარკერის დაფა და ა.შ.)

წლის ბოლომდე დასრულდა ტენდერით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები:

➢ XI (ბოლოგების) კორპუსში გარემონტდა ზოოლოგიის და მინეროლოგიის მუზეუმები, ვივარიუმი, შესასვლელი ფოიე, ოთახები №316, №317, №471, №321. №322, 3348, №465, №466, №467, №517, №518, №519, №520. №332. №364, №482. №432, №433. №406. №407. №408. №409. №410. №411. №414. №415. №417. №418. №419. №420. №427. №428. №431. №483. №309. №401 №501. №502. №503. №504. №505. №530. №535. №536. №37. №538. მინაშენის ოთახები №101. №103. №105. №106. №107. №108. №109. შეიცვალა ჭერი ამსტონგით 300 კვ.მ. და საკანალიზაციო წყლის მილები.

➢ X (მაღლივ) კორპუსში გარემონტდა სახურავი, მე-5 სართულის დერეფანი, აუდიტორიების ფანჯრები და კარებები, სპორტული დარბაზი და მისი მიმდებარე დერეფანი,

საშხაპე, ოთახები და აუდიტორიები №202. №204ა. №508. №509. №512. №710. №711. სპორტულ დარბაზში დამონტაჟდა განათებები.

- II კორპუსში გარემონტდა სპორტული დარბაზი, კორიდორი, მკლავჭიდის და ბენდის ოთახები, აუდიტორიები №046. 3047. №250. №345. №001. №103. №237. №308. №123. №134.
- III კორპუსში გარემონტდა ოთახები №022 და №107.
- IV კორპუსში გარემონტდა კიბის უჯრედი და დერეფანი.
- V კორპუსში გარემონტდა საპირფარეშოები, დერეფნები, ოთახები №128. №302. №305. №310. №319. №208. გამოიცვალა გარე და შიდა საკანალიზაციო ქსელები.
- VI კორპუსში გარემონტდა ფოიე, დერეფანი სველი წერტილები და ოთახი №101.
- VIII კორპუსში გარემონტდა ოთახები №313. №213.
- მაღალი ენერგიების სასწავლო კორპუსში შეკეთდა დაზიანებული სახურავი (რბილი გადახურვა) 550 $მ^2$.
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზებში დაიგო ლამინირებული იატაკი 2800 კვ.მ. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასასვლელ კიბეებს 180 კვ.მ. შეიცვალა მინები 35 კვ.მ.
- საერთო ჯამში 2010 წელს გარემონტდა 100-ზე მეტი აუდიტორია, კორპუსების შესასვლელი ფოიეები, ფასადები, კორპუსებში სავალალო მდგომარეობაში მყოფი კიბეები. გარდა ამისა, მთელი წლის მანძილზე კორპუსებში არ შეჩერებულა პირველადი საჭიროების შესასრულებელი, საექსპლუატაციო და შესაკეთებელი სამუშაოები (საკეტები, სანათები, კარებები, ფანჯრები, მინები, საკანალიზაციო, ელექტრო და ა.შ).
- კორპუსებში მოწესრიგდა და განათდა ყველა კუთხე და ეზო, გაიწმინდა და გაიმართა გათბობის სისტემები, უნივერსიტეტის ყველა კორპუსში მოიხსნა გათბობის პრობლემა.
- სასმელი წყლის ხარჯი, 2009 წელთან შედარებით შემცირდა 95000 ლარით.

<u>ბაგების სტუდქალაქი</u>

- სტუდქალაქის ადმინისტრაცია V კორპუსიდან გადმოვიდა III კორპუსში, საცხოვრებლად მიღებულ იქნა 92 ახალი სტუდენტი და 5 თანამშრომელი, სულ წლის განმავლობაში გაფორმდა 220 კონტრაქტი.
- სტუდქალაქის I, II და III კორპუსებში შეიცვალა წყლის გამაცხელებლები და მოწესრიგდა ყველა საშხაპე. I და II კორპუსების დერეფნებში მოწესრიგდა და ნაწილობრივ შეიცვალა ელ. გაყვანილობა, საერთო ჯამი 500 მ. სიგრძის ოდენობით. 30-მდე ოთახში მთლიანად აღდგენილ იქნა ელ. გაყვანილობა.
- ავტობუსების გაჩერების მიმდებარე ტერიტორიაზე აღდგენილ იქნა შადრევანი, III კორპუსის მიმდებარე ტერიტორიასთან მოეწყო წყარო-შადრევანი.
- სტუდქალაქის შემოსასვლელთან დამონტაჟდა საცნობარო დაფა წარწერით „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაგების სტუდქალაქი", ტერიტორიაზე დამონტაჟდა 6 ახალი გრძელი სკამი, დაირგო 100-ზე მეტი ნერგი, მათ შორის 30 წიწვოვანი, 1000 კვ.მ-ზე მეტ ფართობზე გაიჩეხა ეკალ-ბარდები და გაიწმინდა ტერიტორია, შეიღება კირით დაახლოებით 100-ზე მეტი ხის ძირი.
- შეიცვალა ოთახებში და ვიტრინებში 50 კვ.მ-ზე მეტი მინა, სტუდქალაქის ადმინისტრაციის ძალებით აეწყო და დამონტაჟდა შლაგბაუმი და I, II და III კორპუსები, გაიმიჯნა მე-4 და მე-5 კორპუსებისგან. III კორპუსში ნაწილობრივ შეიცვალა საკანალიზაციო მილები, ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთდა 2 დამატებითი საკანალიზაციო ჭა და გაიწმინდა კანალიზაციის მილები, I კორპუსში შეიცვალა რამოდენიმე საკანალიზაციო დგარი და გაყვანილ იქნა წყალი რამოდენიმე ოთახში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

2010 წლის ანგარიში

(მომზადებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–9 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით აკადემიური საბჭო წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს)

შესავალი

აკადემიური საბჭოს ერთწლიანი მუშაობის და მიღებული დადგენილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2010 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების, სასწავლო პროცესის მართვის სრულყოფის გაუმჯობესებისთვის და ზოგადად, უნივერსიტეტის რეფორმირებისთვის. უნივერსიტეტის მმართველობითი ორგანოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო და არის აკადემიური საბჭოს ანგარიშვალდებულების გაზრდა, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის გაზრდის თანმიმდევრული მხარდაჭერა.

მიღებული დადგენილებები ცხადყოფს, რომ განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ ამოცანების განხორციელებისკენ იყო მიმართული. შედეგად, დაიხვეწა აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი და პირობები; აკადემიური და თანამდებობის პირთა შესარჩევად ჩატარდა ღია კონკურსები, შემუშავდა უნივერსიტეტის მისია. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების ნაწილმა მოაწესრიგა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგების დამტკიცების საკითხი. პროცედურების ადმინისტრირების დახვეწის შედეგად, უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი კონკურსის საფუძველზე შეარჩია საბჭოს მიერ დამტკიცებულმა კომისიებმა, შედეგები კი დამტკიცდა აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებებით.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული უნივერსიტეტის მენეჯმენტის გაუმჯობესების კუთხით. აკადემიურმა საბჭომ აირჩია ახალი რექტორი, ადმინისტრაციის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, 3 ფაკულტეტის (მედიცინის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) დეკანი.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მიუახლოვდა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული კრედიტების აღიარებისა და მინიჭების წესთან დაკავშირებით. საბჭომ დახვეწა და დაამტკიცა უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარების წესის ახალი რედაქცია; ასევე, დაადგინა თსუ–ში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი. ასევე, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების წესი.

დაიხვეწა სასწავლო პროცესის რეგულირება. აკადემიურმა საბჭომ დაადგინა სასწავლო პროცესის ვადები, სილაბუსების წარმოდგენის ვადები, 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სადოქტორო და 2011–2012 სასწავლო წლის საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის და სამაგისტრო პროგრამების წარმოდგენის ვადები;

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროგრამების დამტკიცების შესახებ და დაამტკიცა 20 პროგრამა, რომლებიც შეიძლება დავყოთ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო, ასევე სადოქტორო და ზოგიერთ სხვა სახის სამეცნიერო–კვლევით პროგრამებად. დამტკიცდა თსუ–ის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსები. ამასთან, მოხდა სილაბუსის ფორმის მოდიფიცირება. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ თსუ–ის სასწავლო კურსებში დაინერგა ელექტრონული სწავლების კომპონენტი, რომლის პილოტირება წარმატებით განხორციელდა;

დაიხვეწა სამართლებრივი ბაზა. აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა იურიდიული, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების და მათი სადისერტაციო საბჭოების დებულებები. სასწავლო პროცესის რეგულირების კუთხით აკადემიურმა საბჭომ მიიღო სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, თსუ–ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებელთა სწავლების პროცესის მარეგულირებელი წესი. სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი. დაიხვეწა აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესები. დამტკიცდა მისაღები გამოცდებისთვის მისანიჭებელი კოეფიციენტი.

სტუდენტებისთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველსაყოფად საბჭომ მიიღო რიგი დადგენილებები. მათ შორის: დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი; გაცვლითი პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტების მომსახურების წესი; უცხოური ენის სასწავლო კურსის გამოტოვებული საფეხურის შესაბამისი ცოდნის დადასტურების წესი;

მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებისათვის სწავლის საფასურის, ვადების, წლიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ; განისაზღვრა თსუ–ის „საჯარო მმართველობის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის სემესტრული გადასახადის ოდენობა;

საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ აკადემიურმა საბჭომ მიიღო 11 დადგენილება, ხოლო ემერიტუსის წოდება მიანიჭა ერთ მეცნიერს.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანების მე–8 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, „აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე“.

სულ, 2010 წლის განმავლობაში აკადემიურმა საბჭომ მიიღო 149 დადგენილება, 10 წარდგინება და ერთი განცხადება.

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 21–ე მუხლის პირველი პუნქტის **„ნ“** ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" (შემდგომში – წესდება) მე-9 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ დაადგინა აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები.

ამათგან, აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის დადგენას ეხება 2010 წლის განმავლობაში სამჯერ განხორციელებული ცვლილებები და დამატებები “ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ–პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ” აკადემიური საბჭოს N91 დადგენილებაში (№1/2010; №108/2010 და №129/2010).

აკადემიური პერსონალის სამსახურში შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დადგენას არეგულირებდა აკადემიური საბჭოს 7 დადგენილება:

1. მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის - სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ (10 მარტი, 2010, დადგენილება №29/2010);
2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და ასისტენტ

პროფესორების თანამდებობრივი სარგოს დადგენის შესახებ (10 მარტი, 2010, დადგენილება №28/2010);

3. თსუ–ის აკადემიური საბჭოს №28/2010 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (26 აპრილი, 2010, დადგენილება №43/2010);
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ (10 მარტი, 2010, დადგენილება №27/2010);
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ (10 მარტი, 2010, დადგენილება №26/2010);
6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის - სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის ოდენობის დადგენის შესახებ (10 მარტი, 2010, დადგენილება №25/2010);
7. აკადემიური საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის №233, 2010 წლის 10 მარტის №25, №26 და №27 დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ (26 მარტი, 2010დადგენილება №32/2010).

თანამდებობის პირთა არჩევა

აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის თანამდებობის პირთა არჩევასთან დაკავშირებითაც. კერძოდ,

– კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის **„ს“** ქვეპუნქტისა და 41–ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე თსუ–ის რექტორის (გიორგი ხუბუას) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (13 აგვისტო, 2010, დადგენილება №87/2010);

– კანონის 21–ე მუხლის 1^2 ქვეპუნქტის საფუძველზე, თსუ–ის რექტორის მოვალეობის შემსრულების (პროფესორ ნუგზარ სურგულაძის) დანიშვნის შესახებ (17 აგვისტო 2010, დადგენილება №88/2010), ხოლო შემდგომ ამავე კანონის 41–ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პირადი განცხადებით მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (31 აგვისტო 2010, დადგენილება №89/2010);

– კანონის 21–ე მუხლის 1^2 ქვეპუნქტის საფუძველზე, თსუ–ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის (ალექსანდრე კვიტაშვილის) დანიშვნის შესახებ (31 აგვისტო 2010, დადგენილება №90/2010);

– კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის **„დ“** ქვეპუნქტის, 22–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და წესდების მე–9 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და წესდების 36–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილებები:

– „თსუ–ის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ (4 ოქტომბერი 2010, დადგენილება №106/2010), ხოლო შემდგომ აირჩია უნივერსიტეტის რექტორი (ალექსანდრე კვიტაშვილი) (27 დეკემბერი, 2010, დადგენილება №145/2010);

– კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-9 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აირჩია თსუ–ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი (ზურაბ გაიპარაშვილი) (29 დეკემბერი 2010, დადგენილება №146/2010);

– კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-9 მუხლის ,,მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე (25 ივნისი, 2010, დადგენილება №70/2010), ამ დადგენილებაში შეიტანა ცვლილებები (13 სექტემბერი 2010, დადგენილება №101/2010 და 4 ოქტომბერს, დადგენილება №111/2010), შემდეგ კი აირჩია თსუ–ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (ნინო დურგლიშვილი) (1 ნოემბერი 2010, დადგენილება №121/2010).

– კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-9 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ორჯერ აირჩია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რის გამოც მიიღო 4 გადაწყვეტილება:

თავდაპირველად, მიიღო დადგენილება „თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ (17 მაისი, 2010, დადგენილება №49/2010, რომლის შედეგად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის შედეგად შერჩულ იქნა რომან ხარბედიას კანდიდატურა (25 ივნისი, 2010, დადგენილება №79/2010);

მეორედ, ანალოგიური პროცედურით, მიიღო დადგენილება „ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ (4 ოქტომბერი, 2010, დადგენილება №107/2010), ხოლო შემდეგ თსუ–ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის (დავით ჩომახიძის) შერჩევის შესახებ (1 ნოემბერი, 2010, დადგენილება №120/2010).

– კანონის 21-ე მუხლისა და წესდების მე-9 მუხლის, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2009 წლის 19 ოქტომბრის №295 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 23 ოქტომბრის №22 სხდომის

გადაწყვეტილებით დამტკიცებული „თსუ–ის დეკანების არჩევის წესის“ მე-3 მუხლის საფუძველზე, მიიღო 3 დადგენილება <u>დეკანების კანდიდატთა რეგისტრაციის</u> შესახებ:

ა) თსუ–ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ (დადგენილება №48/2010);

ბ) თსუ–ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ (19 აპრილი, 2010, დადგენილება №41/2010);

გ) თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ (31 მარტი, 2010, დადგენილება №37/2010).

პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის <u>„ს“</u> ქვეპუნქტის, წესდების” მე-9 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „თსუ–ში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის" მე-12 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 9 დადგენილება სხვადასხვა ფაკულტეტებზე <u>პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ:</u>

- თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (1 ივლისი, 2010, დადგენილება №80/2010);
- თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება № 75/2010);
- თსუ–ის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ – პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (10 მაისი, 2010, დადგენილება №47/2010);
- თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (26 მარტი, 2010, დადგენილება №35/2010);
- თსუ–ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ – პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (26 მარტი, 2010, დადგენილება №34/2010);
- თსუ–ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (10 მარტი, 2010, დადგენილება №21/2010);
- თსუ–ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოფიზიკის ქვემიმართულების სრული და ასოცირებული პროფესორების

აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (22 თებერვალი,2010, დადგენილება №19/2010);

- თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული და ასოცირებული პროფესორების ვაკანტურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ (5 თებერვალი, დადგენილება №12/2010);
- თსუ–ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ–პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (6 სექტემბერი 2010, დადგენილება №96/2010).

აკადემიური საბჭოს გადაყვეტილებების ნაწილი ეხება თსუ–ის ზოგიერთი <u>პროფესორ–მასწავლებლის შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებასა და შრომითი ხელშეკრულებების ვადის გაგრძელებას</u>, რასაც საფუძვლად უდევს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის <u>„ს“</u> ქვეპუნქტი და წესდების” მე-9 მუხლი. ამ მხრივ სულ მიღებულ იქნა 8 დადგენილება (№23/2010, №55/2010, №84/2010, №95/2010, №144/2010, №147/2010, №149/2010).

კომისიების შემადგენლობის დამტკიცება

კანონის 21–ე მუხლის, წესდების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის <u>„ს“</u> ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის N91 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის N13 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „თსუ–ში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის“ მე–7 მუხლის საფუძველზე მიღებულია 15 დადგენილება, რომლებიც ეხება უნივერსიტეტის ფარგლებში სხვადასხვა სახის <u>კომისიების შემადგენლობის დამტკიცებას.</u> ესენია:

– „თსუ–ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების შესარჩევი საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს №11/2010 დადგენილება და მასში შეტანილი დამატებები (17 თებერვალი, 2010; დადგენილება №15/2010);

– თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ (10 მარტი, 2010, დადგენილება №31/2010);

– თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ (18 იანვარი, 2010, დადგენილება №3/2010);

– თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (1 ნოემბერი 2010, დადგენილება №122/2010);

– თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს №91/2010 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (13 სექტემბერი 2010, დადგენილება №99/2010);

– თსუ–ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (6 სექტემბერი 2010, დადგენილება №93/2010);

– თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (6 სექტემბერი 2010, დადგენილება №92/2010);

– თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (6 სექტემბერი 2010, დადგენილება №91/2010);

– თსუ–ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების კონფლიქტების ანალიზისა და მართვის ქვემიმართულებაზე ასისტენტ პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ (1 ივლისი, 2010, დადგენილება №83/2010);

– თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (4 ივნისი, 2010, დადგენილება №54/2010);

– თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” №52/2010 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (4 ივნისი, 2010, დადგენილება №53/2010);

– თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (31 მაისი, 2010, დადგენილება №52/2010);

– თსუ–ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ–პროფესორთა ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ (19 აპრილი, 2010, დადგენილება №40/2010);

– თსუ–ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ (5 თებერვალი, დადგენილება №8/2010).

წესდების მე–9 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიური საბჭოს ერთი გადაწყვეტილება ეხება უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა სახის კომისიის შემადგენლობის დამტკიცებას. ეს არის თსუ–ის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა

შერჩევის წესისა და სტუდენტთაგან საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შესარჩევი კომისიის დამტკიცების შესახებ (29 დეკემბერი 2010, დადგენილება №148/2010).

კონკურსის შედეგების დამტკიცება

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების ნაწილი აწესრიგებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგების დამტკიცების საკითხს. კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,თსუ–ში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის“ მე-12 მუხლის, რექტორის შესაბამისი ბრძანებისა და საკონსურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ მიიღო შვიდი დადგენილება თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (№141/2010 და №102/2010), ეკონომიკისა და ბიზნესის (№138/2010), ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე (№131/2010 და №109/2010, №103/2010) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ.

კრედიტების აღიარებისა და მინიჭების წესი

აკადემიური საბჭოს 3 დადგენილება ეხება კრედიტების აღიარებისა და მინიჭების წესს.

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და წესდების მე–9 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც აკადემიურ საბჭოს უფლებას აძლევს დაადგინოს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესი, საბჭომ მიიღო ორი დადგენილება:

- უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარების წესის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება №59/2010);
- თსუ–ში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი (25 ივნისი, 2010, დადგენილება №57/2010).

აკადემიური საბჭოს 1 დადგენილება ეხება კრედიტების მინიჭების წესს. ეს არის ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების წესის შესახებ (25 ივნისი. 2010, დადგენილება №58/2010), რომელიც საბჭომ მიიღო კანონის 21–ე მუხლის „ს“ პუნქტისა და წესდების“ მე–9 მუხლის საფუძველზე. მასში ერთხელ იქნა შეტანილი ცვლილება (13 სექტემბერი, 2010, დადგენილება №98/2010).

არჩევის წესები

კანონის 21-ე მუხლისა და წესდების მე–9 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიურმა საბჭომ ცვლილებები შეიტანა აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესებში და მიიღო 2 დადგენილება:

– „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 30 სექტემბრის №141 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე (25 ივნისი, 2010, დადგენილება №72/2010);

– ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ივლისის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (24 მაისი, 2010, დადგენილება №50/2010).

სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროგრამები

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ს“ ქვეპუნქტებისა და წესდების მე–9 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროგრამების დამტკიცების შესახებ და დაამტკიცა 20 პროგრამა, რომლებიც შეიძლება დავყოთ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო, ასევე სადოქტორო და ზოგიერთ სხვა სახის სამეცნიერო–კვლევით პროგრამებად. ესენია:

- თსუ–ის უწყვეტი განათლების **საგანმანათლებლო** პროგრამები (18 იანვარი, 2010, დადგენილება №2/2010);
- თსუ–ის მედიცინის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი (პროფესიული მზადების) **საგანმანათლებლო** პროგრამები (25 ივნისი, 2010, დადგენილება №67/2010);
- აზერბაიჯანულენოვანთათვის და სომხურენოვანთათვის ქართულ ენაში მომზადების **საგანმანათლებლო** პროგრამები (25 ივნისი, 2010, დადგენილება №68/2010);

- თსუ–ის 2010–2011 სასწავლო წლის **სამაგისტრო** პროგრამები (25 ივნისი, 2010, დადგენილება №65/2010);
- თსუ–ში უწყვეტი განათლების **საგანმანათლებლო** პროგრამა – ფოტოგრაფიისა და ვიდეოოპერატორის საფუძვლები (26 აპრილი, 2010, დადგენილება №46/2010);
- თსუ–ის 2010–2011 სასწავლო წლის პროფესიული უმაღლესი, საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის **საგანმანათლებლო** პროგრამები (25 ივნისი, 2010, დადგენილება №64/2010);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის **სასწავლო** პროგრამებში ცვლილებები (დადგენილება №135/2010);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამებში ცვლილებები (13 ოქტომბერი, 2010, დადგენილება №119/2010);
- 2009-2010 წლის **სამაგისტრო** პროგრამების სასწავლო გეგმებში ცვლილებები (13 ოქტომბერი 2010, დადგენილება №118/2010);
- **საბაკალავრო** პროგრამა –„კავკასიოლოგია“ (რუსულენოვანი) (13 ოქტომბერი, 2010, დადგენილება №117/2010);
- თსუ–ის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი **სამაგისტრო** პროგრამა – „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ და უწყვეტი **განათლების** პროგრამები: „მოგზაურობისა და ტურიზმის ადმინისტრირება“ და „ტურიზმის მარკეტინგული კომუნიკაციები“ (8 ოქტომბერი 2010, დადგენილება №112/2010);
- თსუ–ის იურიდიულ ფაკულტეტზე საერთაშორისო სამართლის სპეციალობის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის **საგანმანათლებლო** პროგრამები და **სადოქტორო** პროგრამა (13 სექტემბერი, 2010, დადგენილება №100/2010);
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემუშავებული **სასერტიფიკატო პროგრამა** „წერისა და ზეპირი პრეზენტაციების უნარები“-ს და გერმანული ფილოლოგიის **სადოქტორო** პროგრამა „გერმანული ენათმეცნიერების მიმართულებები და კვლევის მეთოდები“ (6 დეკემბერი, 2010, დადგენილება №139/2010);
- თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე **სადოქტორო** პროგრამები (5 თებერვალი, დადგენილება №9/2010);
- თსუ–ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2010 წლის გაზაფხულის სემესტრის **სადოქტორო** პროგრამა (5 თებერვალი, 2010, დადგენილება №7/2010);
- თსუ–ის 2009–2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის **სადოქტორო** პროგრამები (25 იანვარი, 2010, დადგენილება №4/2010);
- თსუ–ის 2010–2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის **სადოქტორო** პროგრამები (25 ივნისი, 2010, დადგენილება № 66/2010);

– თსუ–ის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის **სადოქტორო** პროგრამები „საერთაშორისო ურთიერთობები“ და „გენდერი“ (12 ივლისი, 2010, დადგენილება № 86/2010);
– 2008–2009 წლის შემოდგომის სემესტრის **სადოქტორო** პროგრამებში (აკადემიური საბჭოს 2008 წლის 7 ოქტომბრის №142 დადგენილებაში) ცვლილების შეტანის თაობაზე (1 ნოემბერი 2010, დადგენილება №124/2010);
– თსუ–ის პროფესიული უმაღლესი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხების (კვალიფიკაციების) ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ (5 თებერვალი, №13/2010).

სადისერტაციო საბჭოების დებულებების დამტკიცება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის **„ლ“** ქვეპუნქტისა და წესდების მე–9 მუხლის ,,ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც ეხება აკადემიური საბჭოს მიერ სადისერტაციო საბჭოების დებულებების დამტკიცებას, მიიღო 2 დადგენილება. ორივე დადგენილებას საფუძვლად ედო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინება:

– თსუ–ის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 1 ივნისის N229 დადგენილებით დამტკიცებულ „თსუ–ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე (25 ივნისი, 2010, დადგენილება №71/2010); *(საფუძველი: იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2010 წლის 8 ივნისის №3071/22-05 განცხადება);*

– „თსუ–ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თსუ–ის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 17 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (13 ოქტომბერი, 2010, დადგენილება №113/2010); *(საფუძველი: ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის მ/შ განცხადების №25920/02).*

საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის **„პ“** ქვეპუნქტისა და წესდების მე–9 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2010 წელს აკადემიურმა საბჭომ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ მიიღო 11 დადგენილება.

თსუ–ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა:

- პროფესორ დოქტორ ანგელიკა ნუსბერგერს (17 თებერვალი, 2010, დადგენილება №18/2010);
- პროფესორ კლაუს ჰიპს (10 მარტი, 2010, დადგენილება №22/2010);
- დოქტორ ფრენკ დაგლას ფერისს (22 დეკემბერი, 2010, დადგენილება №143/2010);
- ბატონ ჯეფრი გედმინს (4 ოქტომბერი, 2010, დადგენილება №110/2010);
- პროფესორ კლაუს ჰოპტს (24 სექტემბერი 2010, დადგენილება №104/2010);
- პროფესორ ბოგდან ბოიარსკის (25 ივნისი, 2010, დადგენილება №74/2010);
- ქალბატონ თამარ მამისთვალოვ–კეზერაშვილს (25 ივნისი, 2010, დადგენილება №73/2010);
- პროფესორ ჰანს შტროერს (26 აპრილი, 2010 დადგენილება №42/2010);
- ბატონ პაოლო დელ ბიანკოს (26 მარტი, 2010, დადგენილება №33/2010);
- პროფესორ მაქსიმილიან რაიზერს (29 ნოემბერი 2010, დადგენილება №136/2010);
- ბატონ პიტერ ზომერმანს (17 თებერვალი, 2010, დადგენილება №17/2010).

ემერიტუსის წოდების მინიჭება

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ[1]“ ქვეპუნქტისა და წესდების მე–48 მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე 2010 წელს (ბატონ გურამ გრიგოლიასათვის) მიიღო ერთი გადაწყვეტილება თსუ–ის ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ (6 სექტემბერი, 2010, დადგენილება №94/2010).

კოეფიციენტის დამტკიცება

კანონის 21–ე მუხლის „ი“ ქვეპუნტისა და წესდების მე–9 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელიც ეხებოდა მისაღები გამოცდებისთვის მისანიჭებელი კოეფიციენტის დამტკიცებას (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალის, მისაღები კონტინგენტის და მისაღები გამოცდებისთვის მისანიჭებელი კოეფიციენტის დამტკიცების შესახებ (31 მარტი, 2010, დადგენილება №39/2010) და ერთხელ შეიტანა ცვლილება მის პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში (13 ოქტომბერი 2010, დადგენილება №116/2010).

სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი

კანონის 21–ე მუხლის „ს“ ქვეპუნტისა და წესდების მე–9 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა თსუ–ის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი (თსუ–ის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის და თვითშეფასების კითხვარის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ (25 იანვარი, 2010, დადგენილება №5/2010). დადგენილების პროექტი, წესდების აღნიშნული მუხლის თანახმად, წარმოდგენილი იყო თსუ–ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

სასწავლო პროცესის რეგულირება

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები.

კანონის 21–ე მუხლის „ს“ და წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები:

ა) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – თსუ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (26 მარტი, 2010 დადგენილება №36/2010) და ექვსჯერ შეიტანა მასში ცვლილება (№142/2010; №134/2010; №130/2010, №126/2010, №97/2010, №81/2010) და

ბ) თსუ–ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებელთა სწავლების პროცესის მარეგულირებელი წესი (8 ნოემბერი 2010, დადგენილება №132/2010).

საქართველოს კანონის 21–ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და წესდების მე–9 მუხლის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ მიიღო ასევე 28 დადგენილება სხვადასხვა კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ეხება უნივერსიტეტის საქმიანობის მიმართულებებსა და სასწავლო პროცესის რეგულირებას:

– თსუ–ის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამისა და კიოლნის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებისათვის სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ (5 თებერვალი, დადგენილება №10/2010);

– თსუ–ის „საჯარო მმართველობის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის სემესტრული გადასახადის განსაზღვრის შესახებ (25 იანვარი, 2010, დადგენილება №6/2010);

– თსუ–სა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის – „საჯარო მმართველობა“–

სასწავლო პროცესის ვადებისა და კრედიტების წლიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ (24 სექტემბერი, 2010, დადგენილება №105/2010);

– აკადემიური საბჭოს 2008 წლის 8 სექტემბრის N124 დადგენილებით დამტკიცებულ „თსუ–ის მაგისტრატურაში მიღების წესში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (1 ივლისი, 2010, დადგენილება №82/2010);

– თსუ–ის სადოქტორო კურსების დამტკიცების შესახებ (12 ივლისი, 2010, დადგენილება №85/2010);

– თსუ–ის მისიის დამტკიცების შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება №78/2010);

– თსუ–ის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ (10 მარტი, 2010, დადგენილება №30/2010);

– თსუ–ის სილაბუსის მოდიფიცირებული ფორმის დამტკიცების შესახებ (22 თებერვალი, 2010, დადგენილება №20/2010);

– თსუ–ის სასწავლო კურსებში ელექტრონული სწავლების კომპონენტის დანერგვის შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება №63/2010);

– საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი (25 ივნისი, 2010, დადგენილება №61/2010);

– გაცვლითი პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტების მომსახურების წესის დამტკიცების შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება №60/2010);

– უცხოური ენის სასწავლო კურსის გამოტოვებული საფეხურის შესაბამისი ცოდნის დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება №62/2010);

– თსუ–ის მედიცინის ფაკულტეტზე რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენის და დამტკიცების პროცედურის შესახებ (26 აპრილი, 2010, დადგენილება №44/2010);

– თსუ–ის იურიდიულ ფაკულტეტზე სამაგისტრო გამოცდის მოქმედი წესებისა და აკადემიური წერის სტანდარტების დამტკიცების შესახებ (31 მარტი, 2010, დადგენილება №38/2010);

– თსუ–ის სადოქტორო პროგრამების შესაბამისი სამეცნიერო–კვლევების დაფინანსების შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება №56/2010);

– “2009-2010 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ივლისის №247 დადგენილებაში (2009-2010 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ) ცვლილების შეტანის შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება №77/2010, 5 თებერვალი, დადგენილება №14/2010);

– აკადემიური საბჭოს №20/2010 დადგენილებით დამტკიცებული ფორმით სილაბუსების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება №69/2010);

– 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სადოქტორო და 2011–2012 სასწავლო წლის საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის და სამაგისტრო პროგრამების წარმოდგენის ვადების დამტკიცების შესახებ (22 დეკემბერი, 2010, №140/2010);

– იურიდიულ ფაკულტეტზე ევროპულ ენაზე წაკითხული სალექციო კურსის ერთი აკადემიური საათის დატვირთვის ორ აკადემიურ საათად ჩათვლის შესახებ (25 ივნისი, 2010, დადგენილება №76/2010);

– იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებზე უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლების შესახებ (31 მაისი, 2010, დადგენილება №51/2010);

– თსუ–ის მედიცინის ფაკულტეტზე ზაფხულის დამატებითი სემესტრის ამოქმედების შესახებ (26 აპრილი, 2010, დადგენილება №45/2010);

– თსუ–ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XII სემესტრის სტუდენტ ლანა ხარებაშვილისათვის 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის საპატიოდ ჩათვლის შესახებ (10 მარტი, 2010, დადგენილება №24/2010);

– თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტ ოთარ რუსიშვილისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ (29 ნოემბერი 2010, დადგენილება №137/2010);

– თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრული პროფესორების ნოდარ ხადურისა და ირაკლი კოვზანაძისათვის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ (17 თებერვალი, 2010, დადგენილება №16/2010);

– თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტ ოთარ გიგოლაშვილისთვის სასწავლო კურსის “მენეჯმენტის საფუძვლები” აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლების მინიჭების თაობაზე (8 ნოემბერი 2010, დადგენილება №133/2010);

– ლინდა ნკობლონგ ეგბესათვის სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტის ქვეანგარიშზე ჩარიცხული სწავლის საფასურის დაუბრუნებისა და ნინო ქარჩავასათვის გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ (1 ნოემბერი 2010, დადგენილება №128/2010);

– 2010-2011 სასწავლო წელს თსუ–ის მაგისტრატურაში შესაბამის სამაგისტრო პროგრამების ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვის თაობაზე (1 ნოემბერი 2010, დადგენილება №127/2010);

– 2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტებზე ორი სამაგისტრო პროგრამის ამოქმედების შესახებ (1 ნოემბერი 2010, დადგენილება №125/2010).

წარდგინებები

კანონისა და წესდების შესაბამისად, აკადემიური საბჭო ვალდებულია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონის 21–ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით დასამტკიცებლად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს. აქედან გამომდინარე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 10 წარდგინება, რომელთაგან 3 ეხება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს (29.12.2010, №12/03–01–03; 09.11.2010, №10/03–01–03; 05.10.2010, №7/03–01–03), ორი – აკადემიური პერსონალის შრომის ოდენობისა და პირობების დადგენას (10.03.2010, №2/03–01–03; 19.05.2010, №3/03–01–03), ერთი – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის წარდგენას (04.11.2010, №9/03–01–03), ორი – ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შერჩეული კანდიდატურის წარდგენას (04.11.2010, №8/03–01–03; 30.06.2010, №6/03–01–03), ერთი – წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესში ცვლილებებს (24.05.2010, №4/03–01–03) და ერთიც – აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესში ცვლილებებს (30.06.2010, №5/03–01–03).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება და სტრუქტურა

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტის) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (შემდგომში ფაკულტეტი) უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია.

2. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდებაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

3. ფაკულტეტი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

4. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ წესდებით და წინამდებარე დებულებით.

5. ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.

6. ფაკულტეტს აქვს ბლანკი უნივერსიტეტის გერბის გამოსახულებით. ბლანკის გამოყენება ხდება ფაკულტეტის დეკანის დავალებით ან თანხმობით. ბლანკზე დასატანი ინფორმაცია მზადდება დეკანის მითითებით ან ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ინიციატივით. ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებში მომზადებული ინფორმაცია პროექტის სახით წარედგინება დეკანს მითითებით "გთხოვთ დაიბეჭდოს ფაკულტეტის ბლანკზე". პროექტს ხელს აწერს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან მისი დავალებით ის პირი, რომელმაც უშუალოდ მოამზადა წერილი. დეკანის თანხმობის შემთხვევაში კანცელარია წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, უზრუნველყოფს ინფორმაციის გადატანას ფაკულტეტის ბლანკზე. საქმისწარმოების ოპერატიულობისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის ელექტრონული ვერსიაც. ფაკულტეტის ბლანკები განეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის ფურცლებს. ბლანკები ინახება კანცელარიის უფროსთან. ბლანკები დანომრილია და მისი გამოყენების მოთხოვნა

ფიქსირდება შესაბამის ჟურნალში. გაცემული ბლანკის გამოუყენებლობის შემთხვევაში (დაზიანება, შეცდომა და ა.შ.) იგი ჩამოიწერება და ნადგურდება.

7. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი, რომლითაც სარგებლობს დადგენილი წესის შესაბამისად.

8. ფაკულტეტის მისამართია: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. N2, (უნივერსიტეტის მე–10 კორპუსი).

9. ფაკულტეტის დღეს აწესებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 2. ფაკულტეტის კომპეტენცია

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული და საგანმანათლებლო/სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

თავი II

ფაკულტეტის ამოცანები

მუხლი 3.

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე დონის ეკონომიკური განათლების მიღების უზრუნველყოფა;

ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით;

გ) ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაცია პრიორიტეტული სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებაზე და ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი სამეცნიერო–კვლევითი პროექტების ინიცირება ან/და ხელშეწყობა;

დ) სტუდენტებისათვის სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის საუკეთესო პირობების შექმნა.

თავი II

ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი შედგება საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

2. დადგენილი წესის შესაბამისად ფაკულტეტზე იქმნება: ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია.

3. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის საფაკულტეტო მნიშვნელობის შემდეგი სასწავლო–კვლევითი სკოლები და ინსტიტუტები:

ა) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET).

4. ფაკულტეტთან არსებობს შემდეგი სამეცნიერო კვლევითი საგანმანათლებლო ცენტრები:

ა) ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ–გერმანული ინსტიტუტი;

ბ) ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ–ბერძნული ცენტრი;

გ) მიგრაციის კვლევის ცენტრი;

დ) ბიზნეს–ეთიკის ცენტრი;

ე) მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი;

ვ) ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი.

5. ფაკულტეტზე საგანმანათლებლო–სამეცნიერო საქმიანობა ორგანიზებულია სათანადო წესით დამტკიცებული სასწავლო პროგრამების მიხედვით;

6. სასწავლო-სამეცნიერო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ერთიანდება კათედრებში;

7. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა;

8. ფაკულტეტზე მოქმედებს საბავშვო უნივერსიტეტი „ნორჩი ეკონომისტი“.

მუხლი 5. სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების წესი

ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 6. მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მეშვეობით: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თავი III

პერსონალი

მუხლი 7. პერსონალის შემადგენლობა

1. ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე და მასწავლებლების თანამდებობები.

2. აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება: სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ–პროფესორი.

3. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილეები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

4. მასწავლებლების პერსონალს მიეკუთვნება: მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.

5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი პირები.

6. საჭიროებისამებრ ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის წარსამართად ან მასში მონაწილეობის მისაღებად ფაკულტეტი იწვევს სპეციალისტს.

მუხლი 8. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

5. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით.

6. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თსუ–ს წესდებით.

მუხლი 9. ადმინისტრაციული პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილე/მოადგილეები (ასეთის/ასეთების არსებობის შემთხვევაში) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წესი და პირობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებითა და თსუ–ს წესდებით.

3. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძველია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა და თსუ–ს წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თავი IV

ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 10.

ფაკულტეტის საბჭო

ა) ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედის: აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები;

გ) ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განსაზღვრულია საბჭოს შემადგენლობის ¼–ით;

დ) ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი. მისი არყოფნის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან;

მუხლი 11.

ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციებია:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;
ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;
გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
ზ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;
თ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;
ი) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 12.

ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირების პროცედურული საკითხები:

ა) ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ღია ან ფარული კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ფუნქციაა ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოების ორგანიზება. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ამზადებს საბჭოს მდივანი დეკანის მითითებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეუძლიათ საბჭოს მდივნისათვის წერილობით დღის წესრიგის პროექტში გასათვალისწინებელი საკითხების მიწოდება. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თარიღამდე 3 სამუშაო დღით ადრე საჯარო ადგილას აქვეყნებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს;

გ) ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ღია კენჭისყრით ამტკიცებს დღის წესრიგს;

დ) ფაკულტეტის საბჭოს წევრი ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას;

ე) ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტი ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას;

ვ) ფაკულტეტის საბჭო, როგორც წესი, სხდომებს ატარებს კალენდარული თვის პირველი კვირის განმავლობაში. ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის საბჭოს წევრთა 1/3 მოთხოვნით;

ზ) ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის შესასწავლად შექმნას სპეციალური კომისია;

თ) ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საერთო შემადგენლობის 1/2. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტმა;

ი) ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის თაობაზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი. საბჭოს მდივანს ევალება სხდომის ოქმის ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნება სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა;

თავი V

ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 13.

ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს დეკანი, რომელიც აირჩევა 4 წლის ვადით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;
ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;
ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
ზ) ამ კანონისა და წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
თ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

3. დეკანი უფლებამოსილებებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის ვაკანტურ დამხმარე თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატურების შერჩევა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დასანიშნად წარდგენა;

ბ) საჭიროებისამებრ, კომპეტენციის ფარგლებში, კავშირების დამყარება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მისი უფლებამოსილების ფარგლებში სასწავლო და სამეცნიერო პროცესის საჭიროების შესაბამისად;

გ) ფაკულტეტის საბჭოს წინაშე კათედრასთან შეთანხმების საფუძველზე სასწავლო ცენტრებისა და ინსტიტუტების შექმნის ინიცირება, რომელსაც თან უნდა ახლდეს სათანადო დასაბუთება ცენტრისა თუ ინსტიტუტის შექმნის თაობაზე;

დ) კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის შექმნა;

ე) კონკრეტული საკითხის შესასწავლად შექმნას სპეციალური კომისია;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში წარმატებული სტუდენტებისათვის სტიპენდიების დასანიშნად წარდგენა სტუდენტთა წახალისების მიზნით;

ზ) ფაკულტეტის საბჭოს წინაშე საკითხის დაყენება კათედრის შექმნასა და გაუქმების შესახებ;

თ) კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება;

მუხლი 14.

დეკანის არჩევის წესი

ა) ფაკულტეტის საბჭოს მიერ დეკანი აირჩევა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით.

ბ) დეკანი აირჩევა 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

გ) დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციას აცხადებს ფაკულტეტის საბჭო. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია კანდიდატთა განცხადებების მიღებას იწყებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 2 კვირის განმავლობაში, ხოლო რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 3 კვირისა და არაუმეტეს 1 თვისა, ტარდება არჩევნები;

დ) უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება დეკანის არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით;

ე) ფაკულტეტზე საარჩევნო პროცესის წარმართვის მიზნით იქმნება ფაკულტეტის საარჩევნო კომისია რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა შედიოდეს არანაკლებ 5 წევრისა. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი ან კანდიდატი დეკანის თანამდებობაზე;

ვ) დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციაზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, რეგისტრაციაზე განცხადების შეტანის ვადის დასრულებიდან 1 კვირის განმავლობაში;

ზ) დეკანის არჩევნებში მონაწილეობას იღებს დადგენილი წესის შესაბამისად აკადემიური საბჭოს მიერ რეგისტრირებული ყველა პირი;

თ) ყველა კანდიდატს შეუძლია არჩევნების თარიღამდე აწარმოოს წინასაარჩევნო კამპანია;

ი) საარჩევნო სიებს ამტკიცებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია პერსონალის მართვის დეპარტამენტის, სასწავლო დეპარტამენტისა და ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე;

კ) ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის ასარჩევი კანდიდატი, ადმინისტრაციული პერსონალის წევრი ან კონკრეტული ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლება აქვს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას მიმართოს არჩევნების თარიღამდე 5 დღით ადრე დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად;

ლ) არჩევნების თარიღი ინიშნება რექტორის ინდივიდუალურ–ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. კენჭისყრა მიმდინარეობს 10:00–დან 17:00–მდე. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხდება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებულ საარჩევნო ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის აღნიშვნით;

მ) კენჭისყრის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას;

ნ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენის შემდგომ ხდება საარჩევნო ყუთის გახსნა. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან ბიულეტენებს და ავსებენ შემაჯამებელ ოქმს;

ო) ფაკულტეტის საარჩევნო კომისია შემაჯამებელ ოქმს წარადგენს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში დასამტკიცებლად, რომელიც იმავე დღეს საჯაროდ აცხადებს არჩევნების შედეგებს;

პ) იმ შემთხვევაში, თუ ხმების საჭირო რაოდენობის მოპოვება ვერ შეძლო ვერც ერთმა კანდიდატმა, ინიშნება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად 3 დღეში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. არჩევნების მეორე ტური ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურის შედეგადაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი;

ჟ) არჩევნების საბოლოო შედეგებს ამტკიცებს და აქვეყნებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. შედეგი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 15. დეკანის მოადგილე

1. დეკანს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე ან მოადგილეები.

2. დეკანის მოადგილის ძირითადი ამოცანაა:

ა) სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა;

ბ) სპეციალობების, მოდულების, სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროცესის ცხრილის განსაზღვრის პროცესის კოორდინირება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში აკადემიური პერსონალის დატვირთვების განსაზღვრის კოორდინირება;

დ) სასწავლო პროცესის ცხრილისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგი;

ე) ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია;

ზ) ფაკულტეტზე სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების კოორდინაცია;

თ) დეკანის დავალებათა შესრულება;

3. დეკანის მოადგილეებს შორის უფლება-მოვალეობას ანაწილებს დეკანი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემით.

4. დეკანის მოადგილე შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან;

5. დეკანის მოადგილეს დეკანის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თავი VI

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 16. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, ფარული კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი იმავდროულად შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იხილავს დადგენილი წესის შესაბამისად შედგენილ უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციას. აღნიშნული დოკუმენტის ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით. ერთობლივი დადებითი დასკვნის შემთხვევაში უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ (სემესტრში ერთხელ) წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს მუშაობის შედეგებს.

8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატურ მონიტორინგს. მიღებულ შედეგებს წარადგენს ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოებზე პროგრამების შემდგომი დახვეწის მიზნით.

9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს თსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით.

მუხლი 17.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი

ა) ფაკულტეტის საბჭოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად ასარჩევად შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა;

ბ) არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

გ) ერთი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში თუ ის ვერ დააგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას ინიშნება ახალი არჩევნები, რომელზეც უნივერსიტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის უფროსმა უნდა წარმოადგინოს ახალი კანდიდატურა;

დ) ერთზე მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური პირველი ტურის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი;

ე) პირველ ტურში ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ფაკულტეტის იმავე სხდომაზე ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებულის გამოვლენამდე;

ვ) იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მეორე ტურის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 დღისა ინიშნება არჩევნების ახალი თარიღი, რომელზეც უნივერსიტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის უფროსმა უნდა წარმოადგინოს ახალი კანდიდატურა ან კანდიდატურები.

თავი VII

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 18.

სადისერტაციო საბჭო

ა) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო;

ბ) სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოში დოქტორის ხარისხის მქონე პირების მოწვევა;

გ) სადისერტაციო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ფარული კენჭისყრით ირჩევს სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან 2 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ერთი და იგივე პირი შესაძლებელია არჩეულ იქნეს ზედიზედ არაუმეტეს 2 ვადით. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი;

დ) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს;

ე) სადისერტაციო საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო;

ვ) სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე ღია კენჭისყრის საფუძველზე. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით;

ზ) სადისერტაციო საბჭოს ყოველი სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;

მუხლი 19.

სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები

ა) დოქტორანტურაში მიღების, სადისერტაციო თემის დამტკიცებისა და ხელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება;

ბ) შემფასებლების დანიშვნა და დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრა;

გ) სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობის, ფორმატისა და გაფორმების ინსტრუქციის დადგენა;

დ) სადისერტაციო კომისიის დამტკიცება;

ე) დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე;

ვ) საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული დოქტორის აკადემიური ხარისხის აღიარების საკითხის გადაწყვეტა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე;

ზ) უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული დოქტორის აკადემიური ხარისხის აღიარების საკითხის გადაწყვეტა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ავთენტურობის ცნობის საფუძველზე.

მუხლი 20.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებია:

ა) სადისერტაციო საბჭოს სხდომების სემესტრში ერთხელ მაინც მოწვევა და თავმჯდომარეობა;

ბ) საბჭოს შემადგენლობიდან სადისერტაციო კომისიის განსაზღვრა;

გ) ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით დოქტორანტებისათვის კოლოკვიუმების ორგანიზება;

დ) სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.

მუხლი 21.

სადისერტაციო საბჭოს მდივნის ძირითადი ამოცანებია:

ა) სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმების დადგენილი წესის შესაბამისად წარმოება;

ბ) თავმჯდომარის მითითებით საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;

გ) საბჭოს საარქივო წარმოებისა და საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

დ) დოქტორანტებისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებით დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდგომ კონსულტაციების გაწევა.

VIII თავი

საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ერთეულები

მუხლი 22.

საგანმანათლებლო პროგრამა

ა) საგანმანათლებლო პროგრამა არის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების შეძენაზე დაფუძნებული, სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე კურუკულუმი;

ბ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს სპეციალისტთა მომზადებას სწავლების ყველა საფეხურის მიხედვით და პასუხისმგებელია მათი მომზადების ხარისხზე;

გ) საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შედგება სასწავლო კურსებისა და მოდულებისაგან;

დ) სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით;

ე) ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს ხელმძღვანელობს დადგენილი წესის შესაბამისად არჩეული კოორდინატორი (ხელმძღვანელი).

მუხლი 23.

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები

ა) ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის შექმნაში მონაწილეობენ ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების სრული და ასოცირებული პროფესორები. მოცემული მიმართულების აკადემიური პერსონალის საერთო კრებაზე ხდება პროგრამის კოორდინატორის (ხელმძღვანელის) არჩევა დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს პროგრამის კოორდინატორის (ხელმძღვანელის) არჩევნების თარიღის წინასწარ საჯაროდ გამოცხადებას;

ბ) საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორად (ხელმძღვანელად) საკუთარი კანდიდატურის წარდგენა შეუძლია მიმართულების ყველა სრულ ან ასოცირებულ პროფესორს. მიმართულების აკადემიური პერსონალის საერთო კრება ღია კენჭისყრით ირჩევს კოორდინატორს (ხელმძღვანელს). საბაკალავრო პროგრამების კოორდინატორის არჩევა ხდება ერთი წლის ვადით, როტაციის წესით;

გ) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ–ს სრული ან ასოცირებული პროფესორი;

გ) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე სრული ან ასოცირებული პროფესორი, სადოქტორო პროგრამის შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის საერთო შეთანხმებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. დარგთაშორის (ინტერდისციპლინურ) სადოქტორო პროგრამას უნდა ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი;

დ) იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული პროფილის აკადემიური პერსონალის საერთო კრებაზე საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის კოორდინატორობის სურვილს არ განაცხადებს არც ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოზე აყენებს საკითხს პროგრამის კოორდინატორის მოწვევის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ იღებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით;

ე) არჩეული პროგრამის კოორდინატორის (ხელმძღვანელის) კანდიდატურას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო ღია კენჭისყრით. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ხელმძღვანელობის კანდიდატი ვერ მიიღებს ხმების უმრავლესობას, ფაკულტეტის საბჭო დეკანის ინიციატივით 5 სამუშაო დღეში იკრიბება და იხილავს პროგრამის მოწვეული კოორდინატორის კანდიდატურებს აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად წარსადგენად.

პროგრამის მოწვეული კოორდინატორის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრს;

ზ) ფაკულტეტის სრულ და ასოცირებულ პროფესორებს შორის არჩეული ან მოწვეული პროგრამის კოორდინატორის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსსა და მიზანს;

თ) საბაკალავრო პროგრამას შესაძლებელია ჰყავდეს მხოლოდ ერთი კოორდინატორი. ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. დარგთაშორის სადოქტორო პროგრამას უნდა ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი.

ი) სრული ან ასოცირებული პროფესორი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სამაგისტრო, ან სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი;

კ) საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი კოორდინირებას უწევს პროგრამის კურუკულუმის შემუშავების პროცესს. იგი პასუხისმგებელია პროგრამის კურუკულუმის განხილვის პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობაზე;

ლ) საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამების განხილვის პროცესი მიმდინარეობს პროგრამის პროფილის კათედრებზე. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით. კათედრის ხელმძღვანელები განხილვის ოქმებს წარუდგენენ საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის კოორდინატორსა და დეკანს.

მ) ფაკულტეტის დეკანი სასწავლო პროგრამებს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ნ) საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია: პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე, ხოლო სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ხარისხზე;

ო) საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი (ხელმძღვანელი) პასუხისმგებელია პროგრამის კურუკულუმის თაობაზე სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების თაობაზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე;

პ) საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი არის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საკონტაქტო პირი პროგრამის შეფასების შედეგებთან დაკავშირებით;

ჟ) დეკანი უფლებამოსილია პროგრამის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოზე დააყენოს პროგრამის ხელმძღვანელის გადაყენების საკითხი;

რ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროგრამის ხელმძღვანელის გადაყენების შემთხვევაში ინიშნება ხელახალი არჩევნები ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

ს) პროგრამის კოორდინატორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 24.

კათედრა

ა) კათედრა წარმოადგენს სასწავლო–სამეცნიერო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის გაერთიანებას;

ბ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ერთი კათედრის წევრი;

გ) იმ შემთხვევაში, თუ კათედრის შემადგენლობაში შედის 2 ან 2–ზე მეტი სრული პროფესორი, კათედრაზე უნდა ჩატარდეს კათედრის ხელმძღვანელის არჩევნები. გადაწყვეტილებას კათედრის წევრები იღებენ ხმათა უმრავლესობით ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დეკანი. კათედრის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ფაკულტეტის სრული პროფესორი. იმ შემთხვევაში თუ კათედრაზე არ არის სრული პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელად ფარული კენჭისყრით შეიძლება არჩეულ იქნეს ასოცირებული პროფესორი;

დ) კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კათედრის ფუნქციონირების ორგანიზაციული საკითხების კოორდინირებას;

ე) გადაწყვეტილება კათედრაზე მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კათედრის ხელმძღვანელის ხმა;

ვ) კათედრა საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად;

ზ) კათედრა ამზადებს და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ან/და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ფაკულტეტზე სასწავლო–სამეცნიერო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

თ) კათედრა ამზადებს და პროგრამის კოორდინატორს (ხელმძღვანელს) წარუდგენს წინადადებებს კურუკულუმთან დაკავშირებით;

IX თავი

დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 25. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: ბიბლიოთეკა, კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, მატერიალური რესურსების მართვის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი საუნივერსიტეტო სამსახურებისა და დეპარტამენტების დებულებებითა და თსუ–ს წესდებით.

მუხლი 26.

ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტზე სამეცნიერო–ბიბლიოგრაფიული საქმიანობის წარმართვა;

ბ) ფაკულტეტისათვის საჭირო წიგნადი და პერიოდული გამოცემების ჩამონათვალის მომზადება და დეკანისათვის მიწოდება მათი შემდგომი შეძენის მიზნით;

გ) ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი და პერიოდული გამოცემების აღრიცხვა, მოვლა, შენახვა და დაუბრკოლებელი გამოყენების უზრუნველყოფა;

დ) გაცვლითი პროგრამების განხორციელება ბიბლოთეკათაშორისო აბონემენტის ფარგლებში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

ე) საუნივერსიტეტო ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნის პროცესში ფაკულტეტის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

მუხლი 27.

ფაკულტეტის კანცელარიის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტზე საქმისწარმოების სისტემის ორგანიზება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) ფაკულტეტზე შემოსული და ფაკულტეტიდან გაგზავნილი კორესპონდენციის რეგისტრაცია;

გ) ფაკულტეტზე დოკუმენტბრუნვის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან შემოსული საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია და დადგენილი წესის შესაბამისად ხელმძღვანელობისათვის მიწოდება;

ე) დეკანის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია და ფაკულტეტის შესაბამისი თანამშრომლებისათვის ასლების მიწოდება;

ვ) ფაკულტეტის საარქივო საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

მუხლი 28.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტზე სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა;

ბ) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამების რეალიზაციის ხელშეწყობა სასწავლო-მეთოდური მიდგომის შესაბამისად: სასწავლო პროგრამების მონიტორინგი, სასწავლო პროგრამების შესაბამისად სასწავლო ცხრილების შედგენა, კურუკულუმის განხორციელების მონიტორინგი;

გ) აკადემიური პერსონალის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ასევე საზღვარგარეთისა და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებთან განხორციელებული ერთობლივი სასწავლო–კვლევითი პროგრამების განხორციელებისათვის ხელშეწყობა სასწავლო გეგმებისა და ცხრილების შესაძლებლობისამებრ ადაპტირება;

დ) აკადემიური პერსონალის დატვირთვების კოორდინირება;

ე) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ფაკულტეტის ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სტუდენტების მიერ საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული აკადემიური შეფასების შედეგების აღიარების პროცესში მონაწილეობა დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზებაში მონაწილეობა. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში მონაწილეობა;

ზ) ფაკულტეტის სტუდენტთა პირველადი რეგისტრირება უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში და აკრედიტაციის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზაში. სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესის მხარდაჭერა;

თ) სტუდენტთა საინფორმაციო მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და დაცვისათვის შესაბამის საუნივერსიტეტო სამსახურებთან თანამშრომლობა;

ი) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ფაკულტეტზე შემოსული კორესპონდენციის განხილვა და პასუხის მომზადება;

კ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ცნობების მომზადება სტუდენტებისათვის;

ლ) სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისი ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება;

მ) კომპიუტერული ქსელის საინფორმაციო და საკომუნიკაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა სტუდენტებისა და ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ;

ნ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში კურირებს ტუტორატს, სამდივნოსა და სტუდენტთა მომსახურების ცენტრს.

მუხლი 29.

ტუტორატი

1. ფაკულტეტი სტუდენტებისათვის სასწავლო–ორგანიზაციული პრობლემების გასაჭრელად დახმარების გაწევის მიზნით ხელშეკრულების საფუძველზე საჭირო ვადით იყვანს ტუტორებს.

2. ტუტორები შეირჩევა დეკანის მიერ ფაკულტეტის მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტებსა ან ფაკულტეტის თანამშრომლებს შორის.

3. საჭიროებისამებრ დეკანს შეუძლია ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტით დაადგინოს ტუტორთა შერჩევის წესი.

მუხლი 30.

სამდივნოს ძირითადი ამოცანებია

ა) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება;

გ) სტუდენტთა მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანა;

დ) სტუდენტთა პირადი მონაცემების შეტანა პირად ბარათსა და მონაცემთა ბაზაში;

ე) შუალედური და საგამოცდო უწყისების მომზადება, პედაგოგებზე გადაცემა, შევსებული უწყისების შეგროვება და ინფორმაციის შეტანა სტუდენტთა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;

ზ) კურსდამთავრებულთა დოკუმენტაციის დაარქივება დადგენილი წესის შესაბამისად;

თ) კურსდამთავრებულთა დამთავრების თაობაზე ბრძანების პროექტის და დიპლომის დანართებისა მომზადება;

ი) დეკანის დავალებით სტატისტიკური მონაცემების სისტემატური წარმოება.

მუხლი 31.

სტუდენტთა მომსახურების ცენტრის ძირითადი ამოცანებია

1. სტუდენტთათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა;

2. სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების შესახებ სტუდენტებისგან მიღებული ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის მათი მოგვარების მიზნით (საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირი სტუდენტებთან);

3. სტუდენტთა ტექნიკური დახმარება აკადემიური რეგისტრაციის პროცესში;

4. ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირება ელ–ფოსტით უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესების, რეგულაციების, ინსტრუქციების მიღების/მათში ცვლილებების შეტანის შესახებ;

5. სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესში შექმნილი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა ფაკულტეტის და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით

მუხლი 32.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო–კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ) სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზი, წლიური ანგარიშის მომზადება და უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში წარდგენა;

გ) ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ჩართვა ,,ონლაინ“ სამეცნიერო ბიბლიოთეკების საერთაშორისო ქსელში;

დ) ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და მეცნიერ–მკვლევართა მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება;

ე) მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთა მოწვევისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო სტაჟირების ორგანიზების ხელშეწყობა.

ვ) პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;

ზ) ყოველი სემესტრის ბოლოს შემდგომი სემესტრისათვის დაგეგმილი ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები და ა.შ.) გეგმის ფაკულტეტის საბჭოსათვის წარდგენა;

თ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს სტუდენტური კონფერენციების ჩატარების წესს;

ი) დოქტორანტთა კოლოქვიუმების ორგანიზება;

კ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კოორდინირება და ინფორმირება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად;

ლ) ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება;

მ) ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოვება, ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებების ფარგლებში;

მუხლი 33.

მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვა;

ბ) სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროცესების საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა;

გ) მატერიალურ–ტექნიკური და სასწავლო ბაზების სისტემატური გაუმჯობესება;

დ) ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტის შექმნაში მონაწილეობა;

ე) ფაკულტეტის მიერ მოზიდული ფინანსური რესურსებისა და მის სარგებლობაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

ვ) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების პროცესის სრულყოფის მიზნით უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა.

ზ) ფაკულტეტის სასწავლო–მეთოდური, სამეცნიერო–კვლევითი და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრულყოფა ფაკულტეტის პრიორიტეტული ამოცანების გადასაჭრელად და არსებული და სამომავლო გეგმებისათვის მზადყოფნის მიზნით;

თ) ფაკულტეტის ოპერატიულ მართვაში არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზის დაცვა;

ი) სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;

მუხლი 34.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტის საქმიანობის თაობაზე საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანი სისტემის შექმნა;

ბ) ფაკულტეტის ვებ–გვერდზე ინფორმაციის განთავსება;

გ) ფაკულტეტის ხელმძღვანელობისა და აკადემიური პერსონალის საჯარო შეხვედრებისა და გამოსვლების დაგეგმვა და განხორციელება;

დ) ფაკულტეტის ხელმძღვანელობის დავალებით პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების ორგანიზება;

ე) ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნა;

ვ) ფაკულტეტის ალუმნი–პოლიტიკისა და აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში კონკრეტული პროექტების შემუშავება და დეკანისათვის წარდგენა;

ზ) დეკანის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შემუშავებული ალუმნი პროექტები განხორციელების უზრუნველყოფა

თ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო–კვლევითი პროექტების დაფინანსების წყაროების საძიებო სისტემის ფორმირება და შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურება სამეცნიერო კვლევების სამსახურთან ერთად;

თ) სამეცნიერო კვლევების შედეგების პრეზენტაციისა და პოპულარიზაციის მიზნით, საქმიანი კონტაქტების დამყარება არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, ბიზნეს–სექტორთან;

ი) სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევებში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა;.

კ) უნივერსიტეტის ღია კარის დღის ღონისძიებებში ფაკულტეტის მონაწილეობის ორგანიზება;

თავი X

სტუდენტი

მუხლი 35. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და თსუ–ს წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ–ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.

2. ბაკალავრიატში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე;

3. მაგისტრატურაში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობაში მისაღები წერითი გამოცდის შედეგებით;

4. დოქტორანტურაში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება უცხო ენაში მისაღები გამოცდისა და სპეციალობაში გასაუბრების შედეგებით;

5. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თსუ–ს წესდებით.

6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 36. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული სტუდენტებისაგან.

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, თსუ–ს წესდებითა და თსუ–ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

თავი XI

ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 37. ფაკულტეტის დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ–ს წარმომადგენლობით საბჭო.

2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლი პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

თავი XI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 38. დებულების მიღება და ამოქმედება

1. დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ–ს წარმომადგენლობით საბჭოს.

2, დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დროებითი დებულება.

3. დებულება ამოქმედდეს თსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

დეკანის მ.შ ე. ხარაბაძე

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კ. ლორია

დადგენილება №46/2011
25 მაისი, 2011

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) სტრუქტურული ერთეული - ინტერნეტ–ტელევიზიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' და ,,ს'' ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის პირველი ნაწილის, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილის და 57–ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის წესდების მე-6 მუხლის მე–2 და მე-3 პუნქტების, მე–9 მუხლის ,,თ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) სტრუქტურული ერთეული ინტერნეტ–ტელევიზია (,,თსუ.ტვ“/,,TSU.TV“).
2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას;
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) სტრუქტურული ერთეული - ინტერნეტ ტელევიზია ,,თსუ.ტვ“ (TSU.TV) - ის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პრეამბულა

საქართველოს მოქალაქეები (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა) სწავლის, სამეცნერო მუშაობის თუ ინფორმაციის მიღებისა და გაცვლისთვის აქტიურად უპირატესობას ანიჭებს ინტერნეტ რესურსებს. ინტერნეტ რესურსებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სასწავლო პროცესისთვის და მეტწილად, სამეცნიერო საქმიანობისთვის.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სამაუწყებლო მედიის - ტელემედიის განვითარებაში მსოფლიოში დღეს პრიორიტეტი ენიჭება სწორედ ინტერნეტ-მედიას.

სტუდენტთა ცხოვრებაში ინტერნეტ-ტელემედიას განსაკუთრებული ადგილის დამკვიდრება შეუძლია, ვინაიდან იგი, პირველ ყოვლისა, იქნება მათი სასაწავლო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო რესურსი.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) ინტერნეტ ტელევიზია (,,თსუ.ტვ“/,,TSU.TV“ - შემდგომ ტექსტში - ,,ტელევიზია“) წარმოადგენს საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებით) სტრუქტურულ ერთეულს და სარგებლობს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულისათვის მინიჭებული უფლებამოსილებებით.

2. ტელევიზია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონით მაუწყებლობის შესახებ.

3. ტელევიზია წარმოადგენს სრული სარედაქციო დამოუკიდებლობით აღჭურვილ სტრუქტურულ ერთეულს.

მუხლი 2. ტელევიზიის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. ტელევიზიის მიზნები და ამოცანებია:

ა) ტელევიზიის რესურსის ჩართვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესში სწავლების თანამედროვე და ეფექტური შესაძლებლობების გამოყენებისთვის;

ბ) მეცნიერების სფეროებში მიდინარე თანამედროვე პროცესების საერთაშორისო სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გ) უნივერსიტეტის ცხოვრებისა და ისტორიის გაშუქება;

დ) მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციის ხელშწყობა;

ე) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (სალექციო კურსებზე დაფუძნებული ვიდოეპროდუქციის შექმნა, სამეცნიერო და კვლევითი პროცესების ვიზუალიზაცია და ტელეპროდუქციაში ასახვა);

ვ) სტუდენტთა ჩართვა ტელევიზიის საქმიანობაში ტელევიზიისა და ასევე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;

ზ) სხვადასხვა სახის მაუწყებლებთან თანამშრომლობა;

თ) მსოფლიოს სხვადასხვა მაუწყებლების მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) გადაცემების, ფილმების და სხვა პროდუქციის მოზიდვა უსასყიდლოდ მიღების, გაცვლის საფუძველზე;

ი) სატელევიზიო არქივის შექმნა;

კ) უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო–ტელე რეჟისურის მიმართულების სტუდენტთა პრაქტიკული მომზადება ტელემაუწყებლობებში მუშობისთვის.

2. ტელევიზიას თავისი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გააჩნია შემდეგი ფუნქციები:

ა) უნივერსიტეტის ინტერნეტ მაუწყებლობის ორგანიზება და განხორციელება;

ბ) სხვადასხვა პროგრამებთან (სპეციალური გადაცემები, შოუ, მცირე ზომის დოკუმენტური ფილმები და სხვ.) ერთად ახალი ამბების პროგრამის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

გ) სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო გადაცემების მომზადება;

დ) სტუდენტთა ჩართვა ტელევიზიის ფუნქციონირებაში;

ე) უნივერსიტეტითან არსებული კინო-ტელე ლაბორატორიის მასალების დახარისხება, დაარქივება და სისტემატიზება, მათი ციფრულ მატარებლებზე გადატანა;

ვ) უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ვიდეოარქივის განახლება

ზ) დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 3. ტელევიზიის სტრუქტურა

1. ტელევიზიის სტრუქტურა შედგება დირექტორის, აღმასრულებელი პროდიუსერის, მთავარი პროდიუსერის, სეგმენტ-პროდიუსერების, ვიდეოარქივის ხელმძღვანელის და ტექნიკური პერსონალისგან (ოპერატორები, მემონტაჟეები, კომპიუტერული ტექნიკის მომსახურე პერსონალი, პროგრამისტები და სხვა).
2. ტელევიზიაში სტაჟირებას და პრაქტიკას გავლიან უნივერსიტეტის სტუდენტები.
3. ტელევიზიის დირექტორი აირჩევა უნივერსიტეტის სენატის მიერ, ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით, აკადემიური საბჭოს წარდგინებით.
4. ტელევიზიის თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა და სახელფასო განაკვეთები მტკიცდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, ტელევიზიის დირექტორის წარდგინებით კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
5. ტელევიზიის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოვალეობებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე ახორციელებს აღმასრულებელი პროდიუსერი ან მთავარი პროდიუსერი.
6. ტელევიზიის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ყოველწლიური სამუშაო გეგმა და სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა უფლებამოვალეობები და განსახორციელებელი საქმიანობის (შესასრულებელი სამუშაოს) აღწერილობები მტკიცდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დირექტორის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 4. ტელევიზიის დაფინანსება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად და ნორმალური ფუნქციონირებისათვის ტელევიზია სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5. ტელევიზიის ფინანსები

1. ტელევიზია ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მისთვის გამოყოფილი მიზნობრივი თანხებით.

2. ტელევიზიის განვითრებისთვის, ასევე სხვადასხვა სახის საგანმანათლებო, კულტუროლოგიური, სამეცნერო პროექტების განხორციელებისთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და განახლების, ასევე სხვადასხვა სახის სატელევიზიო ფესტივალებში მონაწიელობისთვის და სხვა მნიშვნელოვანი სატელევიზიო საქმინობის წარმოებისთვის დაფინანსების სახეობებს ასევე მიეკუთვნება:

ა) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

ბ) უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

დ) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ტელევიზიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

დადგენილება №41/2011
2 მაისი 2011

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შექმნის შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 21 იანვრის №165 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის ,,ბ“ და ,,ს“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის, 56-ე მუხლიე მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-9 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების (ოქმი №3) საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შექმნის შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 21 იანვრის №165 დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შექმნის შესახებ“;
2. დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - ტურიზმის საერთაშორისო სკოლა.“;
3. პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11 პუნქტი: ,,11. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლას, მის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესებისაგან განსხვავებული წესით საქმიანობის უფლებამოსილებები და ამ უფლებამოსილებების განხორციელებისას უზრუნველსაყოფი თანმდევი ღონისძიებების განხორციელების პირობები განესაზღვროს თავისი დებულებით.“.
4. გადაწყვეტილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შექმნის შესახებ დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
5. წინამდებარე დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.
6. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
7. წინამდებარე დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 01 მაისის №19 ოქმით /საკითხი №7/ დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დებულებაში შევიდეს შემდეგი ***ცვლილებები*** *და* ***დამატებები****:*

ა) შევიდეს ცვლილება დებულების მე-2 მუხლის მე-2.2. პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2.2. სკოლის ამოცანებია:

ა) ტურიზმისა და მასპინძლობის სასწავლო პროგრამების შექმნისა და დანერგვის უზრუნველყოფა;

ბ) **ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი პროგრამების განხორციელება;**

გ) **უცხოენოვანი საკუთარი და ერთობლივი პროგრამების დანერგვა**;

დ) დაჩქარებული და დისტანციური სასწავლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება;

ე) ინტერნატურის დანერგვა საბაზო სასტუმროებსა და ტურუსტულ ორგანიზაციებში;

ვ) სასწავლო პროგრამების სრულყოფის მიზნით აქტიური თანამშრომლობა **საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სუბიექტებთან**;

ზ) კადრების პროფესიული გადამზადება ტურიზმსა და მასპინძლობაში გრძელ და მოკლევადიანი პროგრამებით;

თ) სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევების ჩატარება;

ი) გრანტების მოზიდვა, **საგრანტო პროექტებსა და კონკურსებში მონაწილეობა;**

კ) **ფიზიკურ, იურიდიულ და სხვა პირთა** დაკვეთით ტურიზმსა და მასპინძლობაში სპეციალური კურსების, სემინარების, კონფერენციების, ფორუმებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.“.

*გ) შევიდეს ცვლილება დებულების მე-3 მუხლის სათაურშიდა იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 3. სკოლის სტრუქტურა, მართვა და პერსონალი.“***

დ) შევიდეს ცვლილება დებულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. სკოლის სტრუქტურაში ერთიანდება:

ა) სკოლის დირექტორი;
ბ) სკოლის დირექტორის მოადგილე;
გ) ხარისხის უზრუნველყოფისა და სამეცნიერო კვლევების ცენტრი;
დ)სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა მომსახურების ცენტრი;
ე)ადმინისტრაციული და მატერიალური მართვის ცენტრი;
ვ)ტურიზმის ბიზნეს–ცენტრი.

*ვ) დებულებაში შევიდეს დამატება მე-3 მუხლის 3.6 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარის 3.6[1] პუნქტი: **„3.6[1]. სკოლის დირექტორის გააჩნია უფლებამოსილება, სკოლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში განსაზღვრული წესით, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეცისლისტები, რაც ფორმდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით.“.***

*ზ) შევიდეს ცვლილება დებულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**4.1. საკითხები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე დებულება, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.“.***

თ) დებულებაში შევიდეს დამატება მე-4 მუხლის 4.1. პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარის 4.2. , 4.3 და 4.4 პუნქტები:

„4.2. სკოლაში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისი დასკვნის მიღების მიზნით გადაეცემა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფისა და სამეცნიერო კვლევების ცენტრს;

„4.3. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფისა და სამეცნიერო კვლევების ცენტრის დადებითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში სამსახურის მიერ ყოველ კონკრეტულ პროგრამაზე მზადდება რეკომენდაცია, რის შემდეგაც სკოლა უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამა (ხსენებული დასკვნისა და რეკომენდაციის დართვით), განსახილველად წარუდგინოს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს“.

„4.4. უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი განიხილავს სკოლის მიერ წარმოდგენილ პროგრამას და მოქმედ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ უფლებამოსილია წარადგინოს იგი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად“.